

818-9
(298)46

ხაძურის კანონები



„მეცნიერება“

312(56.90)
6-11


საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ბ. ჯორდელის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

საბუღალტრო კანონები

4192 26858
სსრ-შპს-ს საბუღალტრო კანონების
სახელწოდებით
გამომცემი
№ 5838

საქადურიდან თარგმანა და კომენტარები
დაურთო ზურაბ კვიციანი

სიხარული



თბილისი
„მეცნიერება“
1988

✓

14(354)+34(3-11)

83.3(03)

ს 218

ნაშრომი წარმოადგენს ძველი აღმოსავლეთის, კერძოდ, ბაბილონური მწერლობის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლის, თარგმანს კომენტარებითურთ. „ხამურაბის კანონები“ კოდიფიკაციის უძველესი ნიმუშია მსოფლიო კანონმდებლობაში; მისი ტექსტი იძლევა მკაფიო სურათს არა მხოლოდ სამართლებრივი ვითარებისა ბაბილონის იმპერიაში, არამედ მისი საზოგადოების სოციალურ სტრუქტურასა და კულტურულ ღონესაც წარმოგვიდგენს.

„ხამურაბის კანონთა“ თარგმანი ორიგინალის (ძველბაბილონური) ენიდან პირველად ქვეყნდება.

რედაქტორი ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი. პროფ.
ვ. გვანაძლია

რეცენზენტები: იურიდიულ მეცნ. დოქტორი, პროფ.
მ. კეკელია
ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი ნ. ნოზაძე

4603020300
ს M 607 (06)—88 124—88

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1988

ISBN 5—520—00124—3

შესავალი

„ხამურაბის კანონები“ — ძველი წელთაღრიცხვის XVIII ს-ის ბაბილონური მწერლობის ძეგლი — 1901 წელს აღმოაჩინა საფრანგეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ირანის ტერიტორიაზე, იქ, სადაც ერთ დროს იდგა ძველი სახელმწიფოს, ელამის, სატახტო ქალაქი სუზა (ძველი შუშანი). ეს არის შავი ბაზალტის სვეტი 2,25 მ სიმაღლისა და 1,90—1,65 მ სიგანისა, ინახება ლუვრის მუზეუმში. წარწერა შესრულებულია ლურსმული მონუმენტური დამწერლობის ნიშნებით, რომელთაც ბაბილონურ ხანაში ოფიციალური დოკუმენტებისათვის იყენებდნენ. ოთხი ათეული სვეტიდან, რომელიც შეიცავს პრეამბულის, კანონების მუხლთა და დასკვნის ტექსტს, რამდენიმე წაშლილია, რომელთა ნაწილობრივი აღდგენა ხერხდება როგორც ძველბაბილონური ხანის, ასევე მოგვიანო პერიოდის ასლების მეშვეობით (ხამურაბის კანონები ათასხუთასი წლის მანძილზე მოქმედებდა, ამიტომაც ყველგან და ყოველ ეპოქაში მზადდებოდა მისი ასლები).

თანამედროვე გამოცემებში მიღებულია კაზუსების ის ნუმერაცია, რომელიც დაადგინა ტექსტის პირველმა გამომცემელმა, მანვე ივარაუდა გადაშლილ ადგილას 35 მუხლი (შესაძლებელია, ამდენიც არ აკლდეს), რის გამოც მუხლთა

საერთო სათვალავია 282 (არსებულ 247 მუხლს პლუს 35). ჩვენი თარგმანის ტექსტში ჩართული 19 მუხლი რომაული ციფრებით არის დანომრილი.

ორიგინალის ტექსტი ფრანგული თარგმანებითურთ პირველად, 1902 წელს, გამოაქვეყნა ცნობილმა ფრანგმა ასირიოლოგმა აბატმა რ. ბ. შეილმა (Scheil). ამას მოჰყვა უამრავი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, თარგმანი გერმანულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე; რუსულ ენაზე შეიქმნა ხუთი განსხვავებული თარგმანი.

ქართულად „ხამურაბის კანონები“ ითარგმნა ორგზის, ორივეჯერ რუსულის ენის მეშვეობით:

1. ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონები, ტექსტი თარგმნილია რუსულით ელ. აბაშიძე — რუსიას და ალ. რუსიას მიერ პროფ. ალ. წერეთლის რედაქციით, წინასიტყვაობით და დამატებით, ტფილისი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1934 (ლითოგრაფიული გამოცემა);

2. ი. დოლიძის თარგმანი, დაბეჭდილი წიგნში: ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1960.

წინამდებარე თარგმანი შესრულებულია უშუალოდ ბაბილონური ენიდან. თარგმანი ეყრდნობა ორიგინალური ტექსტის შემდეგ პუბლიკაციებს:

1. ლურსმული ტექსტი: Bergmann E. Codex Hammurabi. Textus primigenius, Roma, 1953.

2. ტრანსლიტერაცია ლათინური თარგმანითურთ: A. Pohl S. G., Follet S. I. Codex Hammurabi, Transcriptio et versio latina, Roma, 1950.

3. ტრანსლიტერაცია და ინგლისური თარგმანი ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური კომენტარებით: Driver G. R. and Miles I. C. The Babylonian laws, Oxford, 1955. vol. I.

4. სამართლებრივი კომენტარები: იგივე დასახელება, vol. II, 1956.

5. Волков И. М. Законы вавилонского царя Хаммураби, М., 1914.

6. Дьяконов И. М. Законы Вавилонии, Ассирии и Хеттского царства, «Вестник древней истории», 1952, № 3.

7. Законы вавилонского царя Хаммурапи, пер. Л. А. Липина, Хрестоматия по истории Древнего востока, М. 1963.

8. Законы вавилонского царя Хаммурапи, пер. Л. А. Липина, новая ред. В. Я. Якобсона, Хрестоматия по истории Древнего востока, ч. I, М., 1980.

ესარგებლობდი იურიდიულ მეცნ. დოქტ. ბ-ნ დ. ფურცელაძის მუდმივი კონსულტაციებით და თავაზიანი რჩევებით ტერმინოლოგიის დადგენისა და საძიებლის შედგენისას. რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვასხენებ. დიდად ვმადლობ პროფ. ბ-ნ მ. კეკელიას, რომელიც აგრეთვე ხელნაწერში გაეცნო თარგმანს და კომენტარებს და საყურადღებო შენიშვნები მომაწოდა.

ხამურაბის კანონები

როდესაც მაღალმა ანუმ, ანუნაქთა ხელმწიფემ, ენლილმა, ცათა და ხმელეთის უფალმა, ქვეყნის ბედის დამსაზღვრელმა, მარდუქს — ეას პირმშოს ყოველთა ხალხთა ზედა ენლილობა განუწესეს, იგიგთა შორის განადიდეს, ბაბილონის მაღალი სახელი გამოაცხადეს, სამყაროს კიდეთა მიმართ განავრცელეს და მის წიაღში დაუდგინეს მარადიული მეუფება, რომლის საფუძველი, მსგავსად ცათა და ხმელისა, მტკიცეა,

მას ჟამს მე, ხამურაბის, დიდებულ მთავარს, ღვთის მოშივარს, ქვეყნად სამართლის გამოსაბრწყინებლად, ბოროტებისა და უკეთურების აღმოსაფხვრელად, ძლიერისაგან სუსტის არდასაჩაგრავად, შავთავიანთათვის მზისებრ აღმოსახდომად, ქვეყნის გასანათებლად, ანმა და ენლილმა ხალხთა საკეთილდღეოდ სახელი ჩემი გამოაცხადეს.

ხამურაბი ვარ, ენლილისგან დადგენილი მწყემსი, სიუხვისა და ღოვლათის დამგროვებელი, ყოვლის აღმსრულებელი ნიპურისთვის, ცათა და მიწის კავშირისა, ერთგული მზრუნველი ექურის ტაძრისა.

მეფე ძალმოსილი, ერიდუს აღმდგენელი, ეაბზუს წესთა განმწმენდელი.

გრიგალი ოთხივე კიდისა, განმადიდებელი ბაბილონის სახელისა, მისი უფლის, მარდუქის, გულის მაამებელი, რომელიც დღენი თვისნი მსახურებს ესანგილას ტაძრად.

სამეფუფო თესლი, სინის მიერ ჩასახული, გამამდიდრებელი ურისა, მორჩილი მლოცველი, სიუხვის მომტანი ექიშნუგალის ტაძრისათვის.

მეფე გონიერი, ყურისმგდებელი ძლიერი შამაშისა, სიპარის საძირკველის ჩამყრელი, შემოსველი მწვანით აიას სანთიობოსი, დამხაზველი ებაბარის ტაძრისა, რომელიც ცათა სამყოფელს შეჰგავს.

გმირი, ლარსას შემწყალებელი, მისი შემწე შამაშისთვის ებაბარის განმაახლებელი, უფალი, მხსნელი ურუქისა, სიუხვის წყლების გამომღები მისთა მკვიდრთათვის, ზეამწევი ეანას თხემისა, მოსავლის დამაუნჯებელი ანუსა და იშთარისთვის.

ქვეყნის მფარველი ჩრდილი, შემომკრებელი ისინის გაფანტული ხალხისა, დამხვავებელი სიუხვისა ეგალმახისათვის.

მეფეთა უშუმგალი, ზაბაბას ძმობილი, ქიშის სამყოფელის განმამტკიცებელი, ეღვარებით მომბურველი ემეთურსანგის ტაძრისა, ინანას დიდებულ წესთა სრულმყოფელი, მეურვე ხურსანგქალამას ტაძრისა.

ციხესიმაგრე მტრების წინაშე, ვისაც ნერგალმა, მისმა მოყვასმა, საწადელი გაუსრულა, ვრცელმყოფელი ქუთუსი, მესლამისთვის ყველაფრის მაუხვებელი.

მძინვარე ხარი, მტრების მრქენელი, თუთუს ნებიერი, სიხარულით აღმვსები ბარსიპასი, დაუცადებელი მზრუნველი ეზიდას ტაძრისთვის.

მეფეთა ღმერთი, სიბრძნის მეცნაური, გრცელმოყოფელი დიღბათის ყანებისა, მძლავრი ურამის ბედლების აღმსვები.

უფალი, ღირსი კვერთხისა და გვირგვინისა, რომლითაც სრულყო ბრძენმა ქალღმერთმა მამამ, დამდგენელი ქიშის საზღვრებისა, უხვად შემწირველი წმიდა საზრდელისა ქალღმერთ ნინთუსათვის.

სრულყოფილი გამრიგე, მიმჩენელი საძოვართა და დასარწყულებელთა ლაგამ-გირსუსათვის მიმტანი დიდთა შესაწირავთა ენინუს ტაძრისათვის.

მტრების შემპყრობელი, ქალღმერთი თელითუმის ნანდაური, განმასრულებელი ხალაბის ნიშნებისა, იშთარის გულის გამხარებელი.

უმწიკვლო მთავარი, რომლის ხელთაპყრობა ადადმა უწყის, გმირი ადადის გულის დამაცხრობელი ბით-ქარქარაში. განმამზადებელი ჭეროვან საქმეთა ეუდგალგალის ტაძრად.

მეფე, ადაბისთვის სიცოცხლის მიმნიჭებელი, მზრუნველი ემახის ტაძრისა.

მეფეთა მთავარი, უსწორო მეომარი, რომელმაც სიცოცხლე მიანიჭა მამქან-შაბრიმს, რომელმაც მესლამი სიუხვით დაარწყულა.

ბრძენი განმგებელი, რომელიც მისწვდა წყაროს სიბრძნისას, მალგუმის მკვიდრთა შემფარებელი ძნელბედობისას, მათთა საყოფელთა სიმდიდრეში დამამყარებელი, ეასა და დამგალნუნას გულისათვის; განმადიდებელი თვისი მეფობისა, მარადის წმიდა მსხვერპლის შემწირველი.

მეუფეთა უპირველესი, ევფრატისპირა დაბების დამპყრო-

ბელი მისი შემქმნელის, დაგანის შემწეობით, რომელმაც შეიწყალა მერასა და თუთულის მკვიდრნი.

განდიდებული მთავარი, გამდიდებელი იშთარის სახისა, ნინაზუსათვის წმინდა საზრდელთა დამდგენელი, თავისი ხალხის გამომხსნელი ვაჭირვებიდან, ფერხთა მათთა შშვიდობით დამდგენელი ბაბილონში.

მწყემსი ხალხისა, რომლის საქმენი ეთნევა იშთარს, დამავანებელი იშთარისა ეულმაშის ტაძრად, ფართომოედნიან აქადის შუაგულში.

ჭეშმარიტებათა გამომცხადებელი, ერის წარმმართველი, დამბრუნებელი აშურ-ქალაქისთვის მისი მოწყალე მფარველი ქალღმერთისა.

ამბოხის ჩამქრობი, მეფე, რომელმან ნინუაში ემეშემშის ტაძრად გამოაცხადა იშთარის სახელები.

ეს მე ვარ დიდებული, მლოცველი დიდი ღმერთებისა, შვილთაშვილი სუმულაელისა, ძლიერი მემკვიდრე სინმუბალიტისა, მარადიული თესლი მეუფებისა, მეფე ძლიერი, მზე ბაბილონისა, შუმერისა და აქადის ქვეყნად სინათლის გამომტევებელი, სმენად მომაქცეველი ოთხივ კიდისა, იშთარის ნანდაური.

ოდეს მარღუქმა ხალხის წარსამართავად, ქვეყნისათვის კეთილ ზნეთა სასწავლებლად წარმომგზავნა, ქვეყნის ბაგეში ჭეშმარიტება და სამართალი ჩავდე, ყოფა ხალხისა დავაამე.

მას ჟამს:

1. უკეთუ კაცმა კაცი დაასმინა, მკვლელობა დააბრალა და ვერ დაუმტკიცა, მისი დამსმენელი სიკვდილით უნდა დაიხაჯოს.

2. უკეთუ კაცმა კაცს ჯადოქრობა დააბრალა და ვერ დაუმტკიცა, ის, ვისაც ჯადოქრობა დაბრადა, მდინარესთან უნდა მივიდეს, მდინარეში უნდა შევიდეს და, თუ იგი მდინარემ დაიჭირა, მისი დამსმენელი მის სახლს წაიღებს. თუ ეს კაცი მდინარემ გაწმინდა და იგი გადაჩჩა, ვინც მას ჯადოქრობა დააბრალა, სიკვდილით უნდა დაისაჯოს. ვინც მდინარეში შევიდა, თავისი დამსმენელის სახლს წაიღებს.

3. უკეთუ კაცი სასამართლოში დანაშაულის მოწმედ გამოვიდა და თავისი ნათქვამი ვერ დაამტკიცა, თუკი ეს სიცოცხლის საქმეა, ეს კაცი სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

4. უკეთუ ხორბლის ანდა ვერცხლის საქმეზე გამოვიდა მოწმედ, ამ საქმის სასჯელი უნდა დაეკისროს.

5. უკეთუ მოსამართლემ სამართალი განსაჯა, განაჩენი გამოიტანა, ბეჭედი დასვა, ხოლო შემდგომ ამისა სამართალი შეცვალა, ამ მოსამართლეს სამართლის შეცვლაში ამხელენ; ამ საქმის სასჯელს თორმეტმაგად გადაიხდის და საკრებულოში თავისი სამოსამართლეო სავარძლიდან გადააყენებენ, უკან ველარ დაბრუნდება და მოსამართლეებთან ერთად სასამართლოში ველარ დაჯდება.

6. უკეთუ კაცმა ღმერთის, ანდა სასახლის ქონება მოიპარა, ეს კაცი უნდა მოკვდეს, და ვინც ნაპარევი მისი ხელიდან მიიღო, ისიც უნდა მოკვდეს.

7. უკეთუ კაცმა ანდა ვერცხლი, ანდა ოქრო, ანდა მონა, ანდა მონა ქალი, ანდა ხარი, ანდა ცხვარი, ანდა ვირი, ანდა სხვა რამ კაცის შვილისაგან ან კაცის მონისაგან მოწმეების ან საბუთის გარეშე იყიდა ან შესანახად მიიბარა, ეს კაცი ქურდია და სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

8. უკეთუ კაცმა ანდა ხარი, ანდა ცხვარი, ანდა ღორი, ანდა ნავი მოიპარა, თუ ეს საქონელი ტაძრის ან სასახლისაა, ოცდაათმაგად უნდა ზლოს; თუ მუშქენისაა, ერთითად უნდა ზლოს. თუკი ქურდს გადასახდელად არაფერი აბადია, სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

9. უკეთუ კაცს რამე დაეკარგა, დანაკარგი სხვა ვინმეს უნახა ხელში, ის კაცი კი, ვისაც დანაკარგი ხელში უნახეს, იტყვის: „გამყიდველმა მომყიდა, მოწმეების თანდასწრებით ვიყიდეო“, ხოლო დანაკარგის პატრონი იტყვის: „ჩემი დანაკარგის მცნობელ მოწმეებს მოვიყვანო“, მყიდველმა უნდა მოიყვანოს გამყიდველი და მოწმეები, რომელთა თანდასწრებითაც იყიდა; ასევე დანაკარგის პატრონმაც უნდა მოიყვანოს თავის დანაკარგის მცნობელი მოწმეები. მოსამართლენი მათ საქმეს გამოიძიებენ, სყიდვა-გაყიდვის მოწმეებმა და დანაკარგის მცნობელმა მოწმეებმა თავიანთი ცოდნა ღმერთის წინაშე უნდა აღიარონ და გამყიდველს ქურდად ჩაითვლება, სიკვდილით უნდა დაისაჯოს. დანაკარგის პატრონი თავის დანაკარგს დაიბრუნებს, ხოლო მყიდველი თავის მიერ მოწონილ ვერცხლს გამყიდველის სახლიდან წაიღებს.

10. უკეთუ მყიდველი გამყიდველსა და სყიდვა-გაყიდვის დამსწრე მოწმეებს ვერ მოიყვანს, ხოლო დანაკარგის პატრონი დანაკარგის ნივთის მცნობელ მოწმეებს მოიყვანს, მყიდველი ქურდია და სიკვდილით უნდა დაისაჯოს. დანაკარგის პატრონი თავის დანაკარგს დაიბრუნებს.

11. უკეთუ დანაკარგის პატრონი დანაკარგის მცნობელ მოწმეებს ვერ მოიყვანს, ცრუ არის, ცილი დაუწამებია, და სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

12. უკეთუ გამყიდველი მკვდარია, მყიდველმა ამ საქმის სასარჩლო გამყიდველის სახლიდან ხუთმაგად უნდა ამოიგოს.

13. უკეთუ ამ კაცის მოწმეები ახლოს არ არიან, მოსამართლეებმა ექვსი თვის ვადა უნდა დაუნიშნონ. თუკი ექვს თვეშიც ვერ მოიყვანს მოწმეებს, ეს კაცი ცრუ არის და ამ საქმის სასჯელი უნდა დაედოს.

14. უკეთუ კაცმა კაცის უსაკო შვილი მოიპარა, ეს კაცი სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

15. უკეთუ კაცმა სასახლის მონა, ანდა სასახლის მონა ქალი, ანდა მუშქენის მონა, ანდა მუშქენის მონა ქალი, კარიბჭიდან გაიყვანა, ეს კაცი სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

16. უკეთუ კაცმა სასახლის ან მუშქენის მონა თავის სახლში დამალა და გზირის ძახილზე არ გამოიყვანა, სახლის პატრონი უნდა მოკვდეს.

17. უკეთუ კაცმა გაპარული მონა, ანდა მონა ქალი ქალაქგარეთ დაიჭირა და პატრონს მიჰგვარა, მონის პატრონმა 2 შიკლი ვერცხლი უნდა მისცეს.

18. უკეთუ მონა თავის პატრონს არ ვააცხადებს, სასახლეში უნდა მიიყვანოს, მისი საქმე უნდა გაირკვეს და იგი პატრონს დაუბრუნდეს.

19. უკეთუ ეს მონა თავის სახლში დააკავა და მონა უნახეს, ეს კაცი სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

20. უკეთუ მონა მის დამჭერს ხელიდან გაექცა, ამ კაცმა მონის პატრონს ღმერთი უნდა დაუფიცოს და გამართლდება.

21. უკეთუ კაცმა სახლში შესაპარავად ხვრელი გათხარა, ამ ხვრელის წინ უნდა მოკლან და ჩამოკიდონ.

22. უკეთუ კაცმა მძარცველობა ჩაიდინა და შეიპყრეს, ეს კაცი სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

23. უკეთუ მძარცველი ვერ შეიპყრეს, გაძარცულმა კაცმა თავისი დანაკარგი ღმერთის წინაშე უნდა გამოაცხადოს და თემი და უხუცესი, რომლის მიწაზე ან საზღვრებშიც მძარცველობა მოხდა, დანაკარგს უზღავენ.

24. უკეთუ მოკვდა ვინმე (ძარცვისას), თემმა და უხუცესმა მის სახლს 1 მანა ვერცხლი უნდა მიუწონონ.

25. უკეთუ ვინმეს სახლში ცეცხლი გაჩნდა და ჩასაქრობად მისულმა კაცმა სახლის პატრონის ჭურჭელს თვალი დაადგა და სახლის პატრონის ჭურჭელი წაიღო, ეს კაცი ცეცხლში უნდა ჩააგდონ.

26. უკეთუ რედუ ანდა ბაირი, რომელსაც სამეფო ლაშქარში გასვლა ებრძანა, არ გავიდა ან ქირისკაცი დაიჭირავა და თავის ნაცვლად გაგზავნა, ეს რედუ ანდა ბაირი სიკვდილით უნდა დაისაჯოს. ნაჭირავეები კაცი მის სახლს წაიღებს.

27. უკეთუ სამეფო ციხესიმაგრიდან ტყვედ წაყვანილი რედუ გინა ბაირი, რომლის მიწა და ბალი სამსახურის გასაწევად სხვას გადასცეს, უკან დაბრუნდება და თავის თემს მიაღწევს, მიწა და ბალი უნდა დაუბრუნონ და მან კვლავინდებურად უნდა გასწიოს თავისი სამსახური.

28. უკეთუ რედუ ანდა ბაირი სამეფო ციხესიმაგრიდან ტყვედ არის წაყვანილი, ხოლო მის შვილს სამსახურის გაწევა შეუძლია, მიწა და ბალი მას უნდა გადაეცეს და მამის ნაცვლად სამსახური უნდა გასწიოს.

29. უკეთუ მისი შვილი უსაკოა და მამის ნაცვლად სამ-

სახურის გაწევა არ შეუძლია, მიწის და ბალის მესამედი დედამისის გადაეცეს და დედამისი გაზრდის მას.

30. უკეთუ რედუ ანდა ბაირი თავის მიწას, ბალსა და სახლს სამსახურის (თავიდან აცილების) გამო დააგდებს და გადაიხვეწება, ხოლო მის შემდეგ მიწას, ბალსა და სახლს სხვა ვინმე დაიჭერს და სამი წლის განმავლობაში მის სამსახურს გაწევს, ის კაცი კიდევ რომ დაბრუნდეს და თავისი მიწა, ბალი და სახლი მოითხოვოს, უკან აღარ მიეცემა. ვისაც უჭირავს, სამსახური კვლავაც მან უნდა გაწიოს.

31. უკეთუ ერთ წელს იქნება გადახვეწილი და მერე დაბრუნდება, თავისი მიწა, ბალი და სახლი უკანვე გადაეცეს და თავისი სამსახური კვლავინდებურად გაწიოს.

32. უკეთუ სამეფო ლაშქრობიდან ტყვედ წაყვანილი რედუ, ანდა ბაირი თამქარმა გამოსიყიდა და მის თემს მიაღწევინა, გამოსასყიდელი თვითონ უნდა გადაიხადოს, თუკი მის სახლში გამოსასყიდელი იპოვება; თუკი მის სახლში გამოსასყიდელი არ იპოვება, მისი თემის ტაძრის სახსრით უნდა იქნას გამოსყიდული; თუკი მისი თემის ტაძარში გამოსასყიდელი არ იპოვება, სასახლემ უნდა გამოსიყიდოს. მიწა, ბალი და სახლი გამოსასყიდლის საფასურში არ გაიცემა.

33. უკეთუ დექუმ ანდა ლუფუთუმ დათხოვნილი ჯარისკაცი იყოლია ან სამეფო ლაშქრობაში სანაცვლოდ ქირის კაცი აიყვანა და განაწევა, ეს დექუმ ანდა ლუფუთუმ სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

34. უკეთუ დექუმ, ანდა ლუფუთუმ რედუს საქონელი მიითვისა, რედუ შეავიწროვა, რედუ გააჭირავა, რედუ სამარ-

თალში ძლიერს გადასცა, მეფის ნაბოძები საჩუქარი წაართვა, ეს დექუმ, ანდა ლუფუთუმ სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

35. უკეთუ კაცი ხარს, ანდა ცხვარს, რომელიც მეფემ რედუს მისცა, რედუსგან იყიდის, გადახდილი ვერცხლი დაეკარგება.

36. რედუს, ბაირის და მოხარკის მიწა, ბალი და სახლი ვერცხლზე არ გაიყიდება.

37. უკეთუ კაცმა რედუს, ბაირის, ანდა მოხარკის მიწა, ბალი, ან სახლი იყიდა, მისი ფირფიტა უნდა დაიმტვრეს და იგი თავის ვერცხლს დაკარგავს. მიწა, ბალი ან სახლი პატრონს დაუბრუნდება.

38. რედუ, ბაირი, ანდა მოხარკე თავისი სამსახურებელი მიწიდან, ბალიდან ან სახლიდან თავის ცოლს ან ასულს ვერაფერს დაუმტკიცებს და ვერც ვალის საფასურად გასცემს.

39. მას შეუძლია დაუმტკიცოს თავის ცოლს, ანდა ასულს ან ვალის საფასურად გასცეს რაიმე მხოლოდ იმ მიწიდან, ბალიდან, სახლიდან, რომელიც ნაყიდი აქვს და მის მფლობელობაშია.

40. ნადითს, თამქარს ან სხვა ვინმე მსახურეულს შეუძლია გაყიდოს თავისი მიწა, ბალი და სახლი. მიწის, ბალისა და სახლის სამსახური მყიდველმა უნდა გასწიოს.

41. უკეთუ კაცმა რედუს, ბაირს, ანდა მოხარკეს, მიწა, ბალი ან სახლი გაუცვალა და სართიც მისცა, რედუს, ბაირს, ანდა მოხარკეს შეუძლია უკან დაიბრუნოს თავისი მიწა, ბალი ან სახლი და აღებული სართიც დაიტოვოს.

42. უკეთუ კაცმა დასამუშავებლად მიწა აიღო, მაგრამ მიწაზე ხორბალი არ მოიყვანა, მიწის სამუშაოს შეუსრულებ-

ლობაში უნდა ამხილონ და იგი მიწის პატრონს მომიჯნავე მიწის კვალობაზე ხორბალს გადაუხდის.

43. უკეთუ მიწა არ დამუშავა და მიაგდო, მიწის პატრონს მომიჯნავე მიწის კვალობაზე მარცვალი უნდა გადაუხადოს. ამასთანავე, მიგდებული მიწა უნდა მოხნას, დაფარცხოს და მიწის პატრონს ჩააბაროს.

44. უკეთუ კაცმა სამი წლით ყამირი მიწა გასატეხად აიღო, მაგრამ იზარმაცა, მიწა არ გატეხა, მეოთხე წელს მიწა უნდა მოხნას, დაბაროს, დაფარცხოს და მიწის პატრონს ჩააბაროს. თან თითო ბურზე 10 გური ხორბალი უნდა მიუწონოს.

45. უკეთუ კაცმა მიწათმოქმედს საღალოდ მიწა მისცა და მიწის ღალაც აიღო, ხოლო შემდეგ მიწა ადადმა დატბორა ან წყალდიდობამ წაღეკა, ზარალი მიწათმოქმედისაა.

46. უკეთუ მიწის ღალა არ აუღია ან მიწა სანახევროდ ანდა სამესამედოდ ჰქონდა გაცემული, მიწაზე ხორბალი მიწათმოქმედმა და მიწის პატრონმა შესაბამისად უნდა გაიყონ.

47. უკეთუ იმის გამო, რომ პირველ წელს თავისი ნამუშევარი ვერ ამოიგო, მიწათმოქმედი იტყვის: „მიწას კვლავ დავამუშავებო“, მიწის პატრონი ვერ დაუშლის. მიწა ამ მიწათმოქმედმა უნდა დამუშავოს და მოსავლის აღებისას მიწის პატრონმა ხორბალი ხელშეკრულების მიხედვით წაიღოს.

48. უკეთუ კაცს ვისიმე ვალი მართებს, მიწა კი ადადმა დატბორა ან წყალდიდობამ წაღეკა ანდა გვალვის გამო მიწაზე ხორბალი არ მოუვიდა, ამ წელს ხორბალი შეუძლია მევალეს არ დაუბრუნოს, ფირფიტა გადაარეცხოს და ამ წლის სარგებელი არ გადაუხადოს.

588 - 1433 - 26858

49. უკეთუ კაცმა თამქარისგან ვერცხლი აიღო, მერე თამქარს სახორბლე ან სასეზამე მიწა მისცა და უთხრა: „მიწა დამუშავე, მოწეული ხორბალი ან სეზამი აკრიფე და წაიღე“ და ამის შემდეგ მიწათმოქმედი მიწაზე ხორბალს ან სეზამს მოიყვანს, მოსავლის აღებისას მიწაზე მოწეული ხორბალი ან სეზამი მიწის პატრონმა უნდა აიღოს; ხოლო თამქარს აღებული ვერცხლისა და მისი სარგებლის ანგარიშში ხორბალი გადაუხადოს და მიწის დამუშავებაზე გაწეული ხარჯებიც აუნაზღაუროს.

50. უკეთუ ხორბლის ან სეზამის დამუშავებულ მიწას მისცემს, მიწაზე მოწეული ხორბალი ან სეზამი მხოლოდ მიწის პატრონმა უნდა აიღოს, ხოლო თამქარს ვერცხლი სარგებლით უნდა დაუბრუნოს.


51. უკეთუ გასასტუმრებელი ვერცხლი არა აქვს აღებული, ვერცხლისა და მისი სარგებელის საღირალი ხორბალი ან სეზამი თამქარს სამეფო ნიხრის მიხედვით უნდა გადაუხადოს.

52. უკეთუ მიწათმოქმედი მიწაზე ხორბალს ან სეზამს არ მოიყვანს, თავის ხელშეკრულებას იგი ვერ შეცვლის.

53. უკეთუ კაცმა თავისი მიწის ჯებირის გასამაგრებლად არ იზრუნა, ჯებირი არ გაამაგრა, ჯებირში ხვრელი გაჩნდა და წყალმა ყანა წაღეკა, კაცმა, რომლის ჯებირშიც ხვრელი გაჩნდა, განადგურებული ხორბალი უნდა ზღოს.

54. უკეთუ ხორბლის ანაზღაურება არ შეუძლია, ეს კაცი და მისი ქონება ვერცხლზე უნდა ვაიცილოს ყანის შეილება, რომელთა ხორბალი წყალმა წაღეკა, ვერცხლს უტომანეთში ვაიყოფენ.

2. ხამურაბის კანონები



55. უკეთუ კაცმა სარწყავად საკუთარი რუ გაიყვანა, მერე უყურადღებოდ მიაგდო და მეზობლის მიწა წყალს წააღეკინა, ხორბალი მეზობლის მიწის კვალობაზე უნდა მიუწონოს.

56. უკეთუ კაცმა წყალი გაიყვანა და მეზობლის მიწაზე ნამუშევარი წყალს წააღეკინა, თითო ბურზე 10 გური ხორბალი უნდა მიუთვალოს.

57. უკეთუ მწყემსი ცხვრისთვის ბალახის მოსაძოვებლად ყანის (=მიწის) პატრონს არ შეუთანხმდება და ყანის პატრონის უნებართვოდ ცხვარს ყანას მოაძოვებინებს, როცა ყანის პატრონი თავის ყანას მომკის, მწყემსმა, რომელმაც ყანის პატრონის უნებართვოდ ცხვარს ყანა მოაძოვებინა, ყანის პატრონს თითო ბურზე ზედმეტად 20 გური ხორბალი უნდა გადაუხადოს.

58. უკეთუ მინდვრიდან ცხვრის ამოსვლის შემდეგ, როცა ფარეხის ლატანი ჭიშკარშია გაყრილი, მწყემსი ცხვარს ყანაში (=მიწაზე) მიუშვებს და ყანას მოაძოვებინებს, მწყემსმა ყანა, რომელიც მოაძოვებინა, უნდა დაიცვას, და მოსავლის აღებისას ყანის პატრონს თითო ბურზე 60 გური ხორბალი მიუთვალოს.

59. უკეთუ კაცმა სხვის ბაღში ბაღის პატრონის უნებართვოდ ხე მოჭრა, ნახევარი მანა ვერცხლი უნდა მიუთვალოს.

60. უკეთუ კაცმა ბაღის გასაშენებლად მეზაღეს მიწა მისცა, მეზაღემ ოთხი წლის განმავლობაში უნდა გაზარდოს ბაღი; მესხეთე წელს ბაღის პატრონი და მეზაღე (შემოსავალს) თანაბრად გაიყოფენ. ბაღის პატრონს შეუძლია თავისი წილი აირჩიოს და წაიღოს.

61. უკეთუ მეზაღემ ბაღის გაშენება არ დაასრულა, ყამირი დატოვა, ყამირი წილად უნდა ჩაუთვალოს.

62. უკეთუ მიწაზე, რომელიც მას მიეცა, ბაღი არ გააშენა, თუკი ეს მიწა სავარგული იყო, გაცდენილი წლების მოსავალი მეზაღემ მიწის პატრონს მეზობლის მიწის კვალობაზე უნდა მიუთვალოს, მიწის სამუშაო შეასრულოს და მიწა პატრონს ჩააბაროს.

63. უკეთუ მიწა ყამირი იყო, მიწის სამუშაო უნდა შეასრულოს და მიწა მიწის პატრონს უნდა დაუბრუნოს. ამასთანავე წელიწადში თითო ბურიდან 10 გური ხორბალი უნდა მიუთვალოს.

64. უკეთუ კაცი თავის ბაღს დასამტვერავად მეზაღეს მისცემს, მეზაღემ, ვიდრე ბაღი მის ხელშია, ბაღის მოსავლის ორი მესამედი პატრონს უნდა აძლიოს, ერთი მესამედი თვითონ წაიღოს.

65. უკეთუ მეზაღემ ბაღს არ მოუარა, მოსავალი შეამცირა, მეზაღემ ბაღის მოსავალი მეზობლის ბაღის კვალობაზე უნდა გადაუხადოს.

I. უკეთუ კაცი თამქარისგან ვერცხლს ისესხებს და თამქარი გადახდას მოსთხოვს, მას კი გადასახდელი არ ექნება და თამქარს უკვე დამყნობილ ბაღს მისცემს და ეტყვის: „ფინიკი, რაც ბაღი მოიწევა, შენი ვერცხლის ფასში წაიღეო“, თამქარი არ დაეთანხმება, ბაღში მოწეული ფინიკი ბაღის პატრონმა უნდა აიღოს, ხოლო თამქარს, ხელშეკრულების თანახმად, ვერცხლი და მისი სარგებელი გადაუხადოს. ბაღში მოწეული დანარჩენი ფინიკი ბაღის პატრონს დაარჩება.

II. უკეთუ კაცს სახლის აშენება სურს და მისი მეზობელი

III. უკეთუ კაცი სამსახურებელი სახლის საყიდლად, რომელიც მეზობლის სახლს ეკუთვნის, ხორბალს, ვერცხლს ან სხვა რამ ქონებას გადაიხდის, ყველაფერი რაც გადაიხადა, დაეკარგება, სახლი სახლის პატრონსვე დაუბრუნდება. უკეთუ სახლი სამსახურებელი არ არის, შეუძლია იყიდოს; ამ სახლისთვის ხორბალს, ვერცხლს ან სხვა რამ ქონებას გადაიხდის.

IV. უკეთუ კაცმა მეზობლის ყამირი მეზობლის უნებარეოდ გატეხა, სახლს, რომელიც იქ ააშენა, დაკარგავს. მიწა მის პატრონსვე დაუბრუნდება.

V. უკეთუ კაცმა კაცს ერთი წლით სახლი მიაქირავა, მდგმურმა სახლის პატრონს მთელი წლის ქირა გადაუხადა, სახლის პატრონმა კი მდგმურს ვადაზე ადრე გასვლა მოსთხოვა, სახლის პატრონი, იმის გამო რომ მდგმური ვადაზე ადრე გაასახლა, მდგმურისაგან მიღებულ ვერცხლს დაკარგავს.

VI. (დამტკვრეულია)

VII სახლის პატრონმა დანგრეული სახლი უნდა შეაკეთოს. თუ რამე დაიკარგა, სახლის პატრონმა მდგმურს დანაკარგი უნდა აუნაზღაუროს. თუკი . . .

VIII. უკეთუ კაცმა, რომლის მეზობლის სახლი დანიგრა ან რომლის მეზობლის სახლი გაუკაცრიელდა, დანგრეული სახლის პატრონს უთხრა: „დანგრეული შეაკეთე, შენი სახლიდან გადმომიძვრებიანო“, ანდა გაუკაცრიელებული სახლის პატრონს უთხრა: „სახლს მოუარე, შენი გაუკაცრიელებული სახლიდან ჩემს სახლს შემოთხრიანო“ და [მერე] ყველაფერი,

რაც გადმოძრომისას დაიკარგა ან შემოთხრისას მოპარეს, გამოაცხადა

IX—X . . . (მომტკვრეულია)

XI. უკეთუ თამქარმა ხორბალი გაასესხა, თითო გურზე სარგებელში 100 კა ხორბალი უნდა აიღოს; უკეთუ ვერცხლი გაასესხა, თითო შიკლ ვერცხლზე სარგებელში 1/6 შიკლი და 6 მარცვალი უნდა აიღოს.

XII. უკეთუ კაცს ვალი მართებს და გადასახდელი ვერცხლი არ გააჩნია, მაგრამ ხორბალი კი აქვს, სამეფო ნიხრის თანახმად, თამქარმა სარგებელში ხორბალი უნდა აიღოს. თუკი თამქარმა თითო გურ ხორბალზე სარგებელი 100 კა გადაამეტა ანდა თითო შიკლ ვერცხლზე სარგებელი 1/6 შიკლსა და 6 მარცვალს გადაამეტა და აიღო, ყველაფერი რაც გაასესხა, დაეკარგება.

XIII. უკეთუ თამქარმა ხორბალი ან ვერცხლი გაასესხა, მთელი ხორბლისა ან ვერცხლის სარგებელი მიიღო, მაგრამ ხორბალი ან ვერცხლი არ

XIV. უკეთუ თამქარმა ხორბალი ან ვერცხლი გაასესხა, თაენი არ მიუღია, მთელი ხორბლის ან ვერცხლის სარგებელი კი მიიღო, მაგრამ მიღებული ხორბალი ან ვერცხლი არ გამოუბარა და, ახალი საბუთი არ დაწერა ანდა სარგებელი თავნის დაუმატა, ამ თამქარმა მიღებული ხორბალი ან ვერცხლი ერთიორად უნდა დააბრუნოს.

XV. უკეთუ თამქარმა ხორბალი ან ვერცხლი გაასესხა, გასესხებისას ვერცხლი მსუბუქი საწონით ანდა ხორბალი მცირე საწყაოთი გასცა, ხოლო მიღებისას ვერცხლი მძიმე საწო-

ნით ანდა ხორბალი დიდი საწყაოთი მიიღო, ყველაფერი, რაც მიიღო, დაეკარგება.

XVI. უკეთუ თამქარმა ხორბალი ან ვერცხლი მოწმეებისა ანდა საბუთის ვარეშე გაასესხა, ყველაფერი, რაც ვასესხა დაეკარგება.

XVII. უკეთუ კაცმა თამქარისგან ხორბალი ან ვერცხლი ისესხა, მაგრამ გასასტუმრებელი ხორბალი ან ვერცხლი არ გააჩნია, სხვა ქონება კი აქვს, ყველაფერი, რაც მის ხელთაა თამქარს უნდა მიუტანოს და მოწმეების თანდასწრებით მისცეს. თამქარი უარს ვერ იტყვის, უნდა მიიღოს.

XVIII—XIX. (მომტვრეულია).

XX. უკეთუ კაცმა კაცს საამხანაგოდ ვერცხლი მისცა, მოგება და ზარალი, რაც კი იქნება, ღმერთის წინაშე თანაბრად უნდა გაიყონ.

100. უკეთუ თამქარმა შამალუს სააღებმიცემოდ ვერცხლი მისცა, გზაზე გაისტუმრა, შამალუმ გზაში (მინდობილი ვერცხლი დააბანდა) და სადაც წავიდა, მოგება ნახა, მიღებულ ვერცხლის სარგებელი უნდა ჩაიწეროს; (მგზავრობის) დღეებს დაითვლიან და იგი თამქარს ანგარიშს გაუსწორებს.

101. უკეთუ სადაც წავიდა, მოგება ვერ ნახა, აღებულ ვერცხლი შამალუმ თამქარს ერთიორად უნდა გადაუხადოს.

102. უკეთუ თამქარმა შამალუს ვერცხლი ხელის გასამართავად მისცა, შამალუმ კი სადაც წავიდა, ზარალი ნახა, თამქარს მხოლოდ ვერცხლის თავნი უნდა დაუბრუნოს.

103. უკეთუ ყველაფერი, რაც მოჰქონდა, მგზავრობისა მტერმა დააგდებინა, შამალუმ ღმერთი უნდა დაიფიცოს და გამართლდება.

104. უკეთუ თამქარმა შამალუს ხორბალი ანდა მატყლი, ანდა ზეთი, ანდა სხვა რამ საქონელი გასასაღებლად მისცა, შამალუმ ვერცხლზე უნდა იანგარიშოს და თამქარს დაუბრუნოს. შამალუ თამქარისთვის მიცემული ვერცხლის საბუთს მიიღებს.

105. უკეთუ შამალუ დაუდევრად მოიქცა და თამქარისთვის მიცემულ ვერცხლში საბუთი არ აიღო, უსაბუთოდ ვერცხლი ანგარიშში არ ჩაითვლება.

106. უკეთუ შამალუმ თამქარისგან ვერცხლი აიღო, მერე თავის თამქარს პირი უშალა, თამქარმა კი ღმერთისა და მოწმეების წინაშე შამალუს ვერცხლის მიღება დაუმტკიცა, შამალუმ მიღებული ვერცხლი თამქარს სამმაგად უნდა გადაუხადოს.

107. უკეთუ თამქარმა შამალუს რაიმე მიბარა, შამალუმ მიბარებული უკან დაუბრუნა, თამქარმა კი მიბარებულის დაბრუნება უარყო, ამ შამალუმ ღმერთისა და მოწმეების წინაშე თამქარი უნდა ამხილოს; თამქარმა იმის გამო, რომ თავის შამალუს პირი უშალა, ყველაფერი, რაც დაიბრუნა, შამალუს ექვსმაგად უნდა გადაუხადოს.

108. უკეთუ მიკიტანი ქალი სასმელის საფასურში ხორბალს არ იღებს, ვერცხლს დიდი საწონით იღებს ანდა სასმელის ღირებულებას ხორბლის ღირებულების მიმართ ამცირებს, ეს სირაჯი ქალი უნდა ამხილონ და წყალში გადაავდონ.

109. უკეთუ მიკიტანი ქალი, ვის სახლშიც ბოროტმოქმედნი შეითქვენენ, ამ ბოროტმოქმედთ არ შეიპყრობს და სასახლეში არ მიიყვანს, ეს სირაჯი ქალი სიკვდილით უნდა დაიხადოს.

110. უკეთუ ნადითმა ან ქალქურუმმა, რომელიც ტაძრის უბანში არ ცხოვრობს სამიკიტნო გააღო ანდა სასმელისთვის სამიკიტნოში შევიდა, ეს დედაკაცი უნდა დაწვან.

111. უკეთუ მიკიტანმა ქალმა 60 კა ლუდი გაასესხა, მოსავლის დროს 50 კა ხორბალი უნდა აიღოს.

112. უკეთუ გზაზე დამდგარმა კაცმა ვერცხლი, ანდა ოქრო, ანდა პატიოსანი თვლები, ანდა სხვა რამ ხელის ქონება ვინმეს მისცა და სადმე მისატანად გაატანა, ხოლო ამ კაცმა, რაც გაატანეს, თავის ადგილზე არ მიიტანა და მიითვისა, ამანათის პატრონმა ამ კაცს უნდა დაუმტკიცოს, რომ რაც გაატანეს, ადგილზე არ მიუტანია და ეს კაცი ყველაფერს, რაც მას მისცეს, ამანათის პატრონს ერთი-ხუთად გადაუხდის.

113. უკეთუ კაცი, რომელსაც კაცისგან ხორბალი ანდა ვერცხლი ეკუთვნის, ხორბლის პატრონის უნებართვოდ მისი ბელლიდან ან კალოდან ხორბალს წაიღებს, ეს კაცი ხორბლის პატრონის უნებართვოდ ბელლიდან ან კალოდან ხორბლის წაღებაში უნდა ამხილონ და წაღებულ ხორბალს დააბრუნებს, და ყველაფერი, რაც ადრე გაცემული ჰქონდა, დაეკარგება.

114. უკეთუ კაცმა კაცისგან, რომელსაც მისი ხორბალი ანდა ვერცხლი არ მართებს, ნახუთევი დაიხუთა, თითო ნახუთევზე 1/3 მანა ვერცხლი უნდა მიუწონოს.

115. უკეთუ კაცმა, რომელსაც კაცისგან ხორბალი ანდა ვერცხლი ერგება, მისგან ნახუთევი დაიხუთა და ეს ნახუთევი თავისი დამხუთველის სახლში თავისი ბედისწერით მოკვდა, ეს საქმე ვერ გასაჩივრდება.

116. უკეთუ ნახუთევი თავისი დამხუთველის სახლში ცემით ან ცუდი მოპყრობით მოკვდა, ნახუთევის პატრონმა

თავისი მევალე ამხილოს და, თუ ნახუთევი კაცის შვილია, მევალის შვილი სიკვდილით უნდა დაისაჯოს. თუ კაცის მონაა, 1/3 მანა ვერცხლი მიუწონოს, გასესხებული კი დაეკარგება.

117. უკეთუ კაცი ვალებში ჩავარდა, თავისი ცოლი, ვაჟი ანდა ასული ვერცხლზე გაყიდა ანდა საკაბალოდ მისცა, სამ წელიწადს მათი მყიდველის ანდა მეკაბალის სახლში უნდა იმუშაონ, მეოთხე წელს კი განთავისუფლდებიან.

118. უკეთუ საკაბალოდ მონა ან მონა ქალი მისცა, თამქარს (გადახდა) დაუგვიანა, თამქარი ვერცხლზე გაყიდის, ვერ გასაჩივრდება.

119. უკეთუ კაცი ვალებში ჩავარდა და თავისი მონა ქალი, რომელმაც მას შვილები უშვა, ვერცხლზე გაყიდა, მონა ქალის პატრონს შეუძლია თამქარის მოცემული ვერცხლი თამქარს უკანვე მიუწონოს და თავისი მონა ქალი დაიხსნას.

120. უკეთუ კაცმა თავისი ხორბალი კაცის სახლში შეინახა, ბელელში დანაკლისი აღმოჩნდა ანდა სახლის პატრონმა კიდობანი გააღო და ხორბალი წაიღო, ანდა სრულიად უარყო, რომ მის სახლში ხორბალი ინახება, ხორბლის პატრონმა თავისი ხორბალი ღმერთის წინაშე უნდა გამოაცხადოს და სახლის პატრონი მითვისებულ ხორბალს ხორბლის პატრონს ერთიორად გადაუხდის.

121. უკეთუ კაცმა კაცის სახლში ხორბალი შეინახა, ბელლის ქირად თითო გურ მარცვალზე წელიწადში 5 კა ხორბალი უნდა გადაუხადოს.

122. უკეთუ კაცი ვერცხლს, ანდა ოქროს, ანდა სხვა რამ საქონელს შესანახად ვინმეს აბარებს, ყველაფერი, რასაც

აბარებს მოწმეებს უნდა აჩვენოს, ხელშეკრულება გაამზადოს და შესანახად ისე მიაბაროს.

123. უკეთუ მოწმეებისა ან ხელშეკრულების გარეშე მიაბარა შესანახად და, სადაც მიაბარა, უარი უთხრეს, ამ საქმეს სარჩელი არ ექნება.

124. უკეთუ კაცმა კაცს ვერცხლი ანდა ოქრო, ანდა სხვა რამ საქონელი მოწმეების თანდასწრებით შესანახად მიაბარა და შემდეგ უარი უთხრეს, უარყოფელი უნდა ამხილონ და ყველაფერს, რაც უარყო, ერთიორად გადაიხდის.

125. უკეთუ კაცმა შესანახად რაიმე მიაბარა და, სადაც მიაბარა, მიბარებული ნივთები კედლის განგრევისას ან გადაძრომისას სახლის პატრონის ნივთებთან ერთად დაიკარგა, სახლის პატრონმა, რომელიც უყურადღებოდ მოიქცა და შესანახად მიბარებულ ნივთები დაკარგა, პატრონს დანაკარგი უნდა შეუვსოს და აუნაზღაუროს. სახლის პატრონმა თავისი დანაკარგი თავად ეძებოს, მპარავს წაართვას.

126. უკეთუ კაცს არაფერი დაკარგვია და მაინც იტყვის: „რაღაც დამეკარგაო“ და თავის უბანს დასწამებს, მისმა უბანმა ღმერთის წინაშე უნდა განაცხადოს, რომ ამ კაცს არაფერი დაკარგვია, და იგი ყველაფერს, რასაც ითხოვს, ერთიორად გადაუხდის თავის უბანს.

127. უკეთუ კაცმა ქალქურუმს ანდა კაცის ცოლს თითო მიუშვირა, მაგრამ ვერ დაამტკიცა, ეს კაცი მოსამართლეთა წინაშე უნდა დააგდონ და ნახევარი თავი გადააპარსონ.

128. უკეთუ კაცმა ცოლი ითხოვა, მაგრამ ხელშეკრულება არ დაუდო, ეს ქალი არ არის ცოლი.

129. უკეთუ კაცის ცოლს სხვა მამაკაცთან მწოლარეს

წაუსწრეს, ორივენი უნდა შეკრან და წყალში გადაყარონ. თუკი ცოლის პატრონი თავის ცოლს შეიწყალებს, მაშინ მეფეც შეიწყალებს თავის ქვეშევრდომს.

130. უკეთუ კაცმა კაცის ცოლზე, რომელმაც მამაკაცი არ იცის და მამის სახლში ცხოვრობს, ძალა იხმარა, გვერდით მიუწვა და წაუსწრეს, ეს კაცი სიკვდილით უნდა დაისაჯოს, ხოლო ქალი გამართლდეს.

131. უკეთუ კაცის ცოლს თავისმა ქმარმა ბრალი დასდო, მაგრამ სხვა მამაკაცთან მწოლიარეს ვერ წაუსწრო, ქალმა ღმერთი უნდა დაიფიცოს და თავის სახლში დაბრუნდება.

132. უკეთუ კაცის ცოლს სხვა მამაკაცის მიზეზით თითო მიუშვირეს, მაგრამ სხვა მამაკაცთან მწოლიარეს ვერ წაუსწრეს, ამ ქალმა თავისი ქმრის გულისათვის მდინარეში უნდა ჩაყვინთოს.

133. უკეთუ კაცი ტყვედ ჩავარდა, სახლში სარჩო ეპოვება, მისმა ცოლმა, ვიდრე ქმარი შინ არაა, თავი უნდა შეინახოს და მეორის სახლში არ უნდა შევიდეს. უკეთუ ამ ქალმა თავი არ შეინახა, მეორის სახლში შევიდა, ეს ქალი უნდა ამხილონ და წყალში გადააგდონ.

134. უკეთუ კაცი ტყვედ ჩავარდა, სახლში კი სარჩო არ ეპოვება, მის ცოლს შეუძლია მეორის სახლში შევიდეს, ბრალი არ ექნება.

135. უკეთუ კაცი ტყვედ ჩავარდა, მის სახლში კი სარჩო არ იპოვება, მისი ცოლი ქმრის დაბრუნებამდე მეორის სახლში შევიდა და შვილები შვა, მერე მისი ქმარი დაბრუნდა და თავის თემს მოაღწია, ეს ქალი პირველი ქმრის სახლში უნდა დაბრუნდეს, შვილები მამასთან დარჩებიან.

136. უკეთუ კაცმა თავისი თემი დააგდო და გადაიხვეწა, ამის შემდეგ მისი ცოლი მეორის სახლში შევიდა, მერე ეს კაცი დაბრუნდა და ცოლის წაყვანა მოინდომა, რაკი ამ კაცმა თავისი თემი მოიძულა და გადაიხვეწა, გადახვეწილის ცოლი ქმარს აღარ დაუბრუნდება.

137. უკეთუ კაცმა განიზრახა გაუშვას შუგითი, რომელმაც მას შვილები უშვა ანდა ნადითი, რომელმაც მას შვილები შეაძენინა, ამ ქალს მზითევი უნდა დაუბრუნონ და შვილების გასაზრდელად მიწის, ბაღის ან სხვა ქონების ნახევარი უნდა მისცენ. შვილების გაზრდის შემდეგ იმ ქონებიდან, რაც შვილებისთვის მიეცა, ერთი მეშვიდრის წილი უნდა გამოუყონ; ქალი მისი გულის ქმარმა წაიყვანოს.

138. უკეთუ კაცმა განიზრახა გაუშვას თავისი პირველი ცოლი, რომელსაც მისთვის შვილები არ უშვია, ქალს მისი ურვადის საფასური ვერცხლი უნდა მისცენ და მამის სახლიდან გამოყოლილი მზითევიც გაუმრთელონ. მხოლოდ მაშინ შეეძლება მისი გაშვება.

139. უკეთუ ურვადი არ ყოფილა, ერთი მანა ვერცხლი გაშვებისათვის უნდა მისცეს.

140. უკეთუ ის მუშქენია, 1/3 მანა ვერცხლი უნდა მისცეს.

141. უკეთუ კაცის ცოლი, რომელიც ქმრის სახლში ცხოვრობს, სახლიდან გასვლას ფიქრობს, ქონებას იუნჯებს, თავის სახლს აჩანაგებს და ქმარს ამცირებს, უნდა ამხილონ და, თუკი ქმარი მის გაშვებას იტყვის, შეუძლია გაუშვას, გზისა და გაშვებისა არაფერი მიეცემა. თუკი მისი ქმარი მის გაშვებას არ იტყვის, ქმარს შეუძლია მეორე ქალი მოიყვანოს. ის ქალი კი ქმრის სახლში მონა ქალად დარჩება.

142. უკეთუ ქალმა თავისი ქმარი მოიძულა, „არ მომეკაროო“, უთხრა, მისი საქმე მის უბანში უნდა გაირჩეს. თუკი იგი თავშენახულია და ცოდვა არ აწევს, მისი ქმარი კი სახლიდან გადის ხოლმე და ძლიერ ამცირებს მას, ამ ქალს ბრალი არ დაედება, თავის მზითევს წაიღებს და მამის სახლში წავა.

143. უკეთუ ქალი თავშენახული არ არის, სახლიდან გადის ხოლმე, თავის ოჯახს აჩანაგებს, ქმარს ამცირებს, ეს ქალი წყალში უნდა გადააგდონ.

144. უკეთუ კაცმა ნადითი მოიყვანა, ამ ნადითმა თავის ქმარს მონა ქალი მისცა და შვილები შეაძენინა, კაცმა კი შუგითის მოყვანა განიზრახა, ამის ნება არ მიეცემა, შუგითს ვერ მოიყვანს.

145. უკეთუ კაცმა ნადითი მოიყვანა, ნადითმა შვილები გაუჩინა, კაცმა კი შუგითის მოყვანა განიზრახა, ამ კაცს შეუძლია შუგითი მოიყვანოს და სახლში შეიყვანოს. ოღონდ შუგითი ნადითს ვერ გაუთანასწორდება.

146. უკეთუ კაცმა ნადითი მოიყვანა, ნადითმა თავის ქმარს მონა ქალი მისცა, რომელმაც შვილები შვა, ხოლო შემდგომ ამ ქალმა თავის ქალბატონთან გათანასწორება დააპირა, რაკი მონა ქალმა შვილები შვა, ქალბატონი მას ვერცხლზე ვერ გაყიდის. შეუძლია მხოლოდ (მონობის) ნიშანი დაადოს და მონა ქალებში ჩათვალოს.

147. უკეთუ შვილები არ უშვია, მის ქალბატონს შეუძლია ვერცხლზე გაჰყიდოს იგი.

148. უკეთუ კაცმა ცოლი მოიყვანა, ცოლს ციება შეეყა-

რა და კაცმა მეორე ცოლის მოყვანა განიზრახა, შეუძლია მოიყვანოს, ოღონდ ციებიანი ცოლი არ უნდა გაუშვას, ქალმა ქმრის აზნებულ სახლში იცხოვროს და ქმარმა სიკვდილამდე არჩინოს იგი.

149. უკეთუ ეს ქალი ქმრის სახლში ცხოვრებას არ მოისურვებს, ქმარმა მამის სახლიდან გამოყოლილი მზითევი უნდა გაუმრთელოს და ისე გაუშვას.

150. უკეთუ კაცმა თავის ცოლს მიწა, ბაღი ან სხვა რამ საქონელი აჩუქა და ბეჭდიანი საბუთიც მისცა, ქმრის შემდეგ შვილები მას ვერ შეეცილებიან. დედა თავის მემკვიდრეობას საყვარელ შვილს მისცემს, სხვას არ მისცემს.

151. უკეთუ ქალმა, რომელიც კაცის სახლში ცხოვრობს, თავისი ქმარი დაავალდებულა და საბუთი მოაცემინა, რომ ქმრის მევალეები მას არ დაიხუთავენ, თუკი ამ კაცს ქალის მოყვანამდე ემართა ვალი, მისი მევალეები მის ცოლს ვერ დაიხუთავენ. თუ ამ ქალს, ვიდრე კაცის სახლში შევიდოდა, ვალი ემართა, ქალის მევალეები მის ქმარს ვერ დაიხუთავენ.

152. უკეთუ მას შემდეგ, რაც ქალი კაცის სახლში შევა, ვალს დაიდებენ, თამქარის წინაშე ორივენი აგებენ პასუხს.

153. უკეთუ კაცის ცოლი სხვა მამაკაცის გულისთვის თავის ქმარს მოაკვლევინებს, ეს ქალი მარგილზე უნდა გასვან.

154. უკეთუ კაცმა თავისი ასული შეიცნო. ეს კაცი თემიდან უნდა გააძევეს.

155. უკეთუ კაცმა თავის ვაჟს საცოლვე აურჩია, ვაჟმა ეს ქალი შეიცნო, და მერე ეს კაცი დაწვა ქალთან და წაასწრეს, ეს კაცი უნდა შეკრან და წყალში გადაავდონ.

156. უკეთუ კაცმა თავის ვაჟს საცოლვე აურჩია, ვაჟს

ეს ქალი ჯერ არ შეუცვნია, ეს კაცი კი ქალთან დაწვა, ქალს 1/2 მანა ვერცხლი უნდა მიუწონოს და ყველაფერი, რაც მამამისის სახლიდან მოჰყვა, სრულად უნდა გაუმრთელოს. ქალი მისი გულის ქმარმა წაიყვანოს.

157. უკეთუ კაცი მამის სიკვდილის შემდეგ დედასთან დაწვება, ორივენი ცეცხლში უნდა დაწვან.

158. უკეთუ კაცს მამის სიკვდილის შემდეგ თავის გამზრდელთან, რომელსაც შვილები ჰყავს ნაშობი, წაასწრეს, ეს კაცი მამის სახლიდან უნდა მოიკვეთოს.

159. უკეთუ კაცმა სიმამრის სახლში მისატანი გაგზავნა, ურვადიც გადაიხადა, ხოლო შემდეგ თვალში სხვა ქალი მოუვიდა და სიმამრს უთხრა: „შენი ასული არ მიმყავსო“, ქალის მამა ყველაფერს, რაც მოუტანეს, თავისთვის დაიტოვებს.

160. უკეთუ კაცმა სიმამრის სახლში მისატანი გაგზავნა, ურვადიც გადაიხადა, ხოლო შემდეგ ქალის მამამ უთხრა: „ჩემს ასულს არ მოგცემო“, ყველაფერი, რაც მას მიუტანეს, ერთიორად უნდა დააბრუნოს.

161. უკეთუ კაცმა სიმამრის სახლში მისატანი გაგზავნა, ურვადიც გადაიხადა, მერე მისმა მეგობარმა მას ცილი დასწამა და სიმამრმა ცოლის პატრონს უთხრა: „ჩემს ასულს ვერ წაიყვანო“, ყველაფერი, რაც მიუტანეს ერთიორად უნდა დაუბრუნოს. მისი მეგობარი მის საცოლვეს ვერ წაიყვანს.

162. უკეთუ კაცმა ცოლი მოიყვანა, ცოლმა შვილები უშვა და ქალი მოკვდა, მის მზითევს ქალის მამა უკან ვერ მოითხოვს. მზითევი შვილებს ეკუთვნის.

163. უკეთუ კაცმა ცოლი მოიყვანა, ქალმა შვილები არ გაუჩინა და ეს ქალი მოკვდა, თუკი ურვადს, რომელიც ამ კაცმა სიმამრის სახლში მოიტანა, სიმამრი დაუბრუნებს, ქალის მზითვეს ქმარი ველარ მოითხოვს. მისი მზითვეი მამის სახლს ეკუთვნის.

164. უკეთუ სიმამრმა ურვადი არ დააბრუნა, ქმარმა მის მზითვეიდან ურვადის ღირებულება უნდა გამოქვითოს და მისი მზითვეი მამამისის სახლში დააბრუნოს.

165. უკეთუ კაცმა თავის მემკვიდრე ვაჟს, რომელიც მის თვალში უპირატესია. მიწა ანდა ბაღი, ანდა სახლი აჩუქა და საბუთიც დაუწერა, ხოლო მამის სიკვდილის შემდეგ ძმებმაც გაყოფა განიზრახეს, მემკვიდრე ვაჟი მამისგან მიცემულ საჩუქარს წაიღებს; ამას გარდა ძმები მამის სახლის ქონებას თანაბრად გაიყოფენ.

166. უკეთუ კაცმა თავის შვილებს, რომლებიც ჰყავს ცოლები მოუყვანა, მცირეწლოვანი ვაჟისათვის კი არ მოუყვანა, მამის სიკვდილის შემდეგ, როცა ძმები გაყოფას განიზრახავენ, მამის სახლის ქონებიდან მცირეწლოვან უცოლო ძმას მისი კუთვნილი წილის გარდა ურვადის საფასური ვერცხლი უნდა გამოუყონ და ცოლი მოუყვანონ.

167. უკეთუ კაცმა ცოლი მოიყვანა და ცოლმა შვილები უშვა, ეს ქალი მოკვდა და მის შემდეგ კაცმა მეორე ცოლი მოიყვანა და მან შვილები უშვა; მამის სიკვდილის შემდეგ შვილები დედების მიხედვით არ უნდა განიყვნენ. თითოეულმა

თავისი დედის მზითვეი უნდა აიღოს, ხოლო მამის სახლის ქონება თანაბრად გაიყონ.

168. უკეთუ კაცი ვაჟის მოკვდას განიზრახავს და მოსამართლეებს ეტყვის: „ვაჟი უნდა მოვიკვებოთ“, მოსამართლენი მის საქმეს გაარჩევენ და, თუკი ვაჟს მემკვიდრეობისგან მოსაკვეთი მძიმე დანაშაული არ ჩაუდენია, მამა თავის ვაჟს მემკვიდრეობისგან ვერ მოკვდის.

169. უკეთუ მამის წინაშე მემკვიდრეობისგან მოსაკვეთი მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი, პირველად უნდა აბატიონ; თუკი მეორედ ჩაიდინა მძიმე დანაშაული, მამას შეუძლია თავისი შვილი მემკვიდრეობისგან მოკვეთოს.

170. უკეთუ კაცს პირველმა ცოლმა შვილები უშვა, მონა ქალმაც შვილები უშვა, და მამამ თავის სიცოცხლეშივე უთხრა მონა ქალის შვილებს: „ჩემი შვილები ხართ“ და ცოლის შვილებთან გაათანასწორა, მამის სიკვდილის შემდეგ მამისეული სახლის ქონება ცოლისა და მონა ქალის შვილებმა თანასწორად უნდა გაიყონ. პირველი ცოლისაგან ნაშობ მემკვიდრე ვაჟს გაყოფისას შეუძლია თავისი წილი აირჩიოს და წაიღოს.

171. უკეთუ მამამ თავის სიცოცხლეშივე არ უთხრა მონა ქალისაგან ნაშობ შვილებს, „ჩემი შვილები ხართ“, მამის სიკვდილის შემდეგ მამის სახლის ქონებას მონა ქალისაგან ნაშობი შვილები ცოლის შვილებთან ერთად ვერ გაიყოფენ. მაგრამ მონა ქალი და მისი შვილები უნდა გააზატდნენ. ცოლის შვილები მონა ქალის შვილების მიმართ მონობის სარჩელს ვერ აღძრავენ. პირველმა ცოლმა უნდა მიიღოს თავისი

თი და სამოსელი არ აძლიეს, გული არ შეუჯერეს, მიწა ან ბალი შეუძლია იმ მიწათმოქმედს ჩააბაროს, ვისაც სასურველად მიიჩნევს; და მიწათმოქმედი მას არჩენს. მიწით, ბალით და ყველაფრით, რაც მამამ დაუტოვა, ვიდრე ცოცხალია, ისარგებლებს, ოღონდ ვერცხლზე ვერ გაყიდის და ვერც ვალში გადაიხდის. ქალის მემკვიდრეობა მის ძმებს ეკუთვნის.

179. უკეთუ ქალქურუმს, ნადითს, ანდა სიქრს მამამ ბეჭდიანი მზითვის საბუთი დაუწერა და მასში ჩაუწერა, რომ ქალს თავის ნებაზე შეუძლია მემკვიდრეობის გაცემა, ყოველი სურვილის აღსრულების ნება მისცა, მამის სიკვდილის შემდეგ შეუძლია თავისი მემკვიდრეობა თავის ნებაზე გაცეს, ძმები ვერ გამოეღაღებინან.

180. უკეთუ მამას თავისი ასულისთვის, ტაძრის უბნის ნადითისთვის, მზითევი არ მიუცია, მამის სიკვდილის შემდეგ მამის სახლის ქონებიდან ქალმა ერთი მემკვიდრის წილი უნდა ირგუნოს, ვიდრე ცოცხალია, ისარგებლოს. მისი მემკვიდრეობა ძმებს ეკუთვნის.

181. უკეთუ მამამ ნადითი, კადიშთი გინა ზერმაშითი ღმერთს შესწირა და მზითევი არ მიუცია, მამის შემდეგ ამ ქალმა მამის სახლის ქონებიდან ერთი მემკვიდრის წილის მესამედი უნდა ირგუნოს, ვიდრე ცოცხალია, ჭამოს; მისი მემკვიდრეობა ძმებს ეკუთვნის.

182. უკეთუ მამამ თავის ასულს, ბაბილონელი მარდუქის ნადითს, მზითევი არ მისცა, ბეჭდიანი საბუთი არ დაუწერა, მამის შემდეგ მამის სახლის ქონებიდან ამ ქალმა ძმებთან გაყრისას თავისი მემკვიდრეობის მესამედი წილი უნდა ირ-

გუნოს, სამსახურის გაწევა არ ევალება. მარდუქის ნადითს თავისი მემკვიდრეობა შეუძლია თავის ნებაზე გაცეს.

183. უკეთუ მამამ თავისი ასული, შუგითი გაამზითვა, ქმარს მიათხოვა და ბეჭდიანი საბუთიც დაუწერა, მამის შემდეგ ეს ქალი მამის სახლის ქონებიდან წილს ვერ ირგუნებს.

184. უკეთუ მამას თავისი ასული, შუგითი, არ გაუმზითვებია, ქმრისთვის არ მიუთხოვებია, მამის სიკვდილის შემდეგ მისმა ძმებმა მამის სახლის შეძლების კვალობაზე უნდა გაამზითვონ და ქმარს მიათხოვონ.

185. უკეთუ კაცმა უასაკო ბავშვი თავის სახელზე შვილად აიყვანა და გაზარდა, ეს მისი გაზრდილი უკან აღარ მოითხოვება.

186. უკეთუ კაცმა ბავშვი შვილად აიყვანა და მას შემდეგ, რაც აიყვანა, (ბავშვმა) დედ-მამა მოძებნა, გაზრდილს შეუძლია მამის სახლს დაუბრუნდეს.

187. საჭურისის — სასახლის კარზე მდგომის — შვილი და სიქრის შვილი უკანვე აღარ მოითხოვება.

188. უკეთუ ხელოსანმა შვილი გასაზრდელად აიყვანა და თავისი ხელობა შეასწავლა, უკანვე აღარ მოითხოვება.

189. უკეთუ თავისი ხელობა არ უსწავლებია, გაზრდილს შეუძლია მამის სახლში დაბრუნდეს.

190. უკეთუ კაცმა ბავშვი, რომელიც შვილად აიყვანა და გაზარდა, თავის შვილებში არ ჩათვალა, ამ გაზრდილს შეუძლია მამის სახლში დაბრუნდეს.

191. უკეთუ კაცმა შვილად აყვანილი ბავშვი გაზარდა, თავისი სახლი ააშენა, მერე შვილები იყოლია და გაზრდილის მოკვეთა განიზრახა, ეს შვილი მისი სახლიდან ხელცარიელი

არ უნდა წავიდეს. მამობილმა თავისი ქონებიდან მემკვიდრის მესამედი წილი უნდა მისცეს და ისე გაუშვას. მიწიდან, ბაღი-დან ან სახლიდან არაფერს მისცემს.

192. უკეთუ საჭურისის შვილი, გინა სიქრის შვილი თავის მამობილს და დედობილს ეტყვის: „ჩემი მამა არ ხარ, ჩემი დედა არ ხარ“, ენა უნდა მოკვეთონ.

193. უკეთუ საჭურისის შვილმა, გინა სიქრის შვილმა თავის მამის სახლს მიაგნო, მამობილი და დედობილი შეიძულა და თავისი მამის სახლში წავიდა, თვალი უნდა ამოთხარონ.

194. უკეთუ კაცმა თავისი შვილი ძიძას მიაბარა და ბავშვი ძიძის ხელში მოკვდა, ხოლო ძიძამ დედ-მამის უჩუმრად სხვა ბავშვი შეახვია, ძიძა უნდა ამხილონ და იმის გამო, რომ სხვა ბავშვი დედ-მამის უჩუმრად შეახვია, ძიძას ძუძუები უნდა მოჰკვეთონ.

195. უკეთუ შვილმა მამას გაართყა, ხელის მტევანი უნდა მოაჭრან.

196. უკეთუ კაცმა კაცის შვილს თვალი ამოუგდო, მასაც უნდა ამოუგდონ თვალი.

197. უკეთუ კაცს ძვალი მოსტეხა, მასაც უნდა მოსტეხონ ძვალი.

198. უკეთუ მუშქენს ამოუგდო თვალი ან მუშქენს მოსტეხა ძვალი, ერთი მანა ვერცხლი უნდა მიუწონოს.

199. უკეთუ კაცის მონას ამოუგდო თვალი ან ძვალი მოსტეხა, მონის ფასის ნახევარი უნდა მიუწონოს.

200. უკეთუ კაცმა თავის სწორ კაცს კბილები ჩაუმტვრია, მასაც უნდა ჩაუმტვრიოს კბილები.

201. უკეთუ მუშქენს ჩაუმტვრია კბილები, ერთი მესამედი მანა ვერცხლ უნდა მიუწონოს.

202. უკეთუ კაცმა თავისზე აღმატებულ კაცს სახეში შემოჰკრა, ხარის კუდი საჯაროდ 60-ჯერ უნდა შემოჰკრან.

203. უკეთუ კაცმა თავის სწორი კაცის შვილს სახეში შემოჰკრა, ერთი მანა ვერცხლი უნდა მიუწონოს.

204. უკეთუ მუშქენმა მუშქენს სახეში შემოჰკრა, 10 შიკლი ვერცხლი უნდა მიუწონოს.

205. უკეთუ კაცის მონამ კაცს სახეში გაართყა, ყური უნდა მოაჭრან.

206. უკეთუ კაცმა კაცს ჩხუბის დროს დაართყა და ჭრილობა მიაყენა, ამ კაცმა უნდა დაიფიცოს: „განზრახ არ შემომიკრავსო“ და მკურნალს გაუსწორდეს.

207. უკეთუ დარტყმისას შემოაკვდა, უნდა დაიფიცოს და, თუ მოკლული (თავისუფალი) კაცია, ნახევარი მანა ვერცხლი უნდა მიუწონოს.

208. უკეთუ მოკლული მუშქენია, ერთი მესამედი მანა ვერცხლი უნდა მიუწონოს.

209. უკეთუ კაცმა კაცის ასულს დაართყა და მუცელი მოსწყვიტა, მუცლის მოწყვეტისთვის 10 შიკლი ვერცხლი უნდა მიუწონოს.

210. უკეთუ ეს ქალი ზოკვდა, მკვლელის ასული უნდა მოკლან.

211. უკეთუ კაცმა მუშქენის ასულს ცემით მუცელი მოწყვიტა, 5 შიკლი ვერცხლი უნდა მიუწონოს.

212. უკეთუ ეს ქალი მოკვდა, ნახევარი მანა ვერცხლი უნდა მიუწონოს.

213. უკეთუ კაცის მონა ქალს დაარტყა და მუცელი მოსწყვიტა, 2 შიკლი ვერცხლი უნდა მიუწონოს.

214. უკეთუ მონა ქალი მოკვდა, ერთი მესამედი მანა ვერცხლი უნდა მიუწონოს.

215. უკეთუ მკურნალმა ბრინჯაოს დანით კაცს მძიმე ნაჭრევი გაუკეთა და განკურნა ანდა ბრინჯაოს დანით ლიბრი მოაშორა და თვალი განუკურნა, 10 შიკლი ვერცხლი აიღოს.

216. უკეთუ სნეული მუშქენია, 5 შიკლ ვერცხლს აიღებს.

217. უკეთუ კაცის მონაა, მონის პატრონმა მკურნალს 2 შიკლი ვერცხლი უნდა მისცეს.

218. უკეთუ მკურნალმა ბრინჯაოს დანით კაცს მძიმე ნაჭრევი გაუკეთა და კაცი შემოაკვდა ანდა ბრინჯაოს დანით ლიბრი მოაშორა და თვალი ამოთხარა, ხელის მტევანი უნდა მოჰკვეთონ.

219. უკეთუ მკურნალმა მუშქენის მონას ბრინჯაოს დანით მძიმე ნაჭრევი გაუკეთა და შემოაკვდა, მონის წილ მონა უნდა ზღოს.

220. უკეთუ ბრინჯაოს დანით ლიბრი მოაშორა და თვალი ამოუგდო, მონის ფასის ნახევარი უნდა მიუწონოს.

221. უკეთუ მკურნალმა კაცს გატეხილი ძვალი გაუმრთელა ანდა მტკივანი სახსარი მოურჩინა, სნეულმა მკურნალს 5 შიკლი ვერცხლი უნდა გადაუხადოს.

222. უკეთუ სნეული მუშქენია, 3 შიკლი ვერცხლი უნდა გადაუხადოს,

223. უკეთუ კაცის მონაა, მონის პატრონმა მკურნალს 2 შიკლი ვერცხლი უნდა გადაუხადოს.

224. უკეთუ ხარის ან ვირის მკურნალმა ხარს, ანდა ვირს მძიმე ნაჭრევი გაუკეთა და მოარჩინა, ხარის ან ვირის პატრონმა მკურნალს გასამრჯელოდ 1/6 შიკლი ვერცხლი უნდა გადაუხადოს.

225. უკეთუ ხარს, ანდა ვირს მძიმე ნაჭრევი გაუკეთა და შემოაკვდა, ხარის ან ვირის პატრონს პირუტყვის ღირებულების 1/4 უნდა გადაუხადოს.

226. უკეთუ დალაქი მონის პატრონის ვარეშე მონას ნიშანს მოჰპარსავს იმ მიზნით, რომ ვერ მოიძებნოს, ხელის მტევანი უნდა მოკვეთონ.

227. უკეთუ კაცი დალაქს შეაცდენს და იმ მიზნით, რომ მონა ვერ მოიძებნოს, მონისთვის ნიშანს მოაპარსვენებს, ეს კაცი უნდა მოკლან და თავის კარებზე ჩამოჰკიდონ. დალაქმა უნდა დაიფიცოს: „რომ მცოდნოდა არ მოვპარსავდიო“, და გამართლდება.

228. უკეთუ ხურომ კაცს სახლი აუშენა და დაუმთავრა კიდევ, სახლის თითო სარ ფართობზე გასამრჯელოდ 2 შიკლი ვერცხლი უნდა გადაუხადოს.

229. უკეთუ ხურომ კაცს სახლი აუშენა, მაგრამ თავის ნახელავს სიმკვიდრე დააკლო და სახლი ჩამოინგრა და სახლის პატრონი მოკლა, ეს ხურო უნდა დასაჯონ სიკვდილით.

230. უკეთუ სახლის პატრონის შვილი მოკლა, ხუროს შვილი უნდა მოაკვდინონ.

231. უკეთუ სახლის პატრონის მონა მოკლა, სახლის პატრონს მონის წილ მონა უნდა მისცეს.

232. უკეთუ ქონება გაუნადგურა, განადგურებული ქონება უნდა უზღოს და, რაკი სახლი მკვიდრად არ ააშენა და

ამის გამო ჩამოინგრა, დანგრეული სახლი მისი ხარჯით უნდა აშენდეს.

233. უკეთუ ხურომ კაცს სახლი აუშენა, მაგრამ სამუშაოს დააკლო და კედელი გადმოწვა, ხურომ კედელი თავისი ხარჯით უნდა გაამაგროს.

234. უკეთუ მეხომალდემ კაცს 60-გურიანი ხომალდი შეუფისა, ხომალდის პატრონმა გასამრჯელოდ 2 შიკლი ვერცხლი უნდა გადაუხადოს.

235. უკეთუ მეხომალდემ კაცს ხომალდი შეუფისა, მაგრამ თავისი საქმე საიმედოდ არ შეასრულა და იმავე წელს ხომალდში ბზარი გაჩნდა ან სხვა რამ ნაკლი აღმოაჩნდა, მეხომალდემ ეს ხომალდი უნდა დაშალოს და თავისი ხარჯით ხელახლა შეკრას და შეკრული ხომალდი პატრონს ჩააბაროს.

236. უკეთუ კაცმა თავისი ხომალდი მეხომალდეს მიაქირავა, მეხომალდე დაუდევრად მოიქცა, ხომალდი ჩაიძირა ან დაილეწა, მეხომალდემ ხომალდის პატრონს ხომალდი უნდა უზღოს.

237. უკეთუ კაცმა მეხომალდე და ხომალდი დაიქირავა; ხორბლით, მატყლით, ზეთით, ფინიკით გინა სხვა რამ საქონელით დატვირთა, მეხომალდე დაუდევრად მოიქცა, ხომალდი ჩაიძირა და რაც შიგ იყო, ყველაფერი დაეღუპა, მეხომალდემ ჩაძირული ხომალდი და დაღუპული საქონელი უნდა ზღოს.

238. უკეთუ მეხომალდემ სხვისი ხომალდი ჩაძირა და შემდეგ ამოიტანა, ხომალდის პატრონს მისი ღირებულების ნახევარი უნდა გადაუხადოს.

239. უკეთუ კაცმა მეხომალდე დაიქირავა, წელიწადში 5 გური ხორბალი უნდა აძლიოს.

240. უკეთუ ნიჩბებიანი ხომალდი აფრებიან ხომალდს დაეჯახა და ჩაძირა, ჩაძირული ხომალდის პატრონმა ყველაფერი, რაც ხომალდზე განადგურდა, ღმერთის წინაშე უნდა განაცხადოს და ნიჩბებიანი ხომალდის პატრონი, რომელმაც აფრებიანი ხომალდი ჩაძირა, ჩაძირულ ხომალდს და ყველაფერს, რაც განადგურდა, ზღავს.

241. უკეთუ კაცმა ხარი დაიხუთა, 1/3 მანა ვერცხლი უნდა მიუწონოს.

242—243. უკეთუ კაცმა ხარები ერთი წლით დაიქირავა, თათულდის ხარისათვის ქირად 4 გური ხორბალი, ხოლო საყვერის ხარისათვის ქირად 3 გური ხორბალი უნდა გადაუხადოს პატრონს.

244. უკეთუ კაცმა ხარი ანდა ვირი დაიქირავა და (პირუტყვი) ველად ლომმა დაგლიჯა, ზარალი პატრონისაა.

245. უკეთუ კაცმა ხარი დაიქირავა და მოუვლელობით ანდა ცემით მოკლა, ხარის პატრონს ხარის წილ ხარი უნდა უზღოს.

246. უკეთუ კაცმა ხარი დაიქირავა, ფეხი მოსტეხა ანდა კისრის ძარღვი გაუწყვიტა, ხარის პატრონს ხარის წილ ხარი უნდა უზღოს.

247. უკეთუ კაცმა ხარი დაიქირავა და თვალი ამოუგდო, ხარის პატრონს მისი ღირებულების ნახევარი უნდა გადაუხადოს.

248. უკეთუ კაცმა ხარი დაიქირავა, რქა მოსტეხა ანდა

კული მოსწყვიტა, ანდა ზურგის ტყავი გადაუტყავა, ხარის ღირებულების მეოთხედი უნდა გადაიხადოს.

249. უკეთუ კაცმა ხარი დაიჭირავა, ხარს ღმერთმა დაჰკრა და მოკვდა, ხარის დამჭირავებელმა ღმერთი უნდა დაიფიცოს და გამართლდეს.

250. უკეთუ ქუჩაში მიდენილმა ხარმა ვინმეს ურჩოლა და მოკლა, ეს საქმე ვერ გასაჩივრდება.

251. უკეთუ მრჩოლელი ხარის პატრონი მისმა უბანმა გააფრთხილა, რომ მისი ხარი მრჩოლელია, მაგრამ მან თავის ხარს რქები არ გაუბანდა ანდა ხარი არ დააბა და ხარმა კაცის შვილს ურჩოლა და მოკლა, ნახევარი მანა ვერცხლი უნდა გადაიხადოს.

252. უკეთუ მოკლული კაცის მონაა, ერთი მესამედი მანა ვერცხლი უნდა გადაიხადოს.

253. უკეთუ კაცმა კაცი მიწის მოსავლელად დაიჭირავა, სახნავ-სათესი იარაღი ჩააბარა, ხარ-ძროხა მიანდო, მიწის დამუშავება დაავალა, ამ კაცმა კი სათესლე ხორბალი ანდა პირუტყვის საკვები მოიპარა და ხელში უნახეს, ხელის მტევანი უნდა მოჰკვეთონ.

254. უკეთუ სახნავ-სათესი იარაღი წაიღო და ხარ-ძროხა დაქანცა, მიბარებული ხორბალი ერთიორად უნდა ზღოს.

255. უკეთუ მინდობილი ხარ-ძროხა გააჭირავა ანდა სათესლე მარცვალი მოიპარა და მიწაზე არაფერი მოიყვანა, ამ კაცს ამხელენ და მოსავლის აღებისას თითო ბურჯე 60 გურ ხორბალს მიუთვლის.

256. უკეთუ საზღაურის გადახდა არ შეუძლია, ამავე მიწაზე ხარ-ძროხას უნდა ათრევიონ.

257. უკეთუ კაცმა მიწათმოქმედი დაიჭირავა, წელიწადში 8 გური ხორბალი უნდა აძლიოს.

258. უკეთუ კაცმა მეხრე დაიჭირავა, წელიწადში 6 გური მარცვალი უნდა აძლიოს.

259. უკეთუ კაცმა მინდვრიდან გუთანი მოიპარა, გუთნის პატრონს 5 შიკლი ვერცხლი უნდა გადაუხადოს.

260. უკეთუ სახნისი ანდა ფარცხი მოიპარა, 5 შიკლი ვერცხლი უნდა გადაიხადოს.

261. უკეთუ კაცმა ხარ-ძროხის ანდა ცხვრის დასამწყესავად მწყემსი დაიჭირავა, წელიწადში 8 გური ხორბალი უნდა აძლიოს.

262. უკეთუ კაცმა ხარი ანდა ცხვარი

263. უკეთუ მიბარებული ხარი ანდა ცხვარი დაიკარგა, პატრონს ხარის წილ ხარი და ცხვრის წილ ცხვარი უნდა უზღოს.

264. უკეთუ მწყემსმა, რომელსაც ხარ-ძროხა ანდა ცხვარი დასამწყემსავად ჩააბარეს და გასამრჯელოც სრულად აქვს მიღებული და მისი გული დაჯერებულია, ხარ-ძროხას ანდა ცხვარს შეამცირებს, ნამატს დააკლებს, ნამატი და ლალა ხელშეკრულებისამებრ უნდა გადაიხადოს.

265. უკეთუ მწყემსმა, რომელსაც ხარ-ძროხა ანდა ცხვარი დასამწყესად ჩააბარეს, ითაღლითა, დამლა შეცვალა და ვერცხლზე გაყიდა, უნდა ამხილონ და მოპარულ ხარ-ძროხას ანდა ცხვარს ერთითად აღუნაზღაურებს პატრონს.

266. უკეთუ სადგომში ღმერთის შეხება გაჩნდა, ანდა (პირუტყვი) ლომმა დაგლიჯა, მწყემსი ღმერთის წინაშე უნდა განიწმიდოს და სადგომის ზარალი სადგომის პატრონს შეხედება.

267. უკეთუ მწყემსი დაუდევრად მოიქცა და სადგომში მუნი გააჩინა, მწყემსმა, რომელმაც სადგომში მუნის გაჩენით ზარალი მოახდინა, ხარ-ძროხის და ცხვრის დანაკლისი უნდა აღადგინოს და პატრონს დაუბრუნოს.

268. უკეთუ კაცი გასალეწად ხარს დაიჭირავენ, ქირა 20 კა ხორბალია.

269. უკეთუ კაცი გასალეწად ვირს დაიჭირავენ, ქირა 10 კა ხორბალია.

270. უკეთუ გასალეწად ახალგაზრდა პირუტყვს დაიჭირავენ, ქირა 1 კა ხორბალია.

271. უკეთუ კაცი ხარ-ძროხას, ურემს და მის გამძღოლს დაიჭირავენ, დღიურად 180 კა ხორბალი უნდა აძლიოს.

272. უკეთუ კაცი მხოლოდ ურემს დაიჭირავენ, დღიურად 40 კა ხორბალი უნდა იხადოს.

273. უკეთუ კაცი ქირისკაცს დაიჭირავენ, წყლის დასაწყისიდან მეხუთე თვემდე დღიურად 6 მარცვალი ვერცხლი უნდა აძლიოს; მეექვსე თვიდან წლის ბოლომდე კი დღიურად 5 მარცვალი ვერცხლი უნდა აძლიოს.

274. უკეთუ კაცი ხელოსანს დაიჭირავენ, [. . .] გასამრჯელოდ 5 მარცვალი ვერცხლი, მეაგურეს გასამრჯელოდ [. . .] მარცვალი ვერცხლი, მქსოველის გასამრჯელოდ [. . .] მარცვალი ვერცხლი, ქვისმთლელს გასამრჯელოდ [. . .] მარცვალი ვერცხლი, მჭედელს გასამრჯელოდ

[. . .] მარცვალი ვერცხლი, ღურგალს გასამრჯელოდ 4 მარცვალი ვერცხლი, დაბაღს გასამრჯელოდ [. . .] მარცვალი ვერცხლი, მეგოდრეს გასამრჯელოდ [. . .] მარცვალი ვერცხლი, ხუროს გასამრჯელოდ [. . .] მარცვალი ვერცხლი დღიურად უნდა აძლიოს.

275. უკეთუ კაცი საჭაპანო ხომალდს დაიჭირავენ, დღიურად მისი ქირა 3 მარცვალი ვერცხლია.

276. უკეთუ კაცი ნიჩბებიან ხომალდს დაიჭირავენ, მის ქირად დღეში ორ-ნახევარი მარცვალი ვერცხლი უნდა იხადოს.

277. უკეთუ კაცი 60-გურიან ხომალდს დაიჭირავენ, მის ქირად დღეში ერთი მეექვსედი მარცვალი ვერცხლი უნდა იხადოს.

278. უკეთუ კაცი მონას ანდა მონა ქალს იყიდის და თვის გასვლამდე მონას ბნედა მოუვლის, შეუძლია გამყიდველს დაუბრუნოს; მყიდველი გადახდის ვერცხლს უკანვე მიიღებს.

279. უკეთუ კაცი მონას ან მონა ქალს, რომლის მიმართ სარჩელია აღძრული, იყიდის, სარჩელზე პასუხს გამყიდველი აგებს.

280. უკეთუ კაცი უცხო ქვეყანაში კაცის მონას ანდა მონა ქალს იყიდის და თავის ქვეყანაში დაბრუნებისას მონის ანდა მონა ქალის პატრონი თავის მონას ანდა მონა ქალს იცნობს, თუკი მონა ანდა მონა ქალი ამ ქვეყნის მკვიდრია, უვერცხლოდ უნდა განთავისუფლდეს.

281. უკეთუ სხვა ქვეყნის შვილები არიან. მყიდველმა მიწონილი ვერცხლი ღმერთის წინაშე უნდა გამოაცხადოს, მონის, ანდა მონა ქალის პატრონმა მიწონილი ვერცხლი თამ-

ქარს უნდა დაუბრუნოს და თავისი მონა ანდა მონა ქალი გამოსყიდოს.

282. უკეთუ მონა თავის პატრონს ეტყვის „ჩემი პატრონი არა ხარო“, პატრონმა უნდა დაამტკიცოს, რომ იგი მისი მონაა, და ყურს მოაჭრის.

აჰა, მართალი სამართალი, რომელიც ხამურაბიმ, მეფემ ძლიერმა, დაადგინა და ქვეყანას მტკიცე წესი და სასიკეთო მართვა-გამგეობა მიალღებინა.

მე ვარ ხამურაბი, მეფე სრულყოფილი. შავთავიანთა მიმართ, რომელნიც ენლილმა ჩამაბარა, რომელთა მწყემსობა მარდუქმა მომანდო, უზრუნველი არა ვყოფილვარ, არ დავზარალებულვარ. მშვიდობიან სამყოფელს ვეძებდი მათთვის, მძიმე გასაჭირი მათი დავხსენი და სინათლე გამოვუტევე.

ძლევა მოსილი იარაღით, რომელიც ზაბაბამ და იშთარმა მომანდევს, სიბრძნით, რომელიც ეამ დამიბედა, ძლიერებით, რომელიც მარდუქმა მომანიჭა, მტერნი ჩემნი ჩრდილოეთიდან ვიდრე სამხრეთამდე ამოვიძიკვე. ომები ჩავაქრე, ქვეყანას კეთილდღეობა მოვუტანე, დაბათა მკვიდრნი სამშვიდობოს დავანებე, დამაშინებელი მათი არ გავაჭაჭანე.

დიდმა ღმერთებმა მომიწოდეს და, აჰა, მე ვარ მწყემსი მშვიდობისყოფელი, რომლის კვერთხი სამართლიანია, კეთილი ჩრდილი ჩემი ჩემს ქალაქს აფენია, შუმერისა და აქადის ხალხი ჩემს უბეში შევიფარე. ჩემი მფარველი ქალღმერთისა და მისთა ძმათა წყალობით სამშვიდობოს მოვიყვანე, ჩემი სიბრძნის წყალობით დავიფარე.

ძლიერისაგან სუსტის არ დასაჩაგრავად, ობლისა და ქვრისათვის სამართლის მისაცემად ბაბილონში, ქალაქში, რომლის თხემი ანუმ და ენლილმა ზეაღმართეს, ესანგილაში, ტაძარში, რომლის საფუძველი ცათა და ხმელეთის მსგავსად მყარია, რათა სამართალი განკითხულიყო, ქვეყნის განაჩენი გადაწყვიტილიყო, მიმძლავრებულს სამართალი მისცემოდა, ძვირფასი სიტყვები ჩემი ქვაზე დავწერე და ჩემი ქანდაკის წინ, რომელ არს „მეფე სამართლისა“, დავდგი.

მეფე ვარ მეფეთა შორის აღმატებული, სიტყვანი ჩემნი გამორჩეულია, ძლიერებას ჩემსას ტოლი არა ჰყავს.

შამაშის ბრძანებით, ცათა და ხმელეთის დიდი მსაჯულია, ჩემი სამართალი ქვეყნად გამოვაცხადე. მარდუქის, ჩემი უფლის სიტყვით, ჩემს განჩინებებს წამხდენელი არ შეეხოს! ჩემს საყვარელ ესანგილას ტაძარში სახელი ჩემი მარადის კეთილად იხსენებოდეს!

მიმძლავრებული კაცი ვინმე, თუ სასარჩლო აქვს, მოვიდეს ჩემი ქანდაკის წინაშე, რომელ არს „მეფე სამართლისა“, ქვაზე წარწერილი ამოიკითხოს, ჩემი ძვირფასი სიტყვები შეისმინოს, ჩემი ქვა სასარჩლოს განუმარტავს. სამართალი თვისი იხილოს, გული დაიმშვიდოს და ხმამალა წარმოთქვას:

„უფალი ხამურაბი, რომელიც ხალხს მშობელ მამად მიეცლინა, თავისი უფლის, მარდუქის, სიტყვას ეთაყვანება. მარდუქის ნება ჩრდილოეთიდან ვიდრე სამხრეთამდე აღასრულა, გული მარდუქისა, თავისი უფლისა, დააამა, ხალხს კეთილდღეობა სამარადისოდ დაუმკვიდრა და ქვეყანა წაღმართად წარმართა“.

დაე, მან წინაშე უფლისა ჩემისა მარდუქისა და დედოფლისა ჩემისა ცარფანითუსა სრული გულით დამლოცოს. შედუ და ლამასუ, ესანგილად შემავალი ღმერთები, ესანგილას ტაძრის ღვთიური აგური მის ზრახვებს მარადღე ჩემი უფლის, მარდუქის და ჩემი დედოფლის, ცარფანითუს წინაშე სათნო ჰყოფენ.

მომავალ დღეთა მიმართ, სამარადისოდ ეყოს ესრეთ:

მომავალმა მეფემ ამ ქვეყნისამ სამართლის სიტყვანი, ჩემ მიერ ჩემს ქვაზე წარწერილნი, დაიცვას, სამართალი ქვეყნისა, მე რომ გამიჩენია, გადაწყვეტილებანი, მე რომ გადამიწყვეტია, არ შეცვალოს, განჩინებანი ჩემი არ წახდინოს. უკეთუ კაცს მას სიბრძნე მოსდგამს, ქვეყნის წარმართვის ძალი მოსდევს, ყური მიუგდოს ჩემს სიტყვებს, რომელნიც ამ ქვაზე დამიწერია. გზა-კვალი, სამართალი ქვეყნისა, მე რომ განმიკითხავს, გადაწყვეტილებანი ქვეყნისა, მე რომ გადამიწყვეტია, ამ ქვამ განუმარტოს. სწორად წარმართოს შავთავიანი, სამართალი მათი განიკითხოს, განჩინებანი მათი გადაწყვიტოს, თავის ქვეყანაში ბოროტეული და უსამართლო ამოძირკვოს, თავის ხალხს კეთილდღეობა მოუტანოს.

მე ვარ ხამურაბი, მეფე სამართლისა, რომელსაც შამაშმა ჭეშმარიტება შთააგონა. გამორჩეულია სიტყვანი ჩემი, ტოლი არ ეძებნება საქმეთა ჩემთა. ოღონდ ფუჭია უგუნურთათვის, გაბრძნობილთათვის კი სანაქებო.

უკეთუ კაცი იგი ჩემს სიტყვებს, რომელნიც ჩემს ქვაზე დამიწერია, ყურს მიუგდებს, სამართალს არ წახდენს, ჩემს სიტყვებს არ გადავა, ჩემს განჩინებათ არ შეცვლის, კაცსა

მას შამაშმა ჩემსავით, სამართლის მეფისა, კვერთხი გაუხანგბდილოს და სამართლით ამწყესინოს ხალხი თვისი.

უკეთუ კაცი იგი ჩემს სიტყვებს, რომელნიც ჩემს ქვაზე დამიწერია, ყურს არ მიუგდებს, ჩემს წყევლას უგულუბელად, ღმერთების წყევლას არ შეუშინდება, ჩემ მიერ განკითხულ სამართალს წაშლის, ჩემს სიტყვით გადავა, ჩემს განჩინებათ შეცვლის, ზედწარწერილ სახელს ჩემსას ამოფხეკს და თავის სახელს წააწერს, ვინა ამ წყევლის შიშით სხვას წაქეზებს, კაცსა მას, გინდ მეფე იყოს, გინდ მთავარი ვინმე, გინდ განმგებელი ვინმე, გინდ უბრალო მოკვდავი ვინმე სახელდარქმეული, დიდმა ანუმ, ჩემი ზეობის გამომცხადებელმა, მეფობის შარავანდი წაართვას, კვერთხი გადაუტეხოს და ბედი დაეწყევლოს.

ენლილმა, უფალმა, ბედისწერის დამსაზღვრელმა, რომლის ბრძანება უცვალებელია, განმადიდებელმა ჩემი მეფობისამ, ჩუქრობელი ჯანყი, დამღუბველი შფოთი აღუგზნოს სამკიდრებელში, ვაების მეფობა, ხანმოკლე დღენი, სიყმილის წლები, გაუთენებელი უკუნი, მეყსეული სიკვდილი ბედისწერად დაუბედოს. აღსპოლვა მისი ქალაქისა, განფანტვა მისი ხალხისა, დამხობა მისი მეფობისა, მისი სახელისა და სახსენებელის გაქრობა თვისი მძიმე ბაგეებით ბრძანოს.

ნინლილმა, დიდმა დედამ, ვისი ბრძანებაც პატივდებულა ექურის ტაძრად, დედუფალმა, მთნეველმა ჩემთა ზრახვითა, მსჯავრისა და განაჩენის ადგილას ენლილის წინაშე მისი საქმე ავად გამოაჩინოს, განადგურება მისი ქვეყნისა, აღსპოლვა მისი ხალხისა, წყალივით დაღვრა მისი სისხლისა მიუფე ენლილის ბაგეებს ათქმევინოს.

ეამ, დიდმა ბელადმა, ვისმიერი ბედისწერანიც ყოველი უწინარესია, ბრძენთა ბრძენმა ღმერთებს შორის, ყოველი მეცნაურმა, ჩემი სიცოცხლის დღეგრძელმყოფელმა, ცნობა და სიბრძნე წაუღოს მას და შეშალოს, მდინარეთა სათავეებზე დაუწყვიტოს, ხორბალი, კაცთა საზრდო, მის მიწაზე აღარ მოიყვანოს.

შამაშმა, ცათა და ხმელეთის დიდმა მსაჯულმა, ყოველი სულდგმულთა წარმმართველმა, უფალმა ჩემმა მისანდობელმა, მეუფება მისი დაამხოს, სამართალი მისი არ განიკითხოს გზა-კვალი აურიოს, ლაშქარს მისას ტერფი შეურყიოს, მკითხაობისას მეფობის მისის საფუძველის ამოძირკვის და ქვეყნის განადგურების ავი ნიშნები გამოუჩინოს. შამაშის სიტყვა დამღუპველი, უმალ ეწიოს: ზემოთ მოკვდავთაგან აღმოფხვრას ქვემოთ ქვესკნელში მის სულს წყალი მოაწყუროს.

სინმა, ცათა უფალმა, ჩემმა შემქმნელმა ღმერთმა, რომლის ნამგალი ღმერთებს შორის ანათებს, გვირგვინი და ტახტი მეფობისა წაუღოს; მძიმე სასჯელი, ნიშანი ცოდვისა, სხეულიდან წარუხოცელი, დაადოს. მისი ზეობის დღენი, თვენი და წლები ვაებითა და ცრემლთაღენით დაუსრულოს, წინა აღმდგომი მისი მეფობისა ახილვინოს, სიცოცხლე, სიკვდილი შემსგავსებული ბედად დაუბედოს.

ადადმა, სიუხვის უფალმა, ცათა და ხმელეთის მოურავმა, ჩემმა შემწემ, ცათა შიგან წვიმა და სიღრმეთა შიგან წყლი ნიაღვარი წაართვას, ქვეყანა სიყმილითა და შეჭირვებით გაუნადგუროს; მის ქალაქზე რისხვით იგრგვინოს და ქვეყანა მის ნაწარღვნალ ბორცვებად აქციოს.

ზახაბამ, დიდმა მეომარმა, ექურის პირმშომ, ჩემს მარჯვენ მთავალმა, ბრძოლის ველზე საჭურველი დაუღეწოს, დღე დაღედ შეუცვალოს და მტერი უგრძნეულად თავს დაასხას.

ინთარმა, ბრძოლისა და შერკინებათა დედოფალმა, საჭურველის ჩემის მაშიშვლებელმა, ჩემმა კეთილმა ლამასუმ, მოყვარულმა ჩემი ზეობისამ, თვისი მრისხანე გულითა და დიდის წყრომით მეფობა მისი დასწყევლოს, სიკეთე სიბოროტედ შეუცვალოს. ბრძოლისა და შერკინების ველზე საჭურველი დაუღეწოს, შფოთი და ამბოხი ჩამოუგდოს, მისი შეიშრები მოსრას და მათი სისხლით მიწა დაარწყულოს, მისთა მოლაშქრეთა გვაემები ველზე დაახვავოს, ხალხი მისი არ შეიწყალოს. თავად იგი მტერს ჩაუგდოს ხელთ და მტრის ქვეყანად შებოროკილი მიიყვანოს.

ნერგალმა, ძლევამოსილმა ღმერთთა შორის, ბრძოლაში შეუღარებელმა, გამმარჯვებელმა ჩემმა, თავისი ძლიერებით დერწამს მოდებული მძვინვარე ცეცხლივით ხალხი გადაუბუგოს, თავისი ძლიერი იარაღით გაკვეთის და ასონი მისნი თიხის ქანდაკივით შემუსროს.

ნინთუმ, ქვეყანათა მალალმა დედუფალმა, გამჩენმა დედამ ჩემმა, მემკვიდრე წაართვას და სახელი აღარ შესძინოს, და მას თესლი კაცებრივი თავის ხალხში ვეღარ შექმნას.

ნინქარაქმა, ანუს ასულმა, ექურის ტაძრად ჩემთვის კეთილი სიტყვის შემაწევარმა, მძიმე საღმობა, ბოროტი სენი, მწარე წყლული, დაუამებელი, მკურნალისგან შეუტყობელი, სახვეეთაგან მოუშუშებელი, სიკვდილის ნაკბენისებრ წარუ-

ხოცელი მისთა ასოთ მიამთხვიოს, და სულის ამოხდომამდ
ჯანი მისი გამოავლოვებინოს.

დიდმა ღმერთებმა ცათა და ხმელეთისამ, ანუნაქებმა ერ
თობლივ, ტაძრის შედუმ, ებაბარას ღვთიურმა აგურმა კაც
იგი, თესლი მისი, ქვეყანა მისი, მებრძოლნი მისნი, ხალხი მის
და ლაშქარი მისი მწარე წყევლით დასწყევლონ. ენლილ
თვისი უცვალებელი ბაგით საშინელი წყევლით დასწყევლო
და წყევლა ესე სწრაფლ ეწიოს მას!

კ ო მ ე ნ ტ ა რ ე ბ ი

1. „დაასმინა“, „დამსმენელი“. ძველ ქართულ სამართლის
ძეგლებში ეს ცნება გამოხატულია ტერმინებით „შესმენა“,
„შეწამება“, „შემასმენელი“. ... სისხლის სამართლის დანაშაუ-
ლების ბრალდებას „შეწამება“ ერქვა... ბრალდება შესაძლე-
ბელია შესმენითაც მოეხერხებინა ადამიანს. „შესმენა“ დაახ-
ლოებით იმასვე ჰნიშნავდა, რასაც ეხლა დასმენა ეწოდება“. მაგრამ მაშინ „შესმენა“-ს აუგიანობა იმდენად მაინც არ ახლ-
და თან, როგორც ახლა ასეთი მოქმედება ზნეობრივად
შეფასებული არის ხოლმე...

... სხვის ბრალის მაუწყებელსა და გამომჟღავნებელს „შე-
სასმენელი“ ეწოდებოდა, ბრალდებულს კი „შესმენილი“ ერ-
ქვა. ჩვეულებრივ შესასმენელსა და შემწამებელს თავისი
ბრალდება სათანადო ორგანოებისათვის, მაგ., თანამდებობის
პირისა, ანმსაჯულისათვის უნდა განეცხადებინა“ (ი. ჯავახი-
შილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, გვ. 349—350).

ხამურაბის კანონების პირველ მუხლში კაცის სწორედ
ამგვარ მოვალეობაზე თუ უფლებაზეა ლაპარაკი. მაგრამ მუ-
ხლში არ ჩანს, ეთვლება თუ არა დანაშაულად დანაშაულის
შემსწრეს სხვისი ბრალის (ამ შემთხვევაში მკვლელობის) გა-
ნუცხადებლობა. ეს პირობა გათვალისწინებულია ამურულ
სამართალში: „უკეთუ კაცი ან ქალი ჯადოქრობას ეწეოდნენ

და ხელში სწვდნენ, ფიცით დასდეს ბრალი და ამხილეს, ჯადოქრობაში მხილებულნი უნდა მოიკლან. კაცი, რომელიც დაინახავს ჯადოქრის საქმიანობას ან მოისმენს ამას ჯადოქრობის შემსწრის პირიდან, მე თვითონ დავინახეო, გამგონე უნდა მივიდეს მეფესთან და მოახსენოს. უკეთუ შემსწრე უარყოფს იმას, რაც მან მეფეს მოახსენა, ამან ღვთიური ხარის, შამაშის ძის წინაშე, უნდა განაცხადოს, „წყეული ვიყო, თუ არ ეთქვა-სო“, და თავისუფალია. შემსწრე, რომელმაც თქვა და მერე უარყო, მეფემ დაკითხოს და გამოარკვიოს მისი განზრახვა. როცა მოიყვანენ შემლოცველ ქურუმს, მან უნდა ალაპარაკოს ეს კაცი და უთხრას: „ფიცისაგან, რომლითაც შეპფიცე მეფეს და მის შვილებს, იგი არ ვაგათავისუფლებს თქვენ (ჯადოქარს და შემსწრეს), დაფიცებული ხარ ფირფიტის სიტყვების თანახმად, რომლებითაც დაუფიცე მეფეს და მის შვილებს“.

შდრ. „თუ ვინმე იმგვარად შესცოდავს, რომ მოისმენს წყევლის ხმას და მოწმე იქნება, ან დაინახავს ან ეცოდინება, და არ განაცხადებს, ცოდვა დაეკისრება“ (ლევ. 5,1).

მუხლი არ ასახელებს მკვლელის სასჯელს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ მკვლელი სიკვდილით ისჯება, რაკი მისი ბრალმდებელი გამტყუნების შემთხვევაში ტალიონის ძალით „უნდა მოკვდეს“ იხ. აგრ. მე-3.

2. „ჯადოქრობა“. აქად. kišp(um) ებრ. kešep (შედრ. ქართული „ქიშპი“, იხ. საბა: „ავის მდგომი“).

ეს კაზუსი იპოვება ურნამუს სამართალში: „უკეთუ კაცი კაცს ჯადოქრობა დააბრალა, მდინარეში უნდა შევიდეს, მდინარე განწმედს (S. N. Kramer, Ur-Nammu Law Code,

„Orientalia“, 1954, vol. 23, fas. 4). კაზუსის პირობა ზუსტად ასევე ფორმულირებით იპოვება ბაგრატ კურაპალატის სამართალში „თუ კაცმან კაცს გრძნეულება შეჰყვილოს...“ (ძველი ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 468. მუხლი 146).

რამდენადაც გაძნელებულია (თუ შეუძლებელი არა) ჯადოქრის წასწრება დანაშაულის ადგილზე, რადგან მისი ჯადო, ხეულებრივ, მანძილზე მოქმედებს, დამსმენელი, იგივე ბრალმდებელი, ვერ დაამტკიცებს, რომ ზიანი სწორედ ამ პირმა გამოიწვია. ამ ირაციონალური ბრალის შემოწმება მხოლოდ ირდალით, კერძოდ, მდინარეში გამოცდით, არის შესაძლებელი. „მდინარე“ ამ მუხლში წარმოდგენილია ღმერთის დეტერმინატივით რაც იმას ნიშნავს, რომ მასში გამომცდელად იგულისხმება მდინარის ღმერთი და არა საკუთრივ მდინარის წყალი (იხ. 182).

ამ მუხლის ანალოგიური ვითარებაა გადმოცემული ხამურაბის თანადროულ ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც ძველბაბილონურ ენაზეა დაწერილი. წერილი ეგზავნება მარის მეფეს ზიმრილიმს მისი ძისაგან, უფლისწულისაგან:

„...ეს კაცები (ბრალდებულნი, ზ. კ.) ერთმა შენმა ქვეშევრდომმა, ქალუმმა, ნაფსუნა-ადალთან ერთად მდინარის ღმერთთან უნდა მიიყვანოს. თუ ეს კაცები გადარჩნენ, მათ ბრალმდებელს (თვით ბრალი არ არის დასახელებული, ზ. კ.) ცეცხლში დავწვავ; თუ ეს კაცები დაიღუპნენ, აქ მათ სახლებს და ხალხს მათ ბრალმდებელს გადავცემ...“

3. „სიცოცხლის საქმე“ din napištim, ე. ი. თუ დანაშაული

სიკვდილს იმსახურებს. განაჩენი გამოტანილია ტალიონის კანონის ძალით. ეს მუხლი ერთ-ერთი ნიმუშია ზოგადი ნორმის დადგენისა (იხ. აგრ. 128). ტერმინი „სიცოცხლის საქმე“ გვხვდება ეშნუნას კონებში (მუხლი 24).

6. ამ სახის დანაშაულს ქართული სამართლის ძეგლებში „მკრეხელობა“ ეწოდება: „უკეთუ ვინმე ეკლესიის შეწირული საქონელი მოიპაროს... ქურდსა მას საყდრის მკრეხველი ეწოდების“ (ქართული სამართლ. ძეგლ. I, გვ. 189, მუხლი 259).

აქ უნდა შეინიშნოს, რომ ტაძრისა და სასახლის ქონების მიმართ დანაშაული გათანაბრებულია. ამასთან, სასახლეში იგულისხმება არა მხოლოდ სამეფო სასახლე სატახტო ქალაქში, არამედ ნებისმიერი დასახლებული ადგილის ხელისუფლის რეზიდენცია.

სასჯელის უმაღლესი ზომა იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ ტაძრისა და სასახლის ქონებაში საკრალური ნივთები იგულისხმება, რაც ვერ ითქმის მე-8 მუხლში ჩამოთვლილ ნივთებზე (პირუტყვი და ნავი), რომელთა მპარავს ოცდაათ-მაგი საზღაური ეკისრება და არ ისჯება მკრეხელის მსგავსად სიკვდილით, თუ, რა თქმა უნდა, გადაიხდის განაჩენით დაკისრებულ გადასახადს.

7. „კაცის შვილი“. ეს ტერმინი შეიძლება მიუთითებდეს თავისუფალთა ფენის წარმომადგენელზე საზოგადოდ (შდრ. „აზნაურშვილი იგივეა, რაც აზნაური“, ქართ. ენის განმარტებითი ლექსიკონი I, სვ. 174), ანდა კაცის მცირეწლოვან შვილზე, რომელსაც არა აქვს ყიდვა-გაყიდვის უფლება. საგულის-

ხსია, რომ ამ მუხლში სამართლებრივი უფლების მხრივ გათანაბრებული არიან „კაცის შვილი“ და „კაცის მონა“.

ამ მუხლიდან შეიძლება გამოყვანილი იქნას სამართლებრივი ნორმა იმის შესახებ, რომ უსაბუთოდ ნივთის ყიდვა და მიბარება ქურდობის ბადალია და სიკვდილით დასჯას იმსახურებს.

8. „მუშქენი“ *muškēnum*, კანონების ტექსტში ეს სიტყვა ჩველგან სილაბოგრამული დაწერილობით გვხვდება, თუმცა სიტყვა აშკარად აქადური (ყოველ შემთხვევაში, სემიტური) წარმოშობისაა. როგორც ფიქრობენ, ეს უძველესი სიტყვა (ის ჯერ კიდევ მე-4 ათასწლეულის ფირფიტებშია ნახსენები) უნდა ნიშნავდეს „ძღვენის მიმტანს“ ან „დამორჩილებულს“. ხამურაბის ეპოქაში, ასე ჩანს კანონებიდან, მუშქენი რაღაც დამოკიდებულ მდგომარეობაშია ტაძართან ან სასახლესთან და ერთგვარი პრივილეგიებითაც კი სარგებლობს: შემთხვევითი არ არის, რომ ამ მუხლში მისი საქმე ტაძრისა და სასახლის საქმის გვერდით არის წარმოდგენილი (განსაკუთრებით იხ. მუხლები 15—16).

9. „მიწონილი ვერცხლი“ დედანში: „ვერცხლი, რომელიც მიუწონა“ *kasap išqulu*, „აწონვა“ — *šaḡāl(um)*, აქედან *lišq(um)* „შიკლი“ წონის და ფულის ერთეული, აქადურენოვან ტექსტებში, ჩვეულებრივ, გადახდის ანუ ვერცხლით ანგარიშსწორების მნიშვნელობით იხმარება; შდრ. „და მიუწონა (*lišqū*) ამბრაამა ეფრონს ვერცხლი...“ (დაბ. 23, 16) ამავე მნიშვნელობას ატარებს „აწონვა“ *lā* შუმერულ კანონებში.

10. შდრ. ეშუნას კანონების მუხლი 40: „უკეთუ კაცმა იყიდა მონა, მონა ქალი, ხარი ან სხვა რაიმე, რისი ყიდვაც შეიძლება, მაგრამ ვერ დაადგინა გამყიდველი, იგი ქურდია“.

12. „მკვდარია“, სიტყვ. „ბედისწერისკენ წავიდა“, ამ იდიომით გამოხატულია ბუნებრივი სიკვდილი. შდრ. ანალოგიური გამოთქმა: „თავისი ბედისწერით მოკვდა“ (115), ბუნებრივი სიკვდილის გამოსახატავად.

20. „ღმერთი უნდა დაუფიცოს“, *nîš ilim izakar* „ღმერთის სიცოცხლე ასენოს“; ამ სტერეოტიპული გამოთქმის გავლენით სიტყვამ *nîšum* („სიცოცხლე“) „ფიცის“ მნიშვნელობა მიიღო. შდრ. ფიცის წარმოთქმის ფორმულა ძველ აღთქმაში: „ცოცხალია უფალი“.

21. „ჩამოჰკიდონ“ *iḫallalu* ან: „ხვრელში ჩაფლან“, „გახვრიტონ“,

23. „თემი“, აქად. *âl(um)*, შუმ. *uru*, მოგვიანო ტექსტებში, ჩვეულებრივ, ნიშნავს ქალაქს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში „თემის“, „საზოგადოების“ მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, როგორც ლათ. *civitas*-ს. — „უხუცესი“, პირობითი თარგმანი ტერმინისა *rabi'ānum* (<*rabû* „დიდი“), მეფის მიერ დანიშნული გამგებელი თემში, რომლის საშუალებითაც ის თავის კონტროლს აწესებს მოსახლეობაზე. „თემში“ იგულისხმება ადგილობრივი, ავტონომიური, ტრადიციული ხელისუფლება, შემდგარი უხუცესებისგან — უხუცესთა საბჭო, „რაბიანუმში“ კი — დანიშნული ხელისუფალი.

25. „თვალი დაადგა“, *ēnṣu iṣṣî*. ეს, როგორც ჩანს,

საერთოსემიტური იდიომატური გამოთქმა გულისხმობს სურვილით, ნდომით (უარყოფითი ნიუანსით), ანგარებით შეხედვას შდრ. „დიდებულმა იშთარმა თვალი დაადგა გილგამეშის მშვენიებას“ (გილგამეშის ეპოსი, დაფა VI, 6), ამავე იდიომით არის გამოხატული იოსების ეპიზოდში ფოტიფარის ცოლის საბედისწერო მოქმედება: „...თვალი დაადგა მისი ბატონის ცოლმა იოსებს და უთხრა: დაწევი ჩემთან!“ (დაბ. 39, 7).

26. „რედუ“, *rēdû(m)* იწერება შუმერული იდეოგრამით *su.ku*, აქადური სიტყვა ნიშნავს „მდევენოს“, „გამრეკს“, „მორბედს“; ამ სახელწოდების მოხელე მრავალნაირ ფუნქციას ასრულებდა აღმინისტრაციაში და, განსაკუთრებით, ჯარში; დადასტურებულია ტაძრის, მეფის, მოსამართლეთა, ხელისუფალთა „რედუ“, რომელიც ასრულებდა თავის განმკარგულებელთა სხვადასხვა ხასიათის დავალებებს.

— „ბაირი“ *bā'ir(um)*, იწერება შუმერული იდეოგრამით *SU.KU*, რაც ნიშნავს „მეთევზეს“, აქადური სიტყვა უფრო ფართო მნიშვნელობისაა — გულისხმობს თევზისა და ფრინველის დამჭერს. ამ ტერმინით აღნიშნული პირი სახელმწიფო სამსახურში ასრულებს, როგორც ჩანს, მომმარაგებლის როლს, განსაკუთრებით ლაშქრობის დროს ჩნდება მისი საჭიროება.

რედუ და ბაირი იმდენად საჭირონი და აუცილებელნიც არიან ლაშქარში, რომ მათ არა აქვთ უფლება არათუ უარის თქმისა ლაშქარში წასვლაზე, არამედ თავსაც ვერ დაიხსნიან თავის ნაცვლად სხვისი გაგზავნით, მაშინ როცა ასეთი პრაქტიკა — კაცის დაქირავება თავის სანაცვლოდ ჯარში გასა-

გზავნად — მათ გარდა არავის არ ეკრძალება. სასჯელის ზომა მოწმობს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ეს საქმე.

27. „სამსახური“ აქად. *ilk(um)*, სახელმწიფო ანუ სამეფო სამსახური, რომლის გასაწევად კაცს ეძლევა უძრავი ქონება — მიწა, გაშენებული ბაღი და სახლი.

„მიწა“ აქად. *eqi(um)* („ყანა“), გულისხმობს სახნავ-სათესად ან ბაღის გასაშენებლად ვარგის მიწის ნაკვეთს.

29. ამ მუხლიდან ჩანს, რომ კანონი უტოვებს უფლებას უსაკო შვილს ასაკის მიღწევისას განაგრძოს მამის სამსახური და სრულად დაიბრუნოს ამისთვის განკუთვნილი მიწა და ბაღი.

32. „თამქარი“ *tamkār(um)*, ძირიდან *mkr* „დაგროვება“, კანონების ტექსტში იწერება ყოველთვის სილაბოგრამებით *DAM. GAR.*

კანონის მუხლებიდან ჩანს თამქარის, რომელსაც ჩვეულებრივ „ვაჭრად“ თარგმნიან, მრავალფეროვანი ფუნქციები: ის არის კაპიტალის დამგროვებელი, რომელიც აბანდებს თავის კაპიტალს სხვდასხვა საქმეში, გაცემს ფულს სარგებელში, კისრულობს მონებისა თუ ტყვეების გამოსყიდვას, აგზავნის თავის აგენტებს — შამალუებს (იხ. ქვემოთ) — უცხო ქვეყნებში სავაჭროდ და სხვ.

33. — „დექუ და ლუფუთუ“, დაუდგენელია ამ მოხელეთა ზუსტი ფუნქცია; როგორც სიტყვის სემანტიკიდან ჩანს, (*dekū(m)* „დაძახება“), დექუ პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო ხალხის ჯარში გაწვევაზე.

როგორც ვხედავთ, რედუსა და ბაირუს მსგავსად, ეს ისე-

თი პროფესიები თუ თანამდებობებია, რომ მათ აღმსრულებლებს ეკრძალებათ ლაშქარში თავის სანაცვლოდ ქირისკაცის გამოყვანა.

— „დათხოვნილი ჯარისკაცი“, *ṣab niṣḥatim* ამგვარი თარგმანის საფუძველს მაძლევს მნიშვნელობა ძირისა *nṣḥ* „მოშორება“, „მოწყვეტა“, „მოკვეთა“; იგივე ზმნა (*nasāḥ(um)*) იხმარება მემკვიდრეობიდან მოკვეთის მნიშვნელობით (იხ. 158). შესაძლებელია ასეთი თარგმანიც: „მოკვეთილი“ (ან „გაგდებული“) ჯარისკაცი“ (შესაძლებელია, რაღაც დანაშაულის გამო). ჩიკაგოს „აქადური ენის ლექსიკონში“ ეს აღვილი ამგვარად არის თარგმნილი: „...თუ ჰყავს დეზერტირი (თავის შემადგენლობაში)...“ (ტ. 16, სიტყვაზე *ṣabūm*); სხვანო: „უვარგისი მებრძოლი“, „სახლკარიდან მოკვეთილი ჯარისკაცები“. ჩემი აზრით, ამ პირთა დანაშაული იმაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, რომ მათ უვარგისი ჯარისკაცი აიყვანეს მებრძოლად, არამედ იმაში, რომ უკანონოდ გაიწვიეს ჯარში სამხედრო სამსახურიდან დათხოვილი ან საზოგადოებიდან მოკვეთილი პირი.

37. „ფირფიტა უნდა დაიმტკრეს“ უკანონო ნასყიდობის გაუქმების ნიშნად.

38. „სამსახურებელი მიწა, ბაღი და სახლი“, ანუ ის ქონება, რომელიც სამსახურის გასაწევად ეძლევა მოხელეს და რომლის გასხვისება, ვალში გაცემა ან ოჯახის იმ წევრებისთვის დამტკიცება, ვისაც სამსახურის გაწევა არ შეუძლია, აკრძალული აქვს.

40. „ნადითი“, აქადური ტერმინი *nadit(um)* უნდა ნიშნავდეს „შეწირულს“. ნადითი ქურუმ ქალთა ერთ-ერთი მაღალი რანგია.

როგორც ჩანს, ნადითს უფლება ჰქონდა შეესრულებინა სახელმწიფო სამსახური, მაგრამ კერძოდ რაში მდგომარეობდა ეს სამსახური, ძნელი წარმოსადგენია.

45. „საღალოდ“, განმარტებით ლექსიკონში „ღალა“ განმარტებულია, როგორც „გადასახადი მიწის სარგებლობისათვის“; საბა განმარტავს: „ყანის ბეგარი“. აქად. ტერმინი *bilt(um)* საღალოდ ანალებში სამხედრო კონტრიბუციის, ხარკის მნიშვნელობით იხმარება.

— „ადადი“, ტაროსის ღმერთი, „წვიმის მაწვიმებელი“, „წარღვნის უფალი“. საკმაოდ ვრცლად არის დახასიათებული კანონების პრეამბულაში. ადადის მიერ დატბორვის, როგორც სტიქიური უბედურების გამო, მიწათმოქმედი პასუხისმგებელი არ არის (შდრ. მუხლები 47, 266).

48. „გვალვა“ აქად. *lā mē* „უწყლობა“.

— „ფირფიტა გადარეცხოს“, დედანში „დააღბოს“. თიხის ფირფიტა ღებვა იმ მიზნით, რომ წარწერა გადაირეცხოს და კვლავ გამოსადეგი გახდეს ახალი საბუთის შედგენისთვის:

53. „ყანა“, აქად. *ugar(um)*, ამ ტერმინით აღინიშნება სახნავ-სათესი ნაკვეთი, რომელიც წარმოადგენს ნაწილს ერთიან სარწყავ სისტემაში მოქცეული ტერიტორიისა. „ყანა“, როგორც ამ ტერმინის შემცველი იდეოგრამა მოწმობს (ა-გარ „წყალი — მდებარეობა“), მდინარისა და არხების პირას მდებარეობდა და ამიტომაც ადვილად იტბორებოდა უყურადღებ-

ობის შემთხვევაში. მოსავლის აღების შემდეგ ეს ტერიტორია საძოვრებად იყო გამოყენებული (იხ. მუხლი 58).

54. „ყანის შვილები“, იგულისხმება არა პატრონები, არამედ მოიჯარადრენი, რომელთაც დანაწილებული აქვთ სახნავ-სათესი ტერიტორია და ერთიანი ძალით რწყავენ მას.

56. „წყალი გაიყვანა“, სიტყვ. „წყალი გახსნა“. შესაძლებელია აქ იგივე მოქმედება იყოს ნაგულისხმევი, რომელიც 55-ე მუხლში გამოხატულია სიტყვებით „რუ გაიყვანა“, ე. ი. აქაც ლაპარაკი იყოს სარწყავი არხის გაყვანაზე.

თუ 55-ე მუხლში წყალმა მიწის ნაკვეთი წალეკა თავის ხორბლიანად, 56-ე მუხლში მოვარდნილმა წყალმა მხოლოდ ყანის სამუშაოები წაახდინა (იგულისხმება, რომ ხორბალი ჯერ არ არის დათესილი, ან ახალი დათესილია). ამით აიხსნება ჯარიმის სიმცირე უკანასკნელ შემთხვევაში.

57. ბერძენი და რომაელი ავტორების ცნობით, ბაბილონში ჯეჯილს ორჯერ თიბავდნენ, მესამეჯერ კი ცხვარს მოაძოვებინებდნენ, რათა ხელი შეეშალათ ნათესის აჩოყებისთვის.

58. „როცა ფარების ლატანი ჭიშკარშია გაყრილი“, *kannu gammartim ina abullim ittaglalu*. არ ხერხდება ამ ფრაზაში ნაგულისხმევი აზრის ამოცნობა, თუმცა სტრიქონები დაზიანებული არ არის და მრთელად არის შემონახული. დაუდგენელია სიტყვების *kannu*, *gammartum* და ზმნის *ittaglalu* (თუმცა ეს ზმნა კიდევ გვხვდება კანონების ტექსტში: მუხ. 21, 227). ქართული თარგმანი მისდევს დრაივერისა და მაილზის ინტერპრეტაციას. არსებობს კიდევ სამი შესაძლებლობა: 1) „საერთო ჭურჭლები ქალაქის ჭიშკარს შიგნით არის ჩა-

კეტილი...“ 2) „მთელი ფარა (?) შევა ჭიშკარში“, 3) „ძოვე-
ბის დასრულების ნიშანი ჩამოკიდებულია ქალაქის ჭიშ-
კარზე.

59. ბაბილონში, ძირითადად, როგორც პეროდოტე გვამ-
ცნობს, ბაღები პალმისა იყო, რომლის ნაყოფს მრავალნაირი
გამოყენება ჰქონდა. „მათ აქვთ პალმები, რომლებიც ხარობენ
მთელ დაბლობზე, მეტი წილი მათგან ისხამს ნაყოფს, რომ-
ლისგანაც აკეთებენ პურს, ღვინოს და თაფლს. პალმებსაც
ყოველმხრივ ისევე უვლიან, როგორც ლედეს“ (I, 193, თ. ყა-
უხჩიშვილის თარგმ.).

64. პალმის დამტვერვის ბაბილონური წესის შესახებ
ცნობას გვაწვდის პეროდოტე: „ელონები რომ მამრობითს უწო-
დებენ, იმ პალმების ნაყოფს შეკრავენ ხოლმე ნაყოფის მომ-
ცემ პალმებთან, ეს იმისათვის, რომ მეკაკლურა შევიდეს მაგ.,
ნაყოფში, პალმის ნაყოფი დამწიფდეს და მისას არ ჩამოუვარ-
დეს“ (I, 193).

III. „მეზობლის სახლს ეკუთვნის“. როგორც ჩანს, აქ
„სახლი“ ფართო მნიშვნელობით არის ნახმარი, მასში იგუ-
ლისხმება არა მარტო ნაგებობა, არამედ მთელი კარ-მიდამო,
რომელშიც დგას სამსახურებელი სახლი.

VIII. იგულისხმება, რომ გაუკაცრიელებული სახლი შე-
იძლება იქცეს მძარცველთა ბუნაგად.

XII. „მარცვალი“, იგულისხმება პურეულის მარცვალი,
გამოყენებული წონის ერთეულად, კერძოდ, ვერცხლისა.

XV. შდრ. „მცირე საწყაოთი გამცემს და ფართოთი ამღებს
უდროოდ მისწვდება ხალხის წყევლა“ (ჰიმნი შამაშისადმი,
Lambert, BWL, გვ. 132, სტრ. 113).

XX. „ღმერთის წინაშე“. შესაძლებელია, ეს ღმერთი მა-
შაში იყოს, სამართლის, ფიცისა და ხელშეკრულებათა მფარ-
ველი ღმერთი, ღვთაებრივი მოწმე. შდრ. ეტანას მითოსი
(თამუზის სიზმარი, 1969, გვ. 107).

100. „შამალუ“ šamallu(m), შუმერულიდან ნასესხები
სიტყვა, ნიშნავს „ჩანთის მატარებელს“ (მტვირთველს), რო-
მელიც დაატარებს საქონელს გასასაღებლად; მეწვრილმანე ვა-
ჭარი, რომელსაც თამქარი აძლევს სესხს და პასუხისმგებელია
მის წინაშე.

103. „მტერი“, იგულისხმება არა პირადი, არამედ სახელ-
მწიფოს, ქალაქის ან თემის მტერი — უცხოელი (nakrum
ნიშნავს „უცხოელსაც“ და „მტერსაც“). ამიტომ ეპატიება
შამალუს მინდობილი ვერცხლის ზარალი.

104. „გასასაღებლად“ ana pašārim, სიტყვ. „გასახსნე-
ლად“, შდრ. „რა ლარია უფრო ძვირად ან იაფად რა იხსნე-
ბის“ (1064, 2).

110. „ტაძრის უბანი“, პირობითი თარგმანი სიტყვისა (და-
წერილია შუმერული სილაბოგრამით GÁ. GI. A), როგორც
ჩანს, ეს უნდა იყოს საკრალური ტერიტორია ტაძრითა და
სატაძრო ნაგებობებითურთ.

— „სამიკიტნო გააღო“, გაურკვეველია, რა იგულისხმება
ამ მოქმედებაში — სამიკიტნოს კარის გაღება შიგ შესვლის
მიზნით, თუ სამიკიტნოს გახსნა ვაჭრობის მიზნით.

114. „ნახუთევი დაიხუთა“ აქად. nipusu ittepi (პარო-
ნომაზიული შესიტყვება). „დახუთვა“ ტერმინად იხმარება რო-

გორც ორიგინალურ, ისე ნათარგმნ სამართლებრივ ტექსტებში. „უკეთუ იხუთო სამოსელი მოყვასისა შენისა...“ (გამოსლვ. 22,25); „თანა თუ რამე გედვას თანანადები რაივე მოყვასისა შენსა, ნუ შეხვალ შენ ხუთვად სახლსა მისსა, არამედ გარე იდგე და მოსთხოვო ნახუთევი იგი თანმხლებსა მას. შენსა კაცსა (მე-2 სჯ., 24, 10—11); „...რა გინდ დიდი საქმე, სისხლი და ვალი ემართოს, ერთი მეორეს ნურც მოსტაცებს, ნურც დაიხუთავს...“ (ვახტანგ VI-ს სამართალი, 174). ამ ტერმინის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, 1929, გვ. 463,4; აგრ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ტ. 3; ქიზიყურ დიალექტზე „დახუთვა“ ნიშნავს ნათხოვარი ნივთების მითვისებას (ს. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943, გვ. 58).

115. „თავისი ბედისწერით მოკვდა“, შდრ. ანალოგიური გამოხატვა ბუნებრივი სიკვდილისა მე-12 მუხლში.

127. ქალქურუმს, როგორც „ღმერთის ცოლს“, ისევე ევალება (შესაძლოა, უფრო მკაცრადაც) თავის შენახვა პატიოსნად, როგორც „კაცის ცოლს“.

127. შდრ. აშურული კანონების მუხლი 17: „უკეთუ კაცი კაცს ეტყვის, შენს ცოლთან ცხოვრობენო, მაგრამ მოწმეები არ არიან, მათ წერილობითი შეთანხმება უნდა დადონ და მდინარესთან მივიდნენ“.

128. შდრ. ეშუნას კანონების მუხლი 27: „თუ კაცი ცოლად წაიყვანს კაცის ასულს მისი მამისა და დედის უკითხვად, და არ დაუდებს ხელშეკრულებას მის მამას და დედას, ერთი წელიც რომ იცხოვროს ქალმა მის სახლში, არ იქნება მისი ცოლი“.

129. „ქვეშევრდომი“, დედანში ward(um) „მონა“, მაგრამ აქ იგულისხმება არა საკუთრივ მონა, საზოგადოების უფნის წარმომადგენელი, არამედ „კაცი“, ამ შემთხვევაში, მფის ქვეშევრდომი.

131. „კაცის ცოლი“ ანუ გათხოვილი ქალი. თუმცა ეს ტერმინი ამ შემთხვევაში მოწმობს, რომ კანონი გამოხატავს სწორედ კაცის, ე. ი. თავისუფალის ცოლის ინტერესებს (და არა გათხოვილი ქალისა, საზოგადოდ).

131. — „თავის სახლში დაბრუნდება“. თითქოს ბუნდოვანია, რომელი სახლი იგულისხმება აქ, ქმრის სახლი თუ მამის სახლი, სადაც ქალი ქმრის სახლში შემოსვლამდე ცხოვრობდა. ზოგის აზრით, აქ მხედველობაში უნდა იყოს მამის სახლი; თუმცა ამგვარი ინტერპრეტაციის შემთხვევაში, რატომ უნდა დაბრუნდეს მამის სახლში ქალი, რომელიც გამართლდა. ამას გარდა ანალოგიურ შემთხვევაში კანონი საგანგებოდ აღნიშნავს მამის სახლს, სადაც მოძულებული ცოლი ბრუნდება (142). შესაძლებელია აქ გამოხატული იყოს ქალის ნება, დაბრუნდეს მამის სახლში, თუმცა ეს სახლი „თავისი“ აღარ არის. არსებობს ასეთი გაგებაც: ქალი დაბრუნდება „ქმრის სახლის საკუთარ კუთხეში“ (ი. დიაკონოვი).

122. „თავი უნდა შეინახოს“ ან „თავისი ქონება შეინახოს“ იმისდა მიხედვით, თუ როგორ აღვადგენთ ლაკუნას. რაკი ამ მუხლში ქალის მეორედ გათხოვებაზეა ლაპარაკი, რაც მას მრუშობად ეთვლება (იგულისხმება, რომ ქმარი ცოცხალია), უპირატესობა პირველ გაგებას უნდა მიენიჭოს; თავის შენახვა და თავის (ანუ ქმრის) სახლში დარჩენა ერთ-

მანეთის ბადალია (შდრ. 143, სადაც თავშეუწახველობა სახლიდან გასვლასთან არის გაიგივებული).

— „მეორის სახლში არ უნდა შევიდეს“, ე. ი. მეორედ არ უნდა გათხოვდეს.

135. „პირველი ქმარი“ *hāwir(um)* „ამრჩეველი“, ასე ეწოდება პირველი ქორწინების ქმარს, ისევე როგორც ცოლს— *hāwirt(um)*. პირველი სასძლოს ამორჩევაში, როგორც ჩანს, აქტიური როლი აქვს მამას (იხ. 155, სადაც ლაპარაკია მამის მიერ შვილისთვის საცოლოს ამორჩევაზე *ana māri-šu kal-atam ihīr-ma*). გილგამეშის ეპოსში ეს ტერმინი გამოიყენებულია თამუზის მიმართ, რომელიც იწოდება იშთარის „ხამირუ“-დ („ხავირუს“ ასურული ფორმა); „ქმარი შენი სიყმაწვილისა“ (დაფა VI, სტრ. 146). ამ კატეგორიის ქმარს უპირისპირდება „გულის ქმარი“ (*mut libbiša*), რომლის არჩევა მხოლოდ და მხოლოდ ქალის ნებაზეა დამოკიდებული (იხ. 137...).

136). „მოიძულა“, ეს ტერმინი გამოიყენება საოჯახო სამართალშიც (კერძოდ, ცოლქმრული ურთიერთობის გამო; იხ. 142), აგრეთვე შვილობილისა და მისი გამზრდელი მამობილ დედობილის ურთიერთობის შემთხვევაში (იხ. 193). ამ სიტყვით გამოხატულია კავშირის გაწყვეტა ცოლთან, აღმზრდელებთან თუ თემთან. შდრ. ეშნუნას კანონების მუხლი 30: „უკეთუ კაცი მოიძულეს თავის თემს და თავის ბატონს და გაიქცევა, ხოლო მისი ცოლი სხვამ წაიყვანა, დაბრუნების შემდეგ თავისი ცოლის მიმართ სარჩელს ვერ აღძრავს“.

137. „შუგითი“ *šugit(um)* ღვთისმსახურ ქალთა ერთ-ერთი კატეგორია, რომელიც, როგორც ჩანს, შეიძლებოდა შესულიყო კაცის სახლში ხარჭის უფლებით და შვილები ეშვა მისთვის, რაც არ შეეძლო ნადითს. ამიტომ არის ამ მუხლში სხვადასხვაგვარად გამოხატული ფაქტი შვილების ყოლისა, — შუგითმა ქმარს შვილები უშვა (*uldu-šum*), ნადიმთა კი შეაძენინა *ušaršū-šu*) ანუ მის მიერვე მოგვრილი მხევლისგან შეაძენინა ქმარს შვილები; ამ კახუსს ეძღვნება 144-6 მუხლები.

— „მზითევი“ *šeriq(um)* საკუთრივ ნიშნავს „ნაჩუქარს“ (*šarāq(um)* „ჩუქება“, „ძღვნა“).

— „მისი გულის ქმარი, ან მისი სურვილით ამორჩეული ქმარი. იგულისხმება თავისი ნებით გათხოვება ქმრისგან მიტოვებული, ან ქვრივი ქალისა. გამოთქმისთვის შდრ. „...თუ ნებით შეირთოს ვინმე თავის მონდომებული“ (ვახტანგ VI სამართალი, 203).

138. — „პირველი ცოლი, იხ. კომენტ. 135.

— „ურვადი“ *terhāt(um)*, ასე ეწოდება აქადურენოვან სამართლის ტექსტებში გადასახადს ან გამოსასყიდს, რომელსაც სასიძო ქალის მშობლებს უხდის. სიტყვა საკმაოდ ნატურალისტურად გამოხატავს იმ ფუნქციას, რაც ამგვარი სახის გამოსასყიდს ეკისრება: *rahū(m)* ნიშნავს სქესობრივ აქტს, რომლის საზღაურად, როგორც ჩანს, სიძე იხდის *terhāt(um)*-ს. შდრ.: „თუ ვინმე დაუნიშნავ ქალიშვილს შეაცდენს და და-

წვება მასთან, ურვადი უნდა გადაიხადოს მისთვის, რომ ცოლად ჰყავდეს. თუ ქალის მამა წინააღმდეგი შეიქნა და არ მიათხოვა, საქალწულო ურვადის საფასური ვერცხლი უნდა გადაიხადოს“ (გამოსვლ. 22, 15—16). შდრ. უგარიტული trh.

კანონებიდან ჩანს, რომ გათხოვილი ქალი შეიძლება არ ცხოვრობდეს ქმრის სახლში, ე. ი. ჯერ არ არის წაყვანილი მამის სახლიდან ქმრის სახლში. ასეთივე წესი დატურდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა საოჯახო ყოფაშიც; ქალის შესვლით ქმრის სახლში გვირგვინდება საქორწინო ურთიერთობა.

— „სახლიდან გასვლაზე ფიქრობს“: გასვლა ამ კონტექსტში, როგორც სახლში შესვლის საპირისპირო მოქმედება, გულისხმობს უზნეო საქციელს; სახლიდან გასვლის კახულები განსაკუთრებით გათვალისწინებულია აშურულ კანონებში. ამ თვალსაზრისით შდრ. ნიშების ტექსტი: „უკეთუ სამსხვერპლო ცხვარი კბილებს დააკრაჟუნებს, კაცის ცოლი იმრუშებს, სახლიდან გავა“ (GAOC vol. 86, n, 4, 1966, გვ. 362).

— „ქონებას იუნჯებს“, სამართლის ტექსტებში იხმარება ისეთი ქონების მიმართ, რაზედაც ოჯახის წევრებს პრეტენზია ვერ ექნებათ. ამ მუხლში იგულისხმება, რომ ცოლი ქმრის უჩუმრად აგროვებს ქონებას საოჯახო შემოსავლის ხარჯზე, რითაც აჩანაგებს ოჯახს.

142. „მოიძულა“, ეს კახუსი (ცოლის მოძულება) გათვალისწინებულია ძველებრაულ სამართალში: „თუ ვინმე ცოლს

ითხოვს, შევა მასთან და მერე მოიძულებს მას...“ (მე-2 რკ., 22, 13).

— „არ მომეკარო“ *ûl taħhazanni* ან: „არ დამეუფლო“, ან: „არ ამიყვანო“. ეს ზმნა (*aħāz(um)*) აქ გულისხმობს სქესობრივ ურთიერთობას, თუმცა საოჯახო სამართალში მისი მნიშვნელობა სუბლიმირებულია, ნიშნავს საქორწინო ურთიერთობას — „წაყვანას“, „თხოვას“; შდრ. 159, სადაც სიძე ეუბნება სიმამრს: *mārat-ka ûl aħāz* „შენი ქალიშვილი არ მიმყავს“; ეს არის, როგორც ჩანს, ცოლის საქორწინო ურთიერთობის გაწყვეტის სიტყვიერი ფორმულა.

— „თავშენახული“ *našrat* სიტყვ. „დაცული“, იგულისხმება ზნეობრივად დაცული, როგორც 133-ში.

144. მონა ქალისგან ნაშობი ბავშვები ნადითის (კანონიერი ცოლის, ამ შემთხვევაში) შვილებად ითვლებიან, რაკი მონა ქალი ნადითის საკუთრებას წარმოადგენს. შდრ. სარასა და აგარის ამბავი: „სარას, აბრამის ცოლს, არ უშობია მისთვის, მაგრამ ჰყავდა სარას ერთი ეგვიპტელი მხევალი, სახელად აგარი. უთხრა სარამ აბრამს: აჰა, დამხმა უფალმა, რომ არა ვშვა. შედი ჩემს მხევალთან, ვინძლო შვილიერი შევიქნე მისგან...“ (დაბ. 16, 1-2). აგრ.: „თქვა (რახელმა): აჰა, ბალა, ჩემი მხევალი. შედი მასთან და შობოს ჩემს მუხლებზე, რათა შვილიერი შევიქნე მისგან“ (დაბ. 30, 3).

146. „...გათანასწორება დააპირა“. როგორც ჩანს, შვილებიანი მხევალი (მონა ქალი), ან შუგითი ვერ გაუთანასწორდება კანონიერ ცოლს, რომელიც ქალბატონად, მის ქალბა-

ტონად იწოდება, ისევე, როგორც სარა აგარის მიმართ (ძვ. ქართული თარგმანის მიხედვით: „დედოფალი მისი“). შვილიერობით გათანასწორობის იდეა კარგად ჩანს იაკობის ცოლების — რახელისა და ლიას ურთიერთობაში. როდესაც რახელმა, ჯერეთ უშვილომ, იაკობს თავისი მხევალი ქალისგან შვილი აყოლია, თქვა „თანასწორ ვექმენ დასა ჩემსა“ (დაბ. 30,8); საქმე ის არის, რომ ვიდრე რახელი ბერწი იყო, ვერ თვლიდა თავს ნაყოფიერი დის თანასწორად. სიტუაცია უფრო გამძაფრებულია სარასა და აგარის ურთიერთობაში: შვილიანი აგარი არათუ გაუთანასწორდება სარას, არამედ მონდომა (უფრო სწორად, შინაგანად იგრძნო) მასზე უპირატესობა. „შევიდა აბრამი აგართან და დაორსულდა აგარი, როცა შეატყო, რომ ორსულად იყო, დამცირდა მის თვალში მისი ქალბატონი“. მაშინ უთხრა სარამ აბრამს: „უნზეა ჩემი შეურაცხყოფა. მოგიწვინე ჩემი მხევალი და, როცა დაინახა, რომ ორსულადაა, დავმცირდი მის თვალში...“ (დაბ. 16. 4-5).

148. „ციება“ *lahb(um)* ან *la'b(um)*. ზოგი კომენტატორის აზრით, აქ იგულისხმება კეთრი. მაგრამ რაკი სხვა ტექსტებში ამ სიტყვით გამოხატული სენი დახასიათებულია როგორც ცხელება და ანთება (*napāh(um)*, *nabāt(um)*), ამ მუხლში ის მალარიულ სნეულებას უნდა აღნიშნავდეს, როგორც ქრონიკულ უკუჩრებელ სენს, რომელიც სიკვდილამდე ტანჯავს კაცს.

150. „ქმრის შემდეგ“, ვ. ი. ქმრის სიკვდილის შემდეგ.

— „მემკვიდრეობა“ *warkat(um)*, სიტყვიდან *warku* „შემდეგი“.

— „სხვას არ მისცემს“ *ana aḥīm ul inaddin* სიტყვას *aḥ(ūm)* ორი მნიშვნელობა აქვს აქადურში (ასევე ებრაულში) — „სხვა“ და „ძმა“, ამიტომაც ამ ადგილს განსხვავებულად ითარგმნიან: „...ძმას ვერ მისცემს“. ასეთი გაგება გამოირიცხული უნდა იყოს, რამდენადაც ზუსტი ტერმინოლოგიის მიმდევარი კანონმდებელი არ დატოვებდა ამ სიტყვას (*aḥūm*) განუსაზღვრელ ფორმაში და უთუოდ დააკონკრეტებდა კუთვნილებითი სუფიქსით, რომ ცხადი ყოფილიყო, ვის ძმაზეა ლაპარაკი. ამ ინტერპრეტაციით, თითქოს „საყვარელი შვილის“ ძმა უნდა იგულისხმებოდეს. შესაძლებელია, *aḥūm* (გულისხმობდეს არა „ძმას“ და არც „სხვას“, არამედ „სხვა (შვილს)“, რაკი ამ ფრაზის სუბიექტი დედაა. ასეთ შემთხვევაში თარგმანი ამგვარი იქნება: „დედას შეუძლია თავისი მემკვიდრეობა საყვარელ შვილს მისცეს, სხვა შვილს არ მისცეს“.

154. „შეიცნო“ *iltamad (lamād(um))* („სწავლა“); ამავე მნიშვნელობით უფრო გავრცელებულია სხვა ძირის ზმნა თითქმის იდენტური სემანტიკისა, რომელიც გამოყენებულია 130-ში (იგივე ძირი გვხვდება ძველი აღთქმის ტექსტში სქესობრივი ურთიერთობის გამოსახატავად უკლებლივ ყველა შემთხვევაში).

155. „საცოლო“ *kallat(um)*, ებრ. *kallah*, შუმერული იდეოგრამა *é-gi₄* შეიძლება ნიშნავდეს „სახლიდან გაბრუნებულს (წყაყანილს)“.

— „აურჩია“ *ihîr*, აქედან *hirt(um)* „არჩეული ცოლი“
ანუ პირველი ცოლი.

157. „მამის შემდეგ“, იგულისხმება „მამის სიკვდილის შემდეგ“, ასევე 158-ში.

159. „მისატანი“ *hiblum* (ზმნიდან *babâl(um)* „მიტანა“);
იგივეა, რაც „ნიშანი“, „ბელგა“, „წინდი“.

161. „ცოლის პატრონი“ ან „ცოლის ქმარი“, რამდენადაც *bêl(um)* შეიძლება „ქმარსაც“ ნიშნავდეს, როგორც სხვა სემიტურ ენებში. შდრ. ანალოგიური შესიტყვება ებრაულ ენაში *ba'al iššah* (გამოსვლ. 21,3). ეს „ცოლის პატრონი“, ცხადია, იგივე სიტყვა ან სასიძო; აღსანიშნავია, რომ ხამურაბის კანონებში არ იხმარება „სიძის“ აღმნიშვნელი გავრცელებული სიტყვა *ḫatān(um)*, თუმცა ის გვხვდება ახალბაბილონურ კანონებში.

ამ კაცს „ცოლის პატრონი“ ეწოდება, მიუხედავად იმისა, რომ ქორწინების აქტი ბოლომდე არ შესრულებულა.

— „მისმა მეგობარმა“, უნდა იგულისხმებოდეს „მაცარი“. ამ კაზუსთან კავშირში აღსანიშნავია, რომ სამსონის საცოლე მამამისმა მის მაცარს მიათხოვა იმ საბაბით, რომ სამსონმა მოიძულა ქალი (მსაჯ. 15, 2).

165. „მოკვეთა“ *nasāḫ(um)* ძირეული მნიშვნელობით „ამოძიარკვა“, „აღმოფხვრა“ (ფესვის, საძირკვლის, გულის და სხვ.). ქართული სამართლის ტექსტებში ამ მნიშვნელობით გამოყენებულია „განყენება“, მაგ.: „მოინდომოს მამამან განყენება მის ქონებისაგან...“ (ქართ. სამართ. ძეგლ., I, გვ. 229).

ან სხვანაირად: „თვის მშობელთა სამკვიდრებელისა ყოვლისაგან უმკუიდრო იქმნას“ (დასახ. წიგნ., გვ. 197, § 290). მაგისტრ ტექსტებში გაკიცხულია მამის უკანონო მოქმედება: „კანონიერი მემკვიდრე მოკვეთა, კანონიერი მემკვიდრე არ დაამკვიდრა“ (*Surpu*, II, 44).

169. „აპატონ“, დედანშია იდიომატური გამოთქმა „სახე აუწიონ“, იგულისხმება ბრალეულობის ნიშნად ძირს დახრილი სახე; ძველი აღთქმის ენაში ანალოგიური იდიომა „პატივისცემის“ და „დაფასების“ აღმნიშვნელია (იხ. მე-2 მეფ. 3, 14).

173. „სადაც შევიდა“, იგულისხმება მეორე ქმრის სახლში შესვლა, ანუ მეორედ გათხოვება (შდრ. 176).

176. „სახლი აიშენეს“, ბუნდოვანია, რა იგულისხმება ამ მოქმედებაში — შენობის აგება, შთამომავლობის შექმნა (შდრ. „სახლის აშენება“ ამ მნიშვნელობით, მე-2—25,9; მე-2 მეფ. 7, 27), თუ უძრავი ქონების შექმნა.

— „კაცის ასული“ *mārat awīlim*, საგულისხმოა, რომ არც ამ მუხლში და არც წინამავალ მუხლებში ქალი არ იხსენიება მონის ცოლად და მუშქენის ცოლად, არამედ „კაცის ასულად“, საგანგებოდ აღინიშნება რა მისი სოციალური წარმოშობა. შდრ. 132 „კაცის ცოლი“.

177. — „წვრილშვილიანი ქვრივი“, დედანში „ქვრივი, რომლის შვილები პატარები არიან“.

ამურულ კანონებში ქვრივი განმარტებულია როგორც ქალი, რომელსაც არც ქმარი, არც მამამთილი და არც შვილები აღარ ღარჩია.

178-ი. „სიქრი“, ღვთისმსახურ ქალთა გარკვეული კატეგორია, რომლის ფუნქციები გაურკვეველია.

181. „კადიში“ qadišt(um) ძირიდან qdš „წმიდა“, ამასვე გულისხმობს შემერული იდეგორამა NU. GIG „უბიწო“, ცხადია, რიტუალური აზრით. კადიში ჰიეროდულათა (ღვთისმხვეალთა) ერთ-ერთი კატეგორიაა, საღვთო პროსტიტუციასთან დაკავშირებული. შდრ. „ასულთაგანი ისრაელისათა ნუ იქნებით როსკიბ (q'dēšāh), ნუცა იქნებით მამაკაცი მეძავ (qādēš) ძეთაგან ისრაელისათა“ (მე-2 რჯ. 23 18). იგულისხმება რიტუალური როსკიბობა და მეძავობა, თუმცა ებრ. q'dēšāh ჩვეულებრივი, საერო მეძავის მნიშვნელობითაც იხმარება.

— „ზერმაშითი“, ღვთისმხვეალთა ერთ-ერთი კატეგორია.

183. „გამზითვა“, šeriqtam išruq (პარონომაზია).

184. „მამის სიკვდილის შემდეგ“, დედანში: „მას შემდეგ, რაც მამა თავისი ბედისკენ წავიდა“ (იხ. მე-12 მუხლის კომენტ.).

191. „თავისი სახლი ააშენა“ არსებობს განსხვავებული თარგმანი: „სახლი აუშენა (შვილობილს)“, მაგრამ საკითხავია, თუ მამობილმა შვილობილს საკუთარი სახლი აუშენა, ე. ი. ცალკე დაასახლა, რაც, უთუოდ, დაქორწინებასაც ნიშნავს, რაღას უნდა გულისხმობდეს მისი მემკვიდრეობიდან მოკვეთა. მუხლის აზრი ის უნდა იყოს, რომ მამობილს „სახლის აშენების“ ანუ დაცოლშვილების შემდეგ არა აქვს უფლება უარი უთხრას თავის აღზრდილს მემკვიდრეობაზე; სა-

კუთარი შვილების შეძენის შემთხვევაში მამობილი ვალდებულია მემკვიდრის მესამედი წილი მისცეს შვილობილს და ისე გაისტუმროს. მუხლი არაფერს ამბობს შვილობილის მოკვეთის მიზეზზე. აღსანიშნავია, რომ საკუთარი შვილის მოკვეთის საქმეს სასამართლო განიხილავს (იხ. 168).

200. „თავის სწორ კაცს...“, შდრ.: „თუ კაცმან მისი სწორი კაცი...“ (სამართალი ბექასი, § 18). ეს კაზუსი გვხვდება ქართული სამართლის წიგნებში (ბექას სამართ., § 8; ბაგრატი. კურ. § 142-143; ვახტანგ VI, § 47).

209. შდრ. აშურული კანონების მუხლი 21: „უკეთუ კაცმა კაცის ცოლს დაარტყა და მუცელი მოსწყვიტა და ამაში ფიცით დასდეს ბრალი და ამხილეს, მან უნდა გადაიხადოს ორი ტალანტი და ოცდაათი მანა ტყვია, ორმოცდაათჯის უნდა დაჰკრან ჯოხი და ერთი თვის მანძილზე მეფის სამუშაოს უნდა ასრულებდეს“.

215. „მძიმე ნაჭრევი გაუკეთა“, ე. ი. მძიმე ოპერაცია გაუკეთა.

234. „მეზომალდე“, ტერმინი malāh(um) აღნიშნავს როგორც მეზღვაურს, ისე ხომალდის მშენებელს.

242—243. „თავთუღლის ხარი“, დედანში „უკანა (მომდევნო) ხარი“, ე. ი. ის ხარი, რომელსაც ყველაზე მეტი ძალა ადგება. ქართული ტერმინისთვის იხ. ქეგლ. ტ. 4, სვ. 243 („თავთუღელი — ურმის პირველი, მთავარი უღელი“).

— „საყვერის ხარი“, დედანში „ახალგაზრდა, წინა ხარი“, ე. ი. ის ხარი, რომელიც თავთუღლის ხარის წინ დგას და შებმულია არა უშუალოდ გუთანში, არამედ საყვეარში, რის

გამოც ნაკლები ძალა ადგება. ტერმინისათვის იხ. ქეგლ. ტ. VI, სვ. 877. ამგვარად შებმული ხარი ნაკლებ ფასად ქირავდება.

249. „ღმერთმა დაჰკრა“, იგულისხმება ადამიანისგან დამოუკიდებელი უბედური შემთხვევა (მეხის დაცემა, ეპიდემია, და სხვ.), რის წინაშეც ადამიანი უძლურია და ამიტომაც პასუხისმგებლობა ეხსნება.

251. შდრ. ეშუნას კანონების მუხლი 54: „უკეთუ ხარი მრჩოლელი იყო და თემმა გააფრთხილა მისი პატრონი, მან კი თავის ხარს თავი არ დაუღუნა და ხარმა კაცს ურჩოლა და მოკლა, ხარის პატრონმა ორი მესამედი მანა ვერცხლი უნდა გადაიხადოს“.

ეს კაზუსი გათვალისწინებულია ძველი აღთქმის სამართალშიც:

„თუ ხარი გუშინ და გუშინწინაც მრჩოლელი იყო და პატრონიც გაფრთხილებული ჰყავდათ, მაგრამ არ დააბა და ხარმა მოკლა კაცი ან ქალი, უნდა ჩაიჭროლოს და მისი პატრონიც უნდა მოკვდეს“ (გამოსვლ. 29, 29).

— „რქები არ გაუბანდა“ *la ušarrim* (სიტყვიდან *širm(um)* „წწული გოდორი“). როგორც ჩანს, ხარს რქებზე გოდორივით შემოაწნავენ პალმის რტოებს, ასეთი პრაქტიკა ჩვენშიც არის დადასტურებული. არსებობს აღნიშნული ზმნის სხვაგვარი გაგებაც: „მოაჭრა“, „დაუბლაგვა“, „დაუფარა“.

250-251-ში წარმოდგენილი კაზუსები გათვალისწინებულია ვახტანგ VI-ის სამართალში: „თუ ვისიმე პირუტყვი

ირჩოლებოდეს, პირველ უნდა უთხრან მეზობლებმან, რომე ამისგან ან კაცი მოკვდების ან პირუტყვიო, ან დაკალ ან მოკალ... თუ ეს არ ქნა, ხომ აღარა დაშავდება რა. და თუ არ დაიჯერა და ან მოკლა რამე, ან დააშავა რამე, მრჩოლელის პატრონმან კაცმა პასუხი უნდა გასცეს...“ (196).

254. „წაიღო“, იგულისხმება, რომ ამ კაცმა პატრონის უნებართვოდ საკუთარი საჭიროებისთვის გამოიყენა მიბარებული იარაღები და ხარები.

266. „ღმერთის შეხება“ *lipit ilim*, იგულისხმება ეპიდემიური სენი ან სტიქიური უბედურება; სინონიმია გამოთქმისა „ღმერთმა დაჰკრა“ (იხ. 149). აქადურ მაგიურ ტექსტებში ეს მოვლენა კვალიფიცირებულია როგორც „ღმერთის საქმე, სადგომში მომხდარი“ (E. Ebeling, *Beschwörungsserie Nam-burbi*, RA №1, 1954, გვ. 12); ლომიც ასეთივე ღვთის რისხვად ითვლება, შდრ.: „ნაცვლად წარღვისა, შენ რომ მოავლინე, ლომი აღდგებოდა, ხალხი დაიკლებდა“ (გილგამეშის ეპოსი, დაფა XI, 183).

267. „მუნი“ *pišāt(um)*, თარგმნილია პირობითად, შეიძლება „ქეცი“, „ბუგრი“. სიტყვა მომდინარეობს, როგორც ჩანს, *pišā*-დან „თეთრი“.

საზნოზრივი სპიეგელი

- ადალი 45, 48
 ამანათი 112
 ანაბრობა 7, 107, 123, 124, 125
 ასული 38, 39, 117, 154, 175, 176,
 180, 182, 184, 209
 ბაირი 26, 27, 28, 30, 32, 36,
 37, 41
 ბალი 27, 28, 29, 30, 32, 36, 37,
 38, 40, 41, 59, 60, 61, 62, 64,
 137, 150, 185, 178-ა, 178-ბ,
 191, I; გაშენება 60, 61, 62;
 დამტკერვა 64. (65), I
 ბელელი 113, 121
 ბეჭედი 5, 150, 179, 182, 183
 ბრალის დადება 1, 2
 ბური (ფართობის ერთეული) 44,
 56, 57, 58, 63, 225
 გააზატება 171
 გადახვეწა (თემიდან) 30, 31, 136
 გამზრდელი დედა 193
 გამზრდელი მამა 191, 193
 გამზრდელი (ქალი) 158
 გამზრდელი 185, 186, 189, 190,
 191
 გამყიდველი 8, 10, 12, 278, 279
 განაჩენი 5
 გაუბატიურება 130, 155
 გასამრჯელო 224, 228, 234 (215,
 216, 217, 221, 222, 223, 224)
 გაცვლა-გამოცვლა 40, 41
 გაძეება 154
 გელვა 48
 გზირი 16
 გური 44, 56, 57, 58, 63, 121,
 434, 239, 243-3, 225, 257,
 258, 261, 277, XI, XII.
 დაბალი 274
 დალაქი 226, 227
 დამლა 265
 დანა (საოპერაციო) 215, 218, 219,
 220
 დანაშაული 168, 169
 დასმენა 1
 დახუთვა 114, 115, 116, 141
 დედა 29, 157, 167
 დედ-მამა 186-194

დურგალი 274
 დექუ 102, 33, 34

ვალი (სესხი) 39, 48, 100, 117,
 119, 151, 152, 178-ბ, XII,
 XIII, XIV, XV, XVI, XVII,
 თავნი, 2, 102 — სარგებელი
 48, 49, 50, 51, 100.

ვაეი 117, 155, 156, 168, — მემ-
 კიდრე 165, 170; — უსაკო 199

ვირცხლი 4, 7, 9, 17, 35, 37, 49,
 50, 51, 54, 59, I, III, XI,
 XII, XIV, XV, XVI, XVII, XX,
 100, 101, 102, 105, 106, 112,
 113, 114, 116, 118, 119, 122,
 124, 138, 139, 140, 146, 156,
 166, 171, 177, 178-ბ, 201,
 203, 204, 207, 208, 209, 211,
 212, 213, 241, 215, 216, 217,
 221, 222, 223, 224, 241, 251,
 252, 265, 273, 274, 275, 276,
 277, 278, 280, 281,

ვირი 7, 8, 224, 225, 244

ზარალი 45, 286, 267,

ზეთი 104, 178-ა, 178-ბ, 237

ზერმაშითი (ღვთის მსახური ქალი)
 181

თამქარი 32, 40, 409; 50, 51, I,
 XI, XII, XIII, XIV, XV, XVI,
 XVII, 100, 102, 104, 105, 106,
 107, 118, 119, 152, 153, 281

თემი 23, 24, 27, 32, გადახვეწა,
 136, მოკვეთა, 154; მოძულება
 136

თვალი — მკურნალობა 215, 216,
 217, 218, — ამოგდება 196,
 198, 199, 247

თა (წონის ერთეული) 121, 268,
 269, 270, 271, 272

თაბალა 117, 118

თადიშითი (ღვთისმსახური ქალი)
 181

თაცი 1, 2, 3, 6, 7, 8, 9, 13, 14,
 15, 16, 17, 21, 22, 42, 45, 48,
 53, 56, 59, 60, 63, I, II, III,
 IV, V, VIII, XII, XVII, XX,
 112, 113, 114, 117, 119,
 121, 124, 125, 126, 127, 128,
 129, 130, 131, 132, 133, 134,
 135, 136, 137, 138, 141, 144,
 145, 146, 150, 151, 152, 153,
 154, 155, 156, 157, 158, 159,
 160, 161, 162, 163, 165, 166,
 167, 168, 170, 185, 188, 190,
 191, 194, 196, 197, 199, 200,
 202, 203, 205, 206, 207, 209,
 233, 217, 218, 221, 223, 227,
 229, 233, 234, 235, 236, 237, 239,
 241, 242,-3, 244, 245, 246, 248,
 249

თაცის შვილი, 7, 14, 116, 196,
 203, 251

ლაშქრობა 26, 32, 33
ლუდი 110
ლუფუთუ (მობელე) 33, 34
მაბა 135, 157, 158, 167, 168, 169,
170, 171, 178-ა, 178-ბ, 180,
182, 183, 184, 185
მანა (ვერცხლის წონის ერთეუ-
ლი — 505 გრ) 59, 116, 139,
140, 201, 203, 207, 208, 212,
214, 241, 251, 252
მარდუქი (ბაბილონის მთავარი
ღმერთი) 182
მარცვალი (წონის ერთეული) 273,
274, 275, 276
მატყლი 104, 237
მდგმური V, VII
მდინარე 2, 132
მეაგურე 274
მებაღე 60, 61, 62, 64, 65
მეგობარი (სიძისა) 161
მეგოდრე 274
მევალე 48, 116, 151
მეზობელი 55, 56, 65, II, III,
IV, VIII
მეზღვაური 236, 237, 238
მემკვიდრეობა 150, 168, 169, 170,
178-ა, 182, მემკვიდრის წილი
137 172, 180, 181, 191, ქალის
178-ბ, 179-დან, მოკვეთა 168
169
მესაქონლეობა 57, 58, 261,
264, 266, 267
მეფე 34, 35, 129
მზითვეი 137, 138, 141, 142, 149,
162, 163, 164, 167, 171, 172,
173 174, 176
მიკიტანი ქალი 108, 109—111
მისატანი (საქორწილო) 159, 160,
161
მიწა 39, 42, 44, 45, 46, 47, 48,
49, 50, 52, 53, 55, 56, 57, 58,
60, 62, 63, 137, 150, 178-ა,
178-ბ, 191, 253, 255, 256, სამ-
სახურებელი 27, 28, 29, 30,
32, 36, 37, 38, 40, 41
მიწათმოქმედება 42, 43, 44, 45,
46, 47, 48, 50, 55, 60, 61, 62,
63, 64, IV, 242, 243, 253, 254,
255, 256, 257, 258, 259, 268,
269, 270
მიწათმოქმედი 45, 46, 47, 52,
178-ბ
მკვლელობა 1, 153, 210, 212,
უნებლიე 207, 218, 219
მკურნალობა 206, 215, 218, 219,
220, 221, 222, 223, პირუტყვის
229
მოგება XX
მოკვეთა 158, 168, 169, 191
მონა 17, 18, 19, 20, 118, 175,
176, 226, 227, 278, 279, 280,
281, 282, კაცის 7, 116, 119,

217, 222, 223, 252, მუშქენისა,
15, 16, 175, 176, სასახლისა 15
მოსამართლე, მოსამართლენი 5,
13, 127, 168, 172, 177, მათი
საკრებულო 5; მოსამართლეო-
ბის სავარძელი 5
მრუშობა 129
მტერი 103
მუშქენი 8, 15, 16, 140, 175, 176,
198, 201, 204, 208, 211, 216,
219, 222.
მუცლის მოწყვეტა 209, 213
მკხოველი 274
მყიდველი 10, 12, 40, 117, 281
მძარცველობა 22, 23
მწყემსი 56, 58, 261, 264, 266,
267
მშედელი 274
ნადითი (ღვთისმშვეალი) 40, 110,
137, 144, 145, 146, 178-ა, 179,
180, 182
ნამატი (პირუტყვისა) 264
ნასყიდობა 7, 8, 10, 12, 35, 36,
37, 40, 117, 178, 279, 281,
ნაშვილობა 185, 186, 188, 189,
190, 191
ნიშანი (მონობის) 146, 226, 227
ოქრო 7, 112, 122, 124
პატრონი ბაღის 60, I, მარცვლი-
სა 120, მონაქალისა 119, მო-

ნისა 280, 281, სადგომისა 226;
სახლისა III, V, VII, VIII,
ცოლისა 161, მიწისა 42, 43,
44, 46, 47, 49, 50, 57, 58, 59,
62, 63, მრჩოლელი ხარისა 251
რედუ (მობელე) 26, 27, 28, 30,
32, 35, 36, 37, 41
საბუთი 7, XV, 104, 105, 150,
151, 165, 171, 177, 178-ა, ბექ-
ლიანი, 150, 179, 182, 183
სადგომი (პირუტყვის) 266, 267
სამართალი 5, 34
სამიკიტნო 110
სამოსელი 178-ა, 178-ბ
სამსახური 27, 28, 29, 30, 31,
38, 40, 182
სარგებელი 48, 49, 50, 51, I,
XI, XII, XIII, XIV
სართი 41
სარჩელი 121, 171
სარჩო 133, 134, 135, 178-ა, 178-ბ
სასამართლო 3, (4), 5, მოსამარ-
თლე 5, მოსამართლენი 127,
168, 172, 177 მოსამართლეთა
საკრებულო 5, მოსამართლეო-
ბის სავარძელი 5
სასახლე 6, 8, 15, 16, 18, 32,
109
სასმელი (მაგარი) 108, 110
სასჯელი 4, 5, 172, ენის მოჭრა

192, თავის გადაარსვა 127, კარგზე ჩამოკიდება 227, თვალის ამოთხრა 193; კბილების ჩამტყვევა 200, მარგილზე გასმა 153, მონად გაყიდვა 141; მოკვეთა 154; სიკვდილით დასჯა 2, 3, 6, 7, 8, 10, 14, 15, 16, 109, 130, ყურის მოჭრა 282, ძუძუების მოკვეთა 194, წყალში გადაგდება 108, 129, 133, 143, 155; ხარის კულის შემოკვრა 202, ხარ-ძროხით თრევა 256; ხელის მტევნის მოკვეთა 195, 218, 226, 253

საჩუქარი მამისა 165; მეფისა 34
საქორწილო 171, 172, ქმრისა 172
საცოლო 155, 156
საწონი XV
საწყაო XV

სახლი 2, 9, 12, 16, 19, 21, 32, 39, II, 109, 120, 131, 133, 134, 135, 142, 143, 148, 149, 151, 165, 176, 191, 229, 230, 231, 232, 233, IV, V, VII, VIII, სამსახურებელი 26, 30, 32, 36; 37, 38, 40, 41, მამისა 130, 138, 142, 149, 156, 158, 163, 164, 167, 186, 189, 190, 191, 193, სიმამრისა 159, 160, 161, ქმრისა 172, მეორე ქმრისა 133, 134, 135, 136, 177, ს-ის პატრონი 16, 25, 230, 231, ს-ის

მშენებლობა 228, 229, 230, 231, 232, 233

სახლში შესვლა (გათხოვება) 133, 134, 135, 136, 151, 152, 173, 176, 177

სახნავ-სათესი იარაღები 253, 254, 260

სეზამი 49, 50, 51, 52

სიკვდილი ბუნებრივი, 115, 162, 163, 165, 166, 167, 170, 171, 173, 176, 178-ა, 179, 180, 184, სიკვდილით დასჯა 2, 3, 6, 7, 8, 10, 14, 15, 16, 19, 109, 130

სიმამრი 163, 164

სიყრი (ღვთისმსახური ქალი) 178-ა, 179, მისი შვილი 187, 192, 193

ტიბარი 8, 32, 110, 180

ტყვეობა 27, 28, 32, 133, 134, 135, გამოსყიდვა 32

უასაკო 14, 29, 117, 185

ურემი 271, 272

ურვალი 138, 139, 159, 160, 161, 163, 164, 166

ფინიკი I, 237.

ფირფიტა (ხელშეუხებელი) 37, 48

ფიცო 206, 207, 227

ქალბატონი 146, 147

ქვის მთლილი 274

ქერივი 277

ქირავნობა V, 221, 236, 268, 269, 270, 271, 272, 274, 275, 276, 277

ქირის კაცი 33, 273

ქმარი 133, 135, 136, 143, 144, 146, 148, 149, 150, 151, 153, 163, 172, 183, 184, თავისი არჩეული 138, 156, 172, მეორე 173, 174, 177

ქურდობა 697, 8, 9, 10.

ღალა 45

ღმერთი 6, 9, 20, XX, 106, 107, 120, 126, 131, 181, 240, 249, 266, 281

ღორი 8

ყამირი 43, 61, 63, IV, 1, 6, 5

შამალუ 100, 101, 102, 103, 104, 105; 106, 107

შვილი 119, 135, 137, 138, 144, 145, 146, 147, 150, 158, 162, 163, 166, 167, 170, 171, 172, 173, 175, 176, 190, 191, 194, 195, კარისკაცისა 187, 193, კაცისა 7, 14, 116, 203, 251, მევალის 116, რედუს 28, 29

შვილები 185, 186, 188, 190, 191

გაზრდილი 185, 186, 189, 190, 191. გამზრდელი დედა 193, გამზრდელი მამა 191, 193

შვილი (ფულის ერთეული) 17, XI, XII, 204, 209, 211, 213, 215, 216, 217, 221, 222, 223, 224, 260

შუგეთი (ღვთის მსახური ქალი) 137, 144, 145, 183, 184

ჩხუბი 206, 207, 208

ცემა 116

ციება 148

ციხე-სიმაგრე 27, 28

ცოლი 117, 127, 129, 130, 131, 132, 133, 136, 138, 141, 142, 143, 148, 149, 150, 151, (152), 153, 162, 166, 167, 170, 171 (172, 173, 174), მონის 175, 176, მუშქენისა 175, 176, პირველი 138, 141, 170, 171, ბაირის რედუსი 38, 39

ცილისწამება 11, 127, 132, 161.

ცხვარი 7, 8, 35, 57, 58, 261, 262, 263, 254, 265, 267

ძიბა 194

ძმა (უასაკო) 165, 166, ქალისა 178-ა, 178-ბ, 179, 180, 181, 184,

წყალი (სარწყავი) 55, 56

ხანძარი 25

ხარი 7, 8, 35, 224, 241, 242—3, 244, 245, 246, 247, 248, 249, 262, 263, 254, 265, 268, მრჩო-
ლელი 250, 251

ხარ-ძროხა 253, 254, 255, 261, 264, 265, 267, 271
ხე 69

ხელობა 188, 189, 228, 229, 232, 233, 234, 235, 274

ხელშეკრულება 47, 48, 52, I, 122, 123, 128, 264

ხომალდი 234, 235, 236, 237, 238, 240, 275, 276, 277, მე-
ზღვაური 236, 237, 238, 239,
ხ-ის მშენებელი 234, 235

ხორბალი 42, 43, 44, 46, 48, 49, 50, 51, 52, 53, 55, 56, სათეს-
ლე 253, 254, 255

ხურო 228, 229, 230, 231, 232, 233, 275

ჯადოქრობა 2

ჯარისკაცი 33

ჯებირი 53

ქირითად ტერმინთა ქართულ- აკადღური სიტყვარი

ამანათი šibultum
ასული mārtum

ბალი kirīm
ბელი šimtum
ბედელი našpakum
ბეჭედი kunukkum

გაზრდილი tarbitum
გამყიდველი nadinānum
განაჩენი purusum
გააზატება andurarum („გათავი-
სუფლებას“)

გასამრჯელო qištum
გაშეება (ცოლის) ezēbum
გაძეება šāšum
გზირი nāgirum
გულის ქმარი mutu libbi

დალაქი gallābum
დამსენელი mubbirum
დანაშაული (ბრალი) arnum
დედა ummum
დედობილი ummum murabitum

ვალი hubbulum

ვერცხლი kaspurū

თემი (ქალაქი) ālum

კაბალო kiššatum

კალო maškanum

კაცი amēlum

ლაშქრობა harrānum („გზა“)

მამა abūm

მამაკაცი zikarum

მამობილი abūm murabūm

მარცვალი še'um

მევალე bēl hubullim („ვალი პატ-
რონი“)

მემკვიდრე (ვაჟი) aplum

მეფე šarrum

მზითვეი šeriqtum

მიკიტანი ქალი sābitum

მინდორი ugarum

მისატანი (საქორწინო) biblum

მიწა (ნაკვეთი) eqlum

მიწათმოქმედი ერეშუმ

მკვლელობა nērtum

მოკვეთა (თემიდან) nasāḫum

მონა wardum

მონაქალი amtum

მოსამართლე daijānum

მოსამართლეობა daijānūtum

მოწმე šibūm

მოწმობა šibūtum

მოხარვე nāsi biltim („ხარკის
მტვირთველი“)

მყიდველი šaijāmānum

მპარცველობა ḫabbaltum

მძევალი nipūtum

მწყემსი re'um

წამატი (პირუტყვის) talittum

წაქრევი (თბერაცია) šimūm

ხიშანი მონობის abbutum

ოქრო ḫurāšum

პატრონი bēlum

რაიმე mimma šumšū

საბუთი (ხელშეკრულება) riksatum

სადგომი (პირუტყვის) tarbašum

საფარქელი (მოსამართლეობა) kussūm

საქრებულო (მოსამართლეობა) puš-
rum

სამართალი mišarum

სამიკიტნო bit sabim („სასმელის
სახლი“)

სამსახური ilkum („სულა“)

სარგებელი šitbum („წამატი“)

სართი niplatum

სასამართლო dīnum

სასარჩელო rugummum

სასახლე ekallum
 სასმელი šikarum
 სასაჯელი (დანაშაული) arnum
 საქმე (სამართალი) dinum
 საჩუქარი qištum
 საწონი abnum („ქვა“)
 საჭურისი qirsequm
 სახლი (შენობა, მეურნეობა, ოჯახი)
 bitum
 სიკვდილი mūtum
 სიკვდილი (სასაჯელი) dākum
 სიმამრი ēnum
 სეზამი šamaššammum
 ტაძარი bit ili („სახლი ღვთისა“)
 ურვადი terhātum
 უბანი babtum („ქარი“)
 უხუცესი rabi'ānum
 ფირფიტა (ხელშეკრულებისა) tup-
 pum
 ფიცი niš ilim („სიცოცხლე ღვთი-
 სა“)
 ქალბატონი bêltum
 ქალქურუმბი entum
 ქვრივი almattum
 ქირა idum
 ქირისკაცი agrum

ქმარი mūtum
 ქონება namkurum bñšum
 ქურდი šarraquum
 ღმერთი ilum
 ხორბალი še'um
 ჯადოქრობა kišpum
 ღალა (ხარკი) biltum
 ღირებულება mahīrum
 ყამირი egel nidūtum („მიღებულ
 მიწა“)
 შვილი mārūm
 ციხე-სიმაგრე dannatum
 ცოდვა hištum
 ცოლი aššatum
 ძიძა mušeniqtum („მაწოვებელი“)
 ძმა ahūm
 წილი zittum
 ხელოსანი mār ummānum („ძე
 ხელოსნისა“).
 ხელშეკრულება (საბუთი) riksatum
 ხურო itinnum

სამართლის მეფე“ და მისი კანონები

ბაზალტის სვეტი, რომელიც ლურსმული ნიშნებით აღი-
 ბეჭდავს სამოქალაქო კანონების ერთ-ერთ უძველეს კრებულს,
 ელამელებმა ერთ-ერთი ლაშქრობის დროს ბაბილონის ქვეყ-
 ნის ღმერთების ქანდაკებებთან ერთად გაიტაცეს თავიანთ სა-
 ტახტოში, შუშანში, სიპარიდან, სადაც ის სამურაბის დროი-
 დან მდგარა მზის ტაძარში. ეს ის სიპარია, შამაშის ქალაქი,
 რომელიც, როგორც პრეამბულადან ჩანს, სამურაბის აღუდ-
 გენია („მეფე გონიერი, ყურისმგდებელი ძლიერი შამაშისა,
 სიპარის საძირკველის ჩამყრელი“) და ის ტაძარი, რომლის გა-
 ნახლებული გეგმა მას დაუხაზავს („დამხაზველი ებაბარას
 ტაძრისა...“). „ტყვეობაში“ უცდიათ წარწერის წაშლა და
 სვეტის გამოყენება ახალი, ამკერად ელამური, წარწერისთვის
 რომელიდაც გამარჯვების აღსანიშნავად, მაგრამ განზრახვა
 ბოლომდე ვერ მიუყვანიათ; ხოლო რაც წაიშალა, სამუდამოდ
 წაშლილი დარჩა, ახალი კი არ წარწერილა.

თითქოს ისტორიული შურისგება ჩანს იმ ფაქტში, რომ
 ბაბილონის I დინასტიის მეფის სამურაბის (1792—1750 წწ.
 ჩვენს ერამდე) დეაწლის მატერიალური ძეგლი „ტყვედ“ იყო
 წაყვანილი სწორედ ელამელების მიერ, რომელთა მუქარა და
 ბატონობის უღელი სამურაბიმ ხანგრძლივი დროით ააშორა
 შუამდინარეთის ქალაქებს, როცა ასრულებდა შუამდინარული

იმპერიების (სარგონ აქადელისა და ურის III დინასტიის) საზღვართა აღდგენის ისტორიულ მისიას. სემიტური მოდემის — ამორეველთა ტომის ბელადთა შთამომავალმა ხამურაბიმ პირველმა შეძლო თავის დინასტიის მეფეთა შორის სამეფო ტიტულატურაში შეეტანა აქადის იმპერიის ხანის ეპითეტი „მეფე ოთხივე კუთხისა“, როგორც სრულყოფილი ძალაუფლების გამოხატულება, თუმცა მანვე ღირსებით მიიღო „ამორეველთა მამის“ ტიტული, რომელსაც მანამდე ძველი ტრადიციით ლარსის მეფე, ასევე ამორეველი, მისგან დამარცხებული რიმ-სინი ატარებდა. ელამელთაგან დაპყრობილი უკანასკნელი ქალაქის ტუფლიაშის დაბრუნების შემდეგ ხამურაბი იწყებს ტრადიციული „შუმერისა და აქადის“ სახელმწიფოს საზღვრების გაფართოებას ამ წამოწყებით, მართლაც, რეალური აზრი ჰპოვა ტიტულმა „მეფე ოთხივე კუთხისა“, რომელიც თავისი არსით დემიურგული ტიტულია — მას ატარებდა მარდუქი, ბაბილონის საიმპერიო ღმერთი და სამყაროს შემოქმედი. კანონების პრეამბულაში ეს ტიტული დინამიკური სახით არის მოცემული — „დამმორჩილებელი ოთხივე კუთხისა“, იმის საწამებლად, რომ ეს ზედწოდება ხამურაბიმ თავისი ღვაწლით მოიპოვა და მემკვიდრეობით არ გადასცემია.

ხამურაბის ხელში შუამდინარეთის დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში მოექცა; შუამდინარეთი გაერთიანდა პოლიტიკურად, ეკონომიურად, კულტურულად, ამ ერთიანობის დაგვირგვინება კი იყო კანონების გამოქვეყნება — ქვეყანამ ერთიანი, სავალდე-

ბულო სამართალი მიიღო. შუამდინარული კონცეფციით, სამართალი მეფობის პრინციპული ელემენტიცაა. სამართლის დადგენა, ქვეყნის სამართლებრივი მოწესრიგება შუამდინარულ მბრძანებელთა უპირველესი მოვალეობა იყო, თუმცა ყველას არ ხვდომია წილად კანონმდებელი ყოფილიყო. შუამდინარეთის ისტორიამ იცის რამდენიმე სახელი კანონმდებელ მეფეთა შუამერული ეპოქიდან დაწყებული ხამურაბის ხანამდე და მის შემდეგაც. პირველი ხსენება საკანონმდებლო მოღვაწეობისა ძველ-შუმერულ ტექსტშია დადასტურებული: ცდა სამართლის ნორმების აღდგენისა თუ ახალთა დაწესებისა ეკუთვნის შუმერის ქალაქ-სახელმწიფოს, ლაგაშის მთავარს ურუნიმგინას (ძველი წაკითხვით: ურუქაგინა), რომელიც XXIV ს-ის მიწურულში მართავდა ლაგაშს. ამ მთავრის (ენისის) მიერ გამოქვეყნებული რეფორმების ტექსტი შეიცავს ყოველი ხალხისთვის და დროისთვის ისეთ მნიშვნელოვან ცნებას, როგორც არის „თავისუფლება“ (ამარგი). ურუნიმგინა სიამაყით ამბობს, რომ მან „ლაგაშის შვილებს თავისუფლება მისცა“ ანუ, სხვანაირად, კანონიერების აღდგენით გაათავისუფლა ისინი ხელისუფალთა თვითნებობისაგან. თუმცა სარგონ აქადელის ეპოქიდან (2316—2261) არ შემონახულა კანონების კრებული, მაგრამ, უნდა ვივარაუდოთ, რომ შუამდინარეთის პირველ გამაერთიანებელს ქვეყნისათვის უნდა მიეცა სამართალი; ალბათ, მისი საკანონმდებლო ღვაწლის გამოხატულება უნდა იყოს ზედწოდება „სამართლის მეფე, სამართლის მოლაპარაკე“. კანონმდებელი იყო შუმერული ქალაქ-სახელმწიფოს ისინის მეფე ლიფით-იშთარი (1934—1924), რომელიც ამბობს თავისი კანონების (რომელთაგან მხოლოდ ფრაგმენტებია შე-

მორჩენილი) პრეამბულაში, რომ მან სამართალი დაამყარა შუმერსა და აქადში. ორასი წლით უსწრებს წინ ხამურაბის ხანას ეშუნუნას მეფის ბილაღამას კანონები, რომელთა ენა ტერმინოლოგიურად ახლოს დგას ხამურაბის კანონთა ენასთან. როგორც ჩანს, ბაბილონის მეფის „რჯულის კაცებს“ მხედველობაში ჰქონდათ ეშუნუნას კანონთა ტექსტი.

მომთაბარე გუთიელთა ბატონობისგან შუმერის ქალაქების განმათავისუფლებელი ურნამუ ურუქელი (დაახ. 2112—2094), რომელმაც სათავე დაუდო სახელოვან ურის III დინასტიას, შუმერის მეფობის აღდგენისთანავე გამოსცემს კანონებს ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად (მეფობის აღდგენა სამართლის აღდგენასთან არის გათანაბრებული). „მამინ ურნამუმ, ძლიერმა კაცმა, მეფემ ურისა, მეფემ შუმერისა და აქადისა, ქალაქის მეუფის — ნანარის მეოხებით, უთუს (მზის ღმერთის) სამართლიანი ბრძანებით ქვეყანაში სამართალი დაამყარა, ბოროტება და მტრობა განდევნა...“ — ამბობს კანონმდებელი მეფე კანონთა პრეამბულაში.

ხამურაბის კანონთა კრებულის მკითხველი ადვილად ამოიცნობს მათში შუამდინარეთის ისტორიის მანძილზე სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული კანონების კვალს, ხშირ შემთხვევებში, ტექსტუალურ დამთხვევებს, ანალოგიურ კაზუსებს და ტერმინოლოგიურ სისტემას; ხამურაბის „რჯულის კაცები“ ვერ იქნებოდნენ ორიგინალური კანონების შედგენისას, ისინი არ ესწრაფოდნენ რაღაც განსაკუთრებულს, არც დილობდნენ რაიმე სიახლის შემოტანას სასამართლო პრაქტიკაში ან რაღაც განსხვავებული, ტრადიციიდან ამოვარდნი-

ლი ნორმების დაწესებას; მათი მიზანი, შუამდინარულ ქალაქებში ტრადიციულად მოქმედი კანონების შეკრება და კოდიფიკაცია იყო. ხამურაბის კანონთა კრებული მანამდე არსებულ კრებულთა შორის ყველაზე სრულია და მრავალფეროვანი, ყველაზე დახვეწილია ენობრივი თვალსაზრისით; ის მონუმენტურია და თავისი მონუმენტურობით განსახიერებაა ბაბილონის მსოფლიო იმპერიისა. კომპოზიცია ამ საკანონმდებლო ძეგლისა — მისი შენობა დაწყებული სამკარიანი ტექსტით (პრეამბულა, კანონები, დასკვნა) და გათავებული ზარელიფით, რომელიც გამოხატავს თითქოს „პროლოგს ცაში“, სადაც ხამურაბი მზის ღმერთისგან იბარებს სამართლის სიმბოლურ ნიშანს, აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ხამურაბის კანონმდებელთა შეგნებაში ერთმანეთს უკავშირდებოდა სახელმწიფო და სამართალი, უფრო სწორად, მათში ცოცხლობდა იდეა სახელმწიფოსა და სამართლის საერთო გენეზისისა, რომ მათი დასაბამი სამყაროს დასაბამია; სამყარო, როგორც სახელმწიფო, შექმნილია ანუსა და ენლილის მიერ და მათ ნებისყოფას, დემიურგულ შემოქმედებას, სამართლებრივი გამოხატულება აქვს. ღმერთები ქმნიან სამყაროს და ქმნიან ბაბილონს სამყაროს ხატად და მსგავსებად, ხოლო ბაბილონში დაუსაბამო სამართლის გასატარებლად აწესებენ მეფობას, რომელსაც ასევე ღვთაებრივი წარმოშობა აქვს. „მას ჟამსა შინა, — ნათქვამია ხამურაბის კანონთა პრეამბულაში, — მე, ხამურაბის, დიდებულ მთავარს, ღვთის მოშიშარს, ქვეყნად სამართლის გამოსაბრწყინებლად, ბოროტებისა და უკეთურების აღმოსაფხვრელად, ძლიერისაგან სუსტის არდასაჩაგრავად, შავთავიანებზე მზისებრ აღმოსახდომად,

ქვეყნის გასანათებლად ანმა და ენლილმა ხალხის საკეთილდღეოდ სახელი ჩემი გამოაცხადეს“.

სამართლებრივი ფუნქცია მეფობისა ინარჩუნებს მითოსურ პირველადობას სხვა ფუნქციათა წინაშე; იგი არათუ პირველადად არის მიჩნეული, არამედ მოიცავს, თავის თავში გულისხმობს სხვებსაც. პრეამბულის ზემოთ მოყვანილ სიტყვებს რასაც მოხდევს — რეტროსპექტული მიმოხილვა ხამურაბის პოლიტიკური ღვაწლისა, რაც მდგომარეობდა, კერძოდ, განზოგადებულად რომ გამოვეთქვათ, მტრისგან იავარქმნილ ქალაქთა გაფანტული მოსახლეობის ძველ ნასახლარებზე დაბრუნებაში, ეს ღვაწლი მეფის სამართლებრივი ნებისყოფის გამოხატულებაა, თუმცა ქრონოლოგიურად კანონების გამოცხადებას წინ უძღვის მეფის, როგორც პოლიტიკოსის და მხედართმთავრის, მოღვაწეობა.

მართალია, ხამურაბი, როგორც მწყემსი, სამართლის დამყარებლად მისთვის მიწოდებულ ქვეყანაში ანუსა და ენლისგან არის დადგენილი, მაგრამ სამართალს ის უშუალოდ მზის ღმერთისგან, შამაშისგან, იღებს, რადგან მზის ღმერთია სამართლის შთაბეჭდილებელი და გამაცხადებელი. ბაზალტის ქვაზე, კანონთა ტექსტის სათავეში, სწორედ სამართლის გადაცემის სცენაა გამოსახული. ტახტზე მჯდარი შამაშის წინაშე მლოცველის პოზაში, პირზე ხელმიდებული დგას მეფე. სამართალს შამაშისგან იღებს მეფე, მაგრამ მას შეუძლია სამართალი საკუთარ შემოქმედებად გამოაცხადოს: „ჩემი ძვირფასი სიტყვებია“, ამბობს ის კანონთა ტექსტზე; ეს მისი „სიტყვებია“, რადგან მისი შთაგონებაა. უფრო მეტიც შეიძ-

ლება ითქვას მეფეზე, როგორც კანონმდებელზე: ის იხვეჭს ტიტულს „მეფე სამართლისა“ (შ ა რ მ ი შ ა რ ი მ), რაც მზის ღმერთის არსობრივი დახასიათებაა. „მე ვარ ხამურაბი, მეფე სამართლისა, რომელსაც შამაშმა ჭეშმარიტება შთაგონა“ — ეს სიტყვები კი იმას ნიშნავს, რომ მეფე მზის ღმერთის არსებას არის ნაზიარები, მზის წილია, რაც პრეამბულაში პირდაპირ არის გაცხადებული — ხამურაბი წოდებულია „მზედ ბაბილონისა“ (შ ა მ შ უ ბ ა ბ ი ლ ი მ). აქ ხორციელდება ძველი პრინციპი, რომელიც ანდერძად გადაეცემოდა შუამდინარეთის სახელმწიფოთა დინასტიებს: „მეფე ღმერთების ხორცია, მზე თვისი ხალხისა“.

სამართალს, ისევე როგორც სიმართლეს და სიცხადეს, მზიური ბუნება აქვს, რაც კარგად ჩანს კანონთა პრეამბულაში, სადაც ლაპარაკია ქვეყნად სამართლის მზისებრ ამობრწყინებაზე; მაგრამ თავად სემანტიკა სამართლის გამომხატველი სიტყვისა (საერთო-სემიტური ძირი *შ რ*) ამ ცნებების ერთ მნიშვნელოვან, ალბათ ძირეულ ასპექტზე მიგვანიშნებს. ეს არის სისწორე, სიწრფელე, ზედმართულობა. პრეამბულაში ხამურაბი ამბობს, რომ მისი კვერთხი სამართლიანია ხ ა ტ ტ უ - შ უ ი შ ა რ ა თ). კვერთხში, როგორც სამეფო ნიშანში, ჩანს მეფობის სამართლებრივი ფუნქცია: კვერთხი, რომელიც წარმოშობით მწყემსის კომბალია (შდრ. ძველი ბერძნული ს კ ე პ ტ რ ო ნ) ვერტიკალურობით ხასიათდება; ის არის კოსმიური ღერძი, დიდი ღერძი (დ ი მ გ ა ლ), ადამიანურ მასშტაბში გადმოტანილი: როგორც „დიდ ღერძს“ უჭირავს სამყარო, ასევე სამეფო კვერთხს უჭირავს ქვეყანა; ის უშუ-

ალოდ ენლილისგან — „ცისა და მიწის კავშირიდან“ დ უ რ-
ან-ქ ი) მოდის, როგორც წესრიგისა და სამართლის სიმბოლო.

სამართალი, წესრიგი, ერთიანობა, საზოგადოებრივი ჰარ-
მონია, რომლის დამყარებასაც ცდილობს მეფე თავისი კვერ-
თხით მისთვის მიწობილ ქვეყანაში, დასაბამითვე დაჰყვავა
კოსმოსს. ამიტომ არის, რომ პრეამბულაში ხამურაბი აცხა-
დებს საქვეყნოდ — მის თანამედროვეთა და მომავალთა გა-
სავლად თავის დემიურგულ ღვაწლს, რომელიც ადამიანურ
სფეროში გამოიხატა ქვეყნად ერთიანობის დამყარებით. მი-
თოსური აზრით, ხამურაბი არის შემოქმედი იმ ქალაქებისა,
რომლებიც მან თავისი ხანგრძლივი მეფობის მანძილზე იხსნა
მტრებისაგან, რადგან, მითოსური აზრით, ხსნა შექმნის ბადა-
ლია (ეს კარგად ჩანს კლასიკურ სიუჟეტში: გველუშაპისგან
ქალაქის მხსნელი გმირი ხელახლა ქმნის ამ ქალაქს, განაახ-
ლებს მას). პრეამბულაში ჩამოთვლილია გადარჩენილი ქალა-
ქები და აღნიშნულია თითოეულ მათგანში გაწეული კონკრე-
ტული ღვაწლი, რომელიც სხვაგან არ მეორდება. ხამურაბი
ნამდვილად ახორციელებს ქვეყნის ოთხივე კუთხის მეფობას,
მისი გულისყური ყველგან სწვდება, ყოველ ქალაქში ის ხე-
დავს ინდივიდუალურ გასაჭირს და პატივს მიაგებს მის ტრა-
დიციებს, თუ ერიდუსთვის „აღმდგენელია“ სიბარისთვის „სა-
ძირკვლის ჩამყრელია“; თუ ისინისთვის მისი გავანტული
ხალხის შემომკრებელია, ქიშისთვის საზღვართა დამდგენელია,
ლაგაშ — გირსუსთვის კი საძოვართა და დასარწყულებელ-
თა მიმჩენელია და ა. შ.

თუ კანონთა შესავალში ჩამოთვლილი ქალაქების ერ-
თობლიობა ხამურაბის მიერ შექმნილი იმპერიის შემადგენ-

ლობაზე გვიქმნის წარმოდგენას, თითოეული მათგანისთვის
ჩადენილი საქმის შესატყვისი ეპითეტი გვიხატავს მისი, რო-
გორც იდეალური ხელმწიფის, პორტრეტს.

პრეამბულიდან ჩამოვდივართ საკუთრივ კანონთა ტექსტ-
ზე და თვალში გვეცემა კონტრასტი იდეალურსა და ემპირი-
ულს შორის. იდეალური სფეროდან ვეშვებით მიწაზე, მიწიერ
რეალობაში, ადამიანთა ყოფით და, ამდენად, წარმავალ ურ-
თიერთობათა სფეროში. იმ სიმძლიდან, სადაც სუფევს ცის
ღმერთი, ან უ (ამ სახელით იწყება ტექსტი) ღმერთების მი-
წიერ სადგურთა გავლით, აღმოვჩნდებით წუთისოფლის სი-
ნამდვილეში — ბაბილონის კაცობრიობაში, რომელსაც ისევე
(უფრო მეტადაც) ესაჭიროებოდა წესრიგი, როგორც მთელს
სამყაროს.

კანონები მოწოდებულია საზოგადოებრივი ცხოვრების
მოსაწესრიგებლად, მაგრამ ისინი ამავე დროს უკვე არსებუ-
ლი წესრიგის გამოხატულებაა. კანონები თავიანთი ემპირიუ-
ლი შინაარსით წარმოდგენას გვიქმნიან ჩვენთვის შორეული
და უცხო საზოგადოების ცხოვრების წესზე, იმ ურთიერთ-
ბებზე, როგორიც კი შეიძლება არსებობდნენ მის წევრებს
შორის, საზოგადოების სიჭრელეზე, მათ საქმიანობაზე, მათი
თავისუფლების საზღვრებზე, ბრალეულობის საზოგადოებ-
რივ შეგნებაზე, ყველაზე საშინელ და მიუტყეველ დანაშა-
ულზე, როგორიც კი შეიძლება მის წიაღში მომხდარიყო;
კანონები, ცხადია, ასახავს სინამდვილეს — თითოეული მუხ-
ლი ცხოვრების ფრაგმენტი. პირველივე მუხლები კანონებისა
გვიჩვენებს, თუ რაოდენ დრამატული იყო სისხლის სამართ-

ლის პროცესი: რა საფრთხეში შეექძლო ჩაეგდო თავი ბრალ-
მდებელს, თუ თავის ბრალდებას ვერ დაამტკიცებდა (მუხლ.
1, 2, 3), ან რა მოელოდა უპრინციპო მოსამართლეს გამოტა-
ნილი განაჩენის შეცვლისათვის. კანონებიდან ჩანს, თუ რო-
გორ იქმნებოდა ოჯახი და რა უფლებები ჰქონდათ ოჯახის
წევრებს, რა შემთხვევაში ჩაითვლებოდა ქალი ცოლად და რა
მოვალეობები ჰქონდათ შვილებს დაქვრივებული დედის მი-
მართ; როგორ ისჯებოდნენ მშობლების შეურაცხმყოფელნი,
ან რა მოელოდათ თემიდან საკუთარი ნებით გადახვეწილთ;
ვის შეექძო ან ვინ იყო ვალდებული გამოესყიდა მტრის ხე-
ლიდან ტყვეკაცი, რა იყო ყიდვა-გაყიდვა და რა იყო ქურ-
დობა; რა სახის საკუთრება შეიძლება ჰქონოდა კაცს და რო-
გორ იცავდა მას კანონი სხვისი ხელყოფისგან; რა უფლება-
მოვალეობანი შეიძლება ჰქონოდა ბავშვის შვილად ამყვანს,
ერთის მხრივ, და შვილად აყვანილს, მეორე მხრივ; რა ად-
გილი ექირათ საზოგადოებაში ღვთისმსახურ ქალებს და რა
უფლებები ჰქონდათ მამის სახლში; რა პრივილეგიები ჰქონ-
და სახელმწიფო სამსახურში მდგარ კაცს, რა მოეთხოვებოდა
დაქირავებულ მწყემსს თუ მიწათმოქმედს, სახლის მშენებელს,
თუ ბალის გამშენებელს; როგორ ისჯებოდა დაუდევარი ძიძა
თუ მკურნალი, თუ მარქენალი ხარის პატრონი; როგორ გა-
ნისაზღვრებოდა პიროვნების წინააღმდეგი დანაშაულებისთვის
სასჯელის ზომა და, საზოგადოდ, რა და რა სახის სასჯელები
არსებობდა სასამართლო პრაქტიკაში.

ბაბილონური ლიტერატურის არცერთი სხვა ჟანრის ძეგ-
ლი არ გვიქმნის ესოდენ სრულ წარმოდგენას საზოგადოების
შემადგენლობაზე, როგორც კანონები. ის, რაც ვიცით კაც-

ზე (ავილუმი), მონაზე და მუშქენზე — ბაბილონური სა-
ზოგადოების ძირითად ფენებზე, არსებითად ბაბილონური კა-
ნონებიდან ვიცით. თუმცა აქ ვერ შევხვდებით საზოგადოების
ფენათა საგანგებო დეფინიციებს, ზოგად განსაზღვრებებს,
მაგრამ საზოგადოების სტრუქტურა გვეძლევა უშუალოდ,
ცოცხალ ურთიერთობებში, კონკრეტულ კაზუსებში.

როგორც კანონებიდან ჩანს, ბაბილონის საზოგადოება
იერარქიულია: მის სათავეში დგას მეფე, „მეფე სამართლი-
სა“, რომელიც, ცხადია, აბსოლუტური უფლებით სარგებლობს
ამ საზოგადოებაში, მაგრამ კანონებში ის არ ფიგურირებს
სამართლის სუბიექტად, არ მონაწილეობს კაზუსებში არც
როგორც მომჩივანი, არც როგორც ბრალდებული; მის ნაცვ-
ლად ვხვდებით ერთგან სასახლეს (ტაძართან ერთად), როგორც
იურიდიულ პირს, რომლის ქონების ხელყოფისთვის სასჯელის
უმაღლესი ზომაა დაწესებული. სასახლეს ტაძრის — ღვთის
სახლის (ბითილიმი) — საკრალიზმი აქვს მინიჭებული.
მეფის ადგილს ქვეყანაში კარგად გამოხატავს მეფის აღმნი-
შვნელი შემერული სიტყვა ლუ-გალ, რომელიც ითარგმნება
როგორც „ღიდი კაცი“. სწორედ „კაცი“, აქადურად ავი-
ლუმი არის ის სიტყვა, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდება
კანონების ტექსტში, სადაც მას ტერმინოლოგიური მნიშვნე-
ლობა აქვს და აღნიშნავს საზოგადოების სრულუფლებიანი
და თავისუფალი ფენის წარმომადგენელს. აქადური ენის დია-
ლექტებში ეს სიტყვა ავილუმი აღნიშნავს „ადამიანს“ ღმერ-
თისა და ცხოველური არსების საპირისპიროდ, მაგრამ კანო-
ნების იურიდიულ ენაში ვიწრო ტერმინის მნიშვნელობას

იქნეს და უპირისპირდება, ერთი მხრივ, მუშქენს, მეორე მხრივ, მონას. კაცი არის ძირითადი მოქმედი პირი ხამურაბის კანონთა კაზუსებისა; კაცთა კატეგორიაში ჩვენ შეგვიძლია გავვართიანოთ ფართო წრე საზოგადოებისა, თუმცა ყველა კაცი თანასწორი არ უნდა ყოფილიყო. უთანასწორობა კაცთა ფენაში აშკარაა პიროვნებათა შეხლა-შემოხლისას. მაგ., ტალიონის კანონით ისჯება კაცი, რომელიც თავის სწორ კაცს კბილებს ჩაუმტვრევს (მუხ. 200), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ „კაცმა თავისზე აღმატებულ კაცს სახეში შემოჰკრა“, დაზარალებულს დამნაშავეს დასჯა ტალიონის კანონით უკვე აღარ დააკმაყოფილებს: დამნაშავე უფრო მძიმედ უნდა დაისაჯოს — ხარის კუდი სამოცჯერ (სრული რიცხვი!) უნდა შემოჰკრან (მუხლ. 202).

გამოთქმულია აზრი, თითქოს კაცთა კატეგორიაში არ შედიოდნენ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელი, როგორებიც იყვნენ, მაგ., თამქარნი, ქურუმები და სხვა (იხ. ი. დოლიძე, ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბ., 1960, გვ. 052); ეს შეხედულება არ უნდა იყოს მართებული: როცა კანონმდებელს სურს გააცხადოს სხვადასხვა პროფესიათა და მსახურეულ პირთა უფლება-მოვალეობანი, მათ იგი არ იხსენიებს კაცად, არამედ კონკრეტულად იმ პროფესიის თუ სამსახურის სახელით, რომელსაც ეკუთვნის. მაგ., 37-ე მუხლში „უკეთუ კაცმა რედუს, ბაირის ანდა მოხარკის მიწა...“ კაცი არ უპირისპირდება რედუს, ბაირს ან მოხარკეს, როგორც სხვა სოციალური ფენის წარმომადგენელი; ისევე როგორც 45-ე მუხლში კაცი არ უპირისპირდება „მიწათმოქმედს“,

რომელიც სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტია და, მაშასადამე, კაცთა ფენას ეკუთვნის. ამ და ანალოგიურ მუხლებში მხოლოდ დაკონკრეტებულია კაცთა სოციალურ-პროფესიული სტატუსი მათი უფლება-მოვალეობების გამოსაცხადებლად.

კაცთა ფენას უნდა ეკუთვნოდნენ არა მხოლოდ თამქარები, რომლებიც როგორც კაპიტალის მფლობელი დამოუკიდებლად ან მეფის სამსახურში მყოფნი „ატრიალებენ ფულს“, ან მიწათმოქმედნი თუ მწყემსნი, რომლებიც კანონით განსაზღვრული ფასით და პირობებით მოჯამაგირებენ მიწისა თუ საქონლის პატრონთან, არამედ ღვთისმსახური ქალებიც, რომლებიც ხუთიოდე რანგად არიან წარმოდგენილნი კანონებში. მართალია, მათი საზოგადოებრივი და სამართლებრივი სტატუსი განსხვავდება „საერო“ ქალთა სტატუსისგან, მაგრამ თითოეული მათგანიც ხომ „კაცის ასულია“? კაცის ასულობა კი, ისევე, როგორც კაცის ცოლობა მათ პრივილეგიურულ მდგომარეობაში აყენებს, ანუ ხდის მათ სამართლის სუბიექტად. ცალკეულ შემთხვევებში კანონი ათანბარებს ერთმანეთთან კაცის ცოლს და ქალქურუმს, როგორც „ღვთის ცოლს“ („უკეთუ კაცმა ქალქურუმს ანდა კაცის ცოლს თითი მიუშვირა, მაგრამ ვერ დაამტკიცა...“, 127).

„კაცის ცოლობა“ იმდენად მნიშვნელოვანი კატეგორიაა, იმდენად ამყარებს დედაკაცის საზოგადოებრივ მდგომარეობას, რომ კანონმდებელს საჭიროდ მიაჩნია ზოგადი განსაზღვრება მისცეს მას (უნდა შეინიშნოს, რომ ეს არის ერთადერთი შემთხვევა იურიდიული დეფინიციისა): „უკეთუ კაცმა ცოლი ითხოვა, მაგრამ ხელშეკრულება არ დაუდო, ეს

ქალი არ არის ცოლი“ (128). კაცის ცოლს კანონი იცავს მისი ქმრის — კაცის თვითნებობისგან: „უკეთუ კაცის ცოლს თავისმა ქმარმა ბრალი დასდო, მაგრამ სხვა მამაკაცთან მწოლიარეს ვერ წაუსწრო, ქალმა ღმერთი უნდა დაიფიცოს და თავის სახლში დაბრუნდება“ (131).

კაცობის, როგორც სოციალური ფენის, განმსაზღვრელი ნიშანი, ჩემი აზრით, არის სახლის ქონა: საკუთარი სახლი აძლევს ადამიანს იმ თავისუფლებას, რომელიც აუცილებელია საზოგადოების სრულუფლებიანი წევრისათვის. სახლი ერთ-ერთი ფუნდამენტური ცნებაა ხამურაბის კანონებში. სახლი (ბითუმ, საერთო სემიტური ძირი) ნიშნავს არა მხოლოდ შენობას ან ოჯახს, არამედ თავად პიროვნებას მისი გაფართოებული, გარესამყაროში გაწეული საზღვრებით. ასევე, სახლის აშენება კანონებში გულისხმობს არა მხოლოდ შენობის ფიზიკურად აგებას, არმედ შთამომავლობის შექმნას, რაც თავისთავად პიროვნების საზღვრების, მისი კერძობის გაფართოების ბადალია. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ქალის შესვლა კაცის სახლში გულისხმობს არა მხოლოდ ფიზიკურ შესვლას ქმრის სახლში (რაც გათხოვების სინონიმია), არამედ მის შესვლას ქმრის მფლობელობაში და მფარველობაში. (ბელ, ბაალ „ქმარი“ ნიშნავს, „პატრონს“. „მფლობელს“). სახლში შესვლა ქალისა, როგორც გათხოვების სინონიმი, რელიქტურად არის შემორჩენილი ხამურაბის კანონების ტექსტში (მაგ., მუხლ. 134); ეს აქტი, ალბათ, ჩვეულებითი სამართლიდან მომდინარეობს და უფრო ძველია, ვიდრე ხელშეკრულების დადება, რომელსაც ქორწინების ერთადერთ

საბუთად თვლის ხამურაბის კანონი (მუხლ. 128). აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ეშუნას კანონმდებლობამ დაუკარგა ძალა ცოლობის განსაზღვრაში სახლში შესვლას და ერთადერთ ნიშნად საქორწინო კონტრაქტი ჩათვალა: „თუ კაცი ცოლად წაიყვანს კაცის ასულს მისი მამისა და დედის უკითხავად და არ დაუდებს ხელშეკრულებას მის მამას და დედას, ერთი წელიც რომ იცხოვროს ამ ქალმა მის სახლში, არ იქნება მისი ცოლი“ (მუხლ. 27).

კაცი განსაზღვრავს ქალის კუთვნილებას სოციალური ფენისადმი — ის შეიძლება იყოს კაცის ასული და შეიძლება იყოს კაცის ცოლი, მაგრამ კაცის შვილად შეირაცხება არა მხოლოდ კაცის ცოლისგან შობილი, არამედ კაცის მონისგან შობილიც. ესენი მამის სიკვდილის შემდეგ, რაკი მემკვიდრეობის უფლებით სარგებლობენ, კაცთა კატეგორიაში გადადიან, თუმცა მათი დედა — მონა ქალი ისევ მონა ქალად დარჩება.

კაცთა ფენას ეკუთვნის ყველა, ვისაც აქვს დამოუკიდებელი მოქმედების უფლება (რაც ჩამორთმეული აქვს მონას) — ესენი კი არიან ნებისმიერი დარგის ხელოსნები, რომელთა გასამრჯელოს საგანგებოდ აწესებს კანონმდებელი (მუხლ. 274), მხენელ-მთესველნი, მწყემსები, ხომალდის მკეთებელნი, ჯარისკაცები და სხვ. კანონმდებელი განსაკუთრებით გამოყოფს მათგან ხუროს (სახლის მშენებელს) და მკურნალს, ასევე დალაქს, მიიჩნევს რა მათ პროფესიას საპასუხისმგებლოდ. დადგენილია არა მხოლოდ გასამრჯელო სახლის მშენებლისა, არამედ სასჯელიც, რომელიც ტალიონის კანონის წესით არის განსაზღვრული იმის კვალობაზე, თუ ვინ დაი-

ლუბება ცუდად აგებული სახლის ჩამონგრევის დროს — სახლის პატრონი, მისი ვაჟი თუ მონა (229—231). ხელის მტევანს კვეთენ დალაქსაც, რომელიც ვისიმე მონას ნიშანს მოპარავს, რომ პატრონს გაუძნელდეს მისი მოძებნა (226—7), და მკურნალსაც, რომელსაც ოპერაციის დროს კაცი შემოაკვდება (218).

კანონებში სამართლის სუბიექტად ვერ ვხვდებით ქურუმებს, შესაძლოა, საერო საზოგადოებასთან უკონტაქტობის გამო (განსხვავებით ქალქურუმთაგან, რომლებიც მაინც ტრიალებენ ერში იმდენად, რომ სამიკიტნოს გახსნის, თუ შიგ შესვლის მცდელობაც კი აქვთ), ან მათთვის საგანგებო საკრალური სამართლის არსებობის გამო; თუმცა ქურუმობა აქ წარმოდგენილია ტაძრის, როგორც იურიდიული პირის, სახით, როცა საქმე მისი ქონების ხელყოფას ეხება (მუხლ. 8).

ადამიანი მანამდე არის კაცი და თავისუფალი, ვიდრე თემს ეკუთვნის; თემის შვილობა ანიჭებს მას თავისუფლებას და სრულუფლებიანობას. მხოლოდ თემში შეიძლება ჰქონდეს მას სახლი, რომელიც, როგორც ითქვა, მისი თავისუფლების პირობაა. თემის გარეთ ადამიანს დაკარგული აქვს ყოველი უფლება, ის ტყვეა, სხვისი უფლების ქვეშაა („სხვა“ ბაბილონელის შეგნებაში გაცილებით ძლიერი მნიშვნელობის შემცველია, ვიდრე თანამედროვეთა შეგნებაში) და, ვიდრე თავის თემს არ დაუბრუნდება, თავისუფლებას ვერ მიაღწევს. აქ უნდა გავიხსენოთ შუმერული სიტყვა „თავისუფლების“ გამოსახატავად — ამ ა-არ-გი, რომელიც მითოსური ცნობიერების პროდუქტია, ნიშნავს იგი „დედასთან დაბრუნებას“, სადაც „დედა“ (ამა) „ქალაქის“, „თემის“ მეტაფორად შეიძლება იქნას გააზრებული, რამდენადაც ადამიანთა საცხოვრებელი დედარული ბუნებისად არის წარმოდგენილი. თემის შუაგული არის ტაძარი, რომელიც ვალდებულია თავისი სახსრებით გამოისყიდოს ტყვედმყოფი „შვილი“ (მუხლ. 32). თუ ტყვეობაში მყოფი კაცის უკან დაბრუნება და თემამდე მოღწევა (უხლ. 27) თავისუფლების კვლავ მოპოვებას გულისხმობს, თემის დაგდება და გადახვეწა (მუხლ. 136) თავისუფლების დაკარგვის ბადალია; ასეთ კაცს თემის მოძულე ეწოდება და იგი, დაბრუნების შემთხვევაში, კარგავს უფლებას ცოლზე ანუ ოჯახზე, სახლზე საზოგადოდ (იქვე).

უნდა ვიფიქროთ, რომ კაცთა ფენის ანუ თავისუფალი მეთემის ხარჯზე იქმნებოდა ძირითადად მუშქენთა (მუშქენთა) ფენა (და, ნაწილობრივ, მონათა ფენა). ამ ფენის აღმნიშვნელი ტერმინი ნიშნავს „პირქვე დამხობილს“, „ღამორჩილებულს“, რომელმაც მოგვიანო პერიოდში მიიღო „ღარიბ-ღატაკის“ მნიშვნელობა (არაბული გზით ეს სიტყვა გადავიდა იტალიურ და ფრანგულ ენებში). მუშქენი არიან რაღაც მიზეზით თემს მოწყვეტილი კაცნი, რომელთაც დაკარგეს მიწასთან ერთად თემის მფარველობა და შეეკედლნენ სასახლეს; და, თუმცა მისი ქონება კანონით უფრო დაცულია, ვიდრე კაცის საკუთრება, მისი ღირსება კაცისაზე ნაკლებად ფასობს (კაცის სისხლი თუ ნახევარ მანა ვერცხლად არის შეფასებული, მუშქენისა — მესამედ მანად, მუხლ. 207—8); მუშქენის ღირსების დამცრობაზე მეტყველებს აგრეთვე კანონი, რომელიც მის მკურნალობაზე კაცის მკურნალობასთან შედარებით ერთიორად ნაკლებ ფასს აწესებს (მუხლ. 215—6). აღსანიშნავია, რომ მუშქენი არ ექვემდებ-

ბარება ტალიონის კანონს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ კაცის კაზუსებშია გამოყენებული. მიუხედავად მუშქენის ამგვარი, შეიძლება ითქვას, მორალური დამცრობისა, სამართლებრივად ის თითქოს პრივილეგირებულ მდგომარეობაშია ჩაყენებული, როგორც სასახლეზე დამოკიდებული პირი, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ კანონი ათანაბრებს მუშქენის მონის სტატუსს სასახლის მონის სტატუსთან (მუხლ. 175—6). მაინც მუშქენი, როგორც წერილობითი დოკუმენტებიდან ჩანს, ესწრაფოდა თავისუფლებას და მეთემე კაცის სტატუსს. ერთ კერძო წერილში ვკითხულობთ: „როგორც მამაჩემი შეიტყობდა, მე მუშქენი ვავხდი. იქნებ დამაბრუნოს მამაჩემმა თემის უფლებებში ისე, რომ საჩივარი არავინ აღძრას ჩემს წინააღმდეგ“.

ბაბილონის საზოგადოების მესამე უდაბლეს ფენას მონები შეადგენენ მონა (ვარდუმი) კანონების მიხედვით უუფლებოა, ის არ არის სამართლის სუბიექტი, ასეთად ყოფნა მას ეკრძალება და კანონი ცდილობს აღკვეთოს მონის მცდელობა რაიმე უფლების უზურპაციისა (მონას არა აქვს უფლება ისევე, როგორც „კაცის შვილს“, ანუ უასაკოს, რაიმეს გაყიდვისა, მუხლ. 7). ნიშნავს ეს აკრძალვა იმას, რომ მონას არ შეიძლება გააჩნდეს რაიმე საკუთრება? ამის თაობაზე კანონი არაფერს ამბობს.

მონობა მემკვიდრეობით გადადის, მაგრამ კაცის განგაჩენილი მონა ქალის შვილი უკვე აღარ არის მონა; პირუკუ, კაცის უფლება აქვს არასასურველი (თავკერძა თუ უყაითო) ცოლი მონა ქალად აქციოს თავისსავე სახლში (მუხლ.

141); კაცი შეიძლება გაიყიდოს (იგულისხმება მონად) გადაუხდელი ვალის ანგარიშში (მუხლ. 54), და ეს არის, როგორც ჩანს, კიდევ ერთი წყარო მონობისა ტყვეობასთან ერთად.

კანონების ტექსტში გვხვდება ორად-ორი შემთხვევა მონის დასჯისა და ეს სასჯელი მაინცდამაინც მძიმე არ არის დანაშაულის კვალობაზე: „უკეთუ კაცის მონამ კაცს სახეში გაართყა, ყური უნდა მოაჭრას“ (მუხლ. 205); კანონმდებელი რატომღაც არ აწესებს სასჯელს პატრონის შეურაცხყოფელი მონისათვის, პატრონის უარყოფელი მონა კი იმავე სასჯელით ისჯება: „უკეთუ მონა თავის პატრონს ეტყვის „ჩემი პატრონი არა ხარო“, პატრონმა უნდა დაამტკიცოს, რომ იგი მისი მონაა, და ყურს მოაჭრის“ (ბოლო 282-ე მუხლი). საგულისხმოა, რომ კაცის შვილი მამის შეურაცხყოფისთვის (სახეში ხელის შემოკვრა) უფრო მკაცრად ისჯება — მას ხელის მტევანს, რითაც შეურაცხყოფა მიაყენა მამას, ჰკვეთენ (მუხ. 195). როგორც ჩანს, კაცის შვილს მეტი მოეთხოვება, ვიდრე მონას.

მონათა ფენაში დიფერენციაციას მოწმობს პრივილეგია, რომელიც აქვს სასახლისა და მუშქენის მონებს: „უკეთუ სასახლის მონამ ანდა მუშქენის მონამ კაცის ასული მოიყვანა და ქალმა შვილები უშვა, მონის პატრონი კაცის ასულის შვილების მიმართ მონობის სარჩელს ვერ აღძრავს“ (მუხლ. 175). კაცის მონის ანალოგიური კაზუსი კანონებში არ იპოვება; არაფერი ვიცით იმის შესახებ, დაშვებული იყო თუ არა ქორწინება კაცის მონასა და კაცის ასულს შორის. შესაძლე-

ბელია, 175-ე მუხლი გულისხმობს, რომ, მუშქენის მონის ნა-
შეიერისგან განსხვავებით, კაცის მონის ნაშეიერი ისევ მო-
ნად რჩება, რაკი ამ კაზუსზე საგანგებო მუხლი არ არსებობს.
ასეთია ზოგადად ბაბილონის საზოგადოების სტრუქტუ-
რა, რომელსაც ათასწლეულის მანძილზე არ განუცდია რაიმე
არსებითი ცვლილება, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონები
დაკარგავდა ქმედით ძალას და აღარ განდებოდა საჭირო მათი
ასლების გადაღება ხამურების შემდგომდროინდელ ეპოქებში.
კანონთა ტექსტს, რომელიც აწესრიგებდა კაცთა და სა-
ზოგადოების ფენათა შორის ურთიერთობებს, მოსდევს ვრცე-
ლი დასკვნა, უფრო ვრცელი, ვიდრე შესავალი (პრეამბულა),
სადაც ხამურები კვლავ ლაპარაკობს პირველ პირში თავის
თავზე, როგორც სამართლის შემოქმედზე. საგულისხმოა, რომ
ხამურებმა კანონებით წარწერილი ეს სვეტი — დედანი ყო-
ველი ასლისა — საზეიმოდ დადგა ბაბილონის მთავარ ტაძარ-
ში, ესანგილაში, თავისი ქანდაკის გვერდით, რომელსაც, რო-
გორც ინდივიდუალობას, შუამდინარული წესის თანახმად,
საკუთარი სახელი ჰქონდა, ეს იყო „მეფე სამართლისა“. ხა-
მურები სამართლის სიტყვებს „ძვირფასს“ უწოდებს და საგან-
გებოდ აცხადებს სამართლის კონკრეტულ დანიშნულებას.
რისთვის, რა მიზნით ამოიკვეთა ეს ძველთაძველი კანონები
(და, ალბათ, ახალნიც მათ შორის) ბაზალტის ქვაზე? „სამარ-
თლის მეფე“ პასუხობს სხარტად, საუკუნო ქეშმარიტების
შემცველი სიტყვებით: „ძლიერისაგან სუსტის არ დასაჩაგრავ-
ად, ობლისა და ქვრივისათვის სამართლის მისაცემად“. ისიც
აღსანიშნავია, რომ სამართალს სხვა მხარეც აქვს კანონმდე-
ბელი მეფის შეგნებაში: მისი სამართლიანი კვერთხი ქვეყნი-

სათვის მშვიდობისა და წყალობის მომფენელია. განსაკუთ-
რებული მნიშვნელობა ენიჭება იმის აღიარებას, რომ „მშვი-
დობისმყოფელ მწყემსს“ ხელთ უპყრია „სამართლიანი
კვერთხი“.

საკურადღებოა, რომ „საავტორო უფლების“ არარსებო-
ბის ხანაში ხამურები დაჟინებით მოითხოვს, რომ სვეტზე
წარწერილი „ძვირფასი სიტყვები“ მის სიტყვებად ჩათვალოს,
თუმცა ისინი შამაშისგან არის შთაგონებული, მაგრამ მის წი-
აღში აღორძინებული, გაშინაგნებული. შამაშს, სამართლის
ღმერთს, ვერ მისწვდება უშუალოდ კაცი, ვერც ხამურების-
თან მივა სამართლის საძიებლად — ვერც მის დროში და, მით
უფრო, მის შემდეგ, მაგრამ ის მივა ესანგილას ტაძარში ხა-
მურების ქანდაკთან, რომელიც სამართლის პრინციპს განა-
სახიერებს, და „იხილავს თავის სამართალს“. ხამურები უწე-
სებს იმ სიტყვებსაც, რომლებიც უნდა წარმოთქვას სამართ-
ლის მიქებნელმა და მომპოვებელმა. აი, რა სიტყვები უნდა
წარმოთქვას მან ხმამაღლა: „უფალი ხამურები, რომელიც
ხალხს მშობელ მამად მოევილია, თავისი უფლის, მარდუქის,
სიტყვას ეთაყვანება. მარდუქის ნება ჩრდილოეთიდან ვიდრე
სამხრეთამდე აღასრულა; გული მარდუქისა, თავისი უფლისა,
დაამა, ხალხს კეთილდღეობა სამარადისოდ დაუმიკვიდრა და
ქვეყანა წალმართად წარმართა“.

არ შეცვდებით, თუ ვიტყვით, რომ „სამართლის მეფეს“
კანონებით წარწერილი ბაზალტის სვეტი თავისი უკვდავების
ძეგლად ჰქონდა წარმოდგენილი, მსგავსად ლეგენდური გილ-
გამეშისა, რომელმაც ქვაზე ამოკვეთა „ყოველი განსაცდელი“.
ამიტომაც არის, რომ კანონმდებელი მეფე ბაბილონელი

დმერთების — ენლილიდან დაწყებული ანუნაქებით, ქვე-
სკნელ-ზესკნელის სულებით გათავებული, — მთელი პანთე-
ონის რისხვას და შეჩვენებას გამოითხოვს მათზე, ვინც ოდეს-
მე — არსებობდა კიდევ ამის რეალური ხიფათი, რისი კვა-
ლიც ატყვია სვეტს, — მეფე იქნებოდა თუ მთავარი, თუ უბრა-
ლო მოკვდავთაგანი, წაშლიდა მის სამართალს ან ამოფხეკდა
მის სახელს და თავისას წააწერდა ზედ.

ამით ბაბილონის მეფე ღმერთებს ავედრებდა სიტყვაში
გაცხადებულ თავის უკვდავებას — წარმავალ, ადამიანურ სი-
ტყვებს მათ მარადიულ კალთას აფარებდა.

6 509.

Законы Хамураби

Перевел с аккадского и снабдил комментариями З. Г. Кикнадзе

(на грузинском языке)

Тбилиси
«Мецნიერება»
1988

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3723

გამომცემლობის რედაქტორი დ. ლეჟავა
მხატვარი მ. ხუცილავა
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
კორექტორი ნ. წახნაგია
გამომშვები ელ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 17.12.1988; ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.3.1988;
ქალაქის ზომა 70×1081/ვე; ქალაქი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდო თაბახი 4.9;
პირ. სად. გატ. 5.1; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3.6;
ტირაჟი 5000; შეკვეთა № 4054;

ფასი 65 კაპ.

15500

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

UNIVERSITY OF TORONTO

LIBRARY

130 St. George Street

Toronto

Ontario

Canada

1970

1970

1970

1970

1970

1970

1970

1970